

- ა) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ
- ბ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

I არხი

საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროექტები: «მოამბე», «პირველი სტუდია», «რეალური სივრცე», «ტელებლოგი»

თვალშისაცემად მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა საინფორმაციო პროგრამა «მოამბემ». ვფიქრობ, ზედმეტია იმაზე საუბარი როგორი მიმართულება და რა კონკრეტული მიზანი გააჩნდა «მოამბეს» სანამ შეიცვლებოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტი.

პირველი არხის საინფორმაციო სამსახური - “მოამბე”



ქრონომეტრაჟი

ორშაბათი-პარასკევი (გამოშვებების დრო და ქრონომეტრაჟი)

8:00- 5 წთ

9:00- 10 წთ

10:00- 15 წთ




12:00- 40 წთ
16:00- 52 წთ
19:00- 5 წთ
20:00- 52 წთ

შაბათი კვირა

12:00- 25 წთ 12:00- 25 წთ
16:00- 30 წთ 16:00- 30 წთ
20:00- 50 წთ 20:00- 30 წთ + ტელებლოგი- 26 წთ

12:00 გამომშვებებში ცალკე ბლოკად გადის უცხოეთის ამბები- რომელსაც ჰყავს წამყვანი
14:00 გამომშვებებში ცალკე ბლოკად გადის სპორტის ამბები, რომელსაც ჰყავს წამყვანი

მომზადებულია სსიპ „სამიუნივერსიტეტო მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ



2013 წლის ივნისში, საინფორმაციო სამსახურში მომზადდა „მოამბის“ რებრენდინგის გეგმა. ამ გეგმაში გაიწერა საინფორმაციო სამსახურის გაძლიერებისათვის და მაღალი სტანდარტებით მუშაობისთვის აუცილებელი საკითხები. ასევე ყველა ხელის შემშლელი გარემოება და რისკ ფაქტორი, რის წინაშეც იდგა I არხის საინფორმაციო სამსახური.

გთავაზობთ, რებრენდინგის გეგმას, რომელიც არხის მენეჯმენტმა განიხილა და დაამტკიცა.

- „მოამბის“ ფუნქციაა ოპერატიული, დაბალანსებული, გადამოწმებული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ტირაჟირება.
- „მოამბის“ მიზანია გახდეს მსოფლიო სტანდარტების მქონე საინფორმაციო საშუალება. მოიპოვოს ნდობა საზოგადოებაში და გახდეს ავტორიტეტული მედია სფეროში.
- „მოამბის“ მისიაა შეასრულოს საზოგადოებრივი მანუალების ფუნქცია - გახდეს ყველანაირი პოლიტიკური ძალის ჩარევისა და ზენოლისაგან განთავისუფლებული, საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებული საინფორმაციო სამსახური

➤ **ბრენდის ანოტაცია**

ბრენდის დადებითი მხარე - ასოციაციები, რომლებიც უჩნდება მომხმარებელს

- ცნობადობა
- პერსპექტიულობა

ბრენდის უარყოფითი მხარე - ასოციაციები, რომლებიც უჩნდება მომხმარებელს

- არასანდო
- ტენდენციური



არათანამედროვე

არაპრემიალური

- ჩამორჩენილი
- ცუდი ვიზუალი

არსებობს რამდენიმე სიტყვა, რის გარშემოც ეწყობა ჩვენი ბრენდის შინარსობრივი და ფორმობრივი მხარე:

10 კრიტერიუმი, რომელსაც უნდა პასუხობდეს ჩვენი ბრენდი

- კლასიკური
- ღია
- დინამიური
- კომპეტენტური
- სანდო
- საინტერესო
- ინტელექტუალური
- სოციალურად აქტიური
- არგუმენტირებულად კრიტიკული
- ოპტიმისტური
- მასობრივი

9 კრიტერიუმი, რომელსაც არანაირი საერთო არ აქვს ჩვენს ბრენდთან

- ტენდენციური
- ყვითელი
- სკანდალზე ორიენტირებული
- სენტიმენტალური
- აგრესიული
- მღორე

- რეტროგრადული
- არაპროფესიონალური
- სექტენტური- ვიწრო აუდიტორიაზე ორიენტირებული

რა განცდები უნდა გაუღვიძოს „მომამბემ“ მაყურებელს:

1. „მომამბე“ - ეს არის მაყურებლის ინტერესების დამცველი საინფორმაციო სამსახური
2. „მომამბე“ - ეს არის ლიდერი საინფორმაციო საშუალება
3. „მომამბის“ ეთერში გამოჩენა უნდა იყოს მოდური და პრემიალური
4. „მომამბის“ ყურება უნდა იყოს მოდური და სასარგებლო
5. ოპერატულად, ამომწურავად, საინტერესოდ მინდობული ინფორმაციის წყალობით, მაყურებელს ჩვევაში უნდა გაუჯდეს „მომამბის“ ყურება. ე.წ. „მომამბედამოკიდებულება“

➤ საჭიროებები

1. ვიზუალური მხარის ძირეული ცვლილება
 - ა) ქუდები
 - ბ) მუსიკალური გაფორმება
 - ც) გრაფიკული ნაწილი(გრაფიკები, ტიტრები, ფონები, ჩარჩოები),
 - დ) სტუდიები
 - ე) განათება
 - ფ) ანონსები

2. წამყვანების იმიჯური ცვლა. წამყვანებისთვის საავტორო ფუნქციის მინიჭება. მაქსიმალურად გამიჯვნა დიქტორის ინსტიტუტთან. წამყვანებში თავისუფალი და ოდნავ მანერული წაყვანის სტილის დამკვიდრება.
3. ჟურნალისტების მუდმივი გადამზადება. უცხოელი ტრენერების სისტემატიური ჩამოყვანა. ჟურნალისტების გაგზავნა სხვადასხვა სემინარებზე და პროფესიონალურ კურსებზე.
4. ძლიერი საპროდიუსინგო რგოლის შექმნა. უცხოეთიდან ტექნიკური და სემინარ პროდიუსერების მოწვევა და მათი მხრიდან მუდმივი მონიტორინგი ნიუსრუმში.
5. PR სტრატეგიის შემუშავება- „მოამბის“ ნდობის ამაღლების მიზნით:
 - ა) საზოგადოებისთვის მისაღები და ავტორიტეტული ადამიანებისგან მხარდამჭერთა გუნდის შექმნა.
 - ბ) მოამბის მხარდასაჭერად და ნდობის ამაღლების მიზნით ანონსების დამზადება-განთავსება (მხარდამჭერთა გუნდის მონაწილეობით)
 - გ) მედია ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირი. მათი ჩართულობის მიზნით შეხვედრების გამართვა.
 - დ) სოციალურად გააქტიურება- მაქსიმალური „შეარები“ სოციალურ ქსელებში
6. თანამშრომლობა უცხოურ მედია საშუალებებთან. მჭიდრო კონტაქტების დამყარება უცხოელ კოლეგებთან- ინფორმაციის გაცვლის, სიახლის გაგების და თანამედროვე ხედვის ჩამოყალიბების მიზნით.
7. სოციალური კვლევების ჩატარება- სამიზნე აუდიტორიის (სქესი, ასაკი, შემოსავალი) განსაზღვრის მიზნით. ამ კვლევების საშუალებით, ასევე, პასუხი უნდა მივიღოთ რამდენიმე კითხვაზე:
რატომ არის მოამბის რეიტინგი დაბალი? როგორ უნდა გაიზარდოს რეიტინგი- რას ითხოვს მაყურებელი?

➤ **შიდა სტრუქტურების მონაწილეობა და ვადები**

- გაფორმების ჯგუფი - ერთიანი კონცეფციის შექმნა, ფერებზე შეჯერება. ქუდები, მუსიკალური გაფორმება, გრაფიკული ნაწილი (გრაფიკები, ტიტრები, ფონები, ჩარჩოები), სტუდიების ღიზინის დამზადება.

- ანონსების ჯგუფი- „მოამბის“ შიდა ანონსების კონცეფციის შემუშავება და მომზადება
 - მარკეტინგის სამსახური- სოციალური კვლევების ჩატარება სამიზნე აუდიტორიის(სქესი, ასაკი, შემოსავალი) განსაზღვრის მიზნით. ამ კვლევების საშუალებით, ასევე, პასუხი უნდა მივიღოთ რამდენიმე კითხვაზე; რატომ არის მოამბის რეიტინგი დაბალი? როგორ უნდა გაიზარდოს რეიტინგი- რას ითხოვს მაყურებელი?
 - PR სამსახურთან - სამოქალაქო სექტორთან, მედია ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუდმივი კავშირი. მათი ჩართულობის მიზნით შეხვედრების გამართვა. კოორდინაცია და გრაფიკების შემუშავება.
 - PR სამსახურთან - საზოგადოებისთვის მისაღები და ავტორიტეტული ადამიანებისგან მხარდამჭერთა გუნდის შექმნა. ეს იქნება „სი ენ ენ“-ის ანალოგზე შექმნილი „ბლუ რიბენი“ ამგვარად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიზანი უნდა გახდეს, საზოგადოების თვალში „მოამბის“ ავტორიტეტის ამაღლება. საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები საზოგადოებრივ სანყისებზე ხდებიან „მოამბის“ ლობისტები. ჩვენის მხრივ, ვთავაზობთ მათი აქტივობების გაშუქებას, თავის მხრივ ისინი იღებენ ვალდებულებას დააკვირდნენ „მოამბის“ მუშაობას, გამოთქვან შენიშვნები და რეკომენდაციები, გახდნენ მოამბის გულმემატკივრები. ხელი შეუწყონ, ჩვენს სასარგებლოდ, დადებითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას და „მოამბის“ პოპულარულ ბრენდად გარდაქმნას. ამ გუნდში შედიან ექიმები, მწერლები, სპორტმენები, მსახიობები, მეცნიერები, არქიტექტორები, სამხედროები და ა.შ.
 - ანონსების ჯგუფმა- მხარდამჭერთა გუნდის მონაწილეობით, უნდა მოამზადოს 10 წამიანი ვიდეო რგოლები, რომლებიც განთავსდება სოციალურ ქსელებში, პირველი არხის ვებ გვერდზე, საეთერო ბადეში (გადაწყვეტილებისამებრ). ვიდეო რგოლის მესიჯია- მე ვენდობი „მოამბეს“, მე მჯერა „მოამბის“, ჩემი „მოამბე“. სლოგანი მოსათქმნელია.
8. უცხოეთთან ურთიერთობის სამსახურთან- ურნალისტების მუდმივი გადამზადება. უცხოელი ტრენერების სისტემატიური ჩამოყვანა. ურნალისტების გაგზავნა სხვადასხვა სეგმენტურ სემინარებზე და პროფესიულ კურსებზე. მჭიდრო კონტაქტების დამყარება უცხოელ კოლეგებთან- ინფორმაციის გაცვლის, სიახლის გაგების და თანამედროვე ხედვის ჩამოყალიბების მიზნით. უცხოეთიდან ტექნიკური და სეგმენტ პროდიუსერების მოწვევა და მათი მხრიდან მუდმივი მონიტორინგი და ტრენინგი ნიუსრუმში.

საინფორმაციო სამსახურის ამოცანები და ვადები

- ავტორიტეტული მედია სფეროში
 - ნდობის ამაღლება საზოგადოებაში
 - ჩვენი მასალების გამოყენება ქართულ და უცხოურ მედიაში წყაროს- „მომხმის“ მითითებით
 - რეიტინგებში მოხვედრა
 - 5 თვეში- სამეული
 - 8 თვეში- მეორე პოზიცია
 - თანამშრომლობა უცხოურ ტელევიზიებთან
-
- ✓ ძლიერი და სუსტი მხარეები
 - ✓ შესაძლებლობა და საშიშროება

მომხმის

S.W.O.T

<p><u>ძლიერი</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ადამიანი რესურსი; • კონტენტუალური მრავალფეროვნება; • მიუკერძოებლობა; • ოპერატიულობა; 	<p><u>სუსტი</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არაპოპულარული; • არასანდო; • ვიზუალური მხარე; • წამყვანები; • რეგიონების მუშაობა;
<p><u>შესაძლებლობა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • რეიტინგული ზრდა; • ახალი სახეების შექმნა; • საზ. მაუწყებლის პრიორიტეტებზე აქცენტი; • პარტიორობა უცხოურ მედიასთან; • სხვა არხებიდან ძლიერი კადრების მოზიდვა; 	<p><u>სამიზროება</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ხელისუფლების ზეწოლა; • საკადრო პოლიტიკაში ჩარევა; • კადრების გადინება; • ჟურნალისტიკების პოლიტიკური ანგაჟირებულობა;




პროდუქტის რგოლი მუშაობს სამი მიმართულებით:

- ინფორმაციის მოპოვება
- ინფორმაციის დამუშავება
- ინფორმაციის გავრცელება

მომხმარებელია სსიპ „სამოგალოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ



- რუსთავი
- იმედი
- მაესტრო
- მე-9 არხი
- 1 არხი






გარდამავალი ეტაპი ვიდრე ახალი სეზონი
დაიწყება

20 საათიანი (ორშაბათი - შაბათი)


ქრონომეტრაჟი 55 წთ.
ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო თემატიკა;

მენტის მიერ



20 საათიანი - კვირა

რესპოდენტების პირდაპირი ჩართვა ძირითად ნაწილში + კულტურა



მე

სურვილები და რეკომენდაციები

- იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ბრენდი უნდა პასუხობდეს შემდეგ კრიტერიუმებს: კლასიკური, ღია, დინამიური, ოპტიმისტური, კომპეტენტური და არაფერი აქვს საერო შემდეგ კრიტერიუმებთან: ყვითელი, აგრესიული, ეპატაჟური, სკანდალური, მიგვაჩნია, რომ გაფორმების და სტუდიების ფერთა გამაში არ უნდა ფიგურირებდეს შემდეგი ფერები: ყვითელი, წითელი, შავი, მწვანე. სასურველია, წავიდეთ კლასიკური გზით და გამოვიყენოთ შემდეგი ფერთა გამა- ცისფერი, ლურჯი (ბევრი გრადაცია), თეთრი, რუხი.
- გრაფიკული გაფორმების და მუსიკის დამზადება მოხდეს უცხოელებთან ერთად.
- სტუდიების დიზაინის შექმნა დაუკვეთოთ რამდენიმე დიზაინერს, რათა მოხდეს საუკეთესოს შერჩევა.
- დაწესდეს ყველა რგოლის თაიმ-მენეჯმენტის მკაცრი კონტროლი



დოკუმენტის აღსრულების შეფასება

ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნებიდან შესრულდა:

- ახალი 2013 წლის სატელევიზიო სეზონიდან (27.09.2013)- „მოამბე“ ეთერში გავიდა ახალი გრაფიკური შეფუთვით, ახალი სტუდიით, ახალი მუსიკალური გაფორმებით. დამზადდა სატელევიზიო ანონსები.
- მოხდა წამყვანების იმიჯური ცვლა- საავტორო ფუნქციების მინიჭება
- „მოამბე“ გახდა ავტორიტეტული მედია სფეროში
- ჩვენი მასალების გამოყენება ქართულ და უცხოურ მედიაში წყაროს- „მოამბის“ მითითებით დაფიქსირდა საინფორმაციო გამოშვებების რეიტინგის ზრდა



შეიქმნა საზოგადოებისთვის სანდო ადამიანებიგან შექმილი მხარდამჭერდა გუნდი- მომზადდა ვიდეო

რგოლები

- ნაწილობრივ მოხერხდა მჭიდრო კონტაქტების დამყარება უცხოურ მედია საშუალებებთან
- „მოამბე“ გახდა სოციალურად აქტიური- გაიზარდა სოციალურ ქსელებში მასალების გაზიარების რაოდენობა

ამ დოკუმენტით გათვალისწინებული ძირითადი მოთხოვნებიდან ვერ შესრულდა.

- ტელესაინფორმაციო ბაზარზე რეიტინგის სამეულში მოხვედრა
- ჟურნალისტების მუდმივი გადამზადება. უცხოელი ტრენერების სისტემატიური ჩამოყვანა. ჟურნალისტების გაგზავნა სხვადასხვა სეგმენტურ სემინარებზე და პროფესიონალურ კურსებზე. (მიზეზი – ფინანსების არქონა)
- ძლიერი საპროდიუსინგო რგოლის შექმნა. (მიზეზი ფინანსების არქონა, კადრების გადინება)
- უცხოეთიდან ტექნიკური და სეგმენტ პროდიუსერების მონაცვლა და მათი მხრიდან მუდმივი მონიტორინგი ნიუსრუმში. (მიზეზი ფინანსების არქონა).



რა გაკეთდა ახალი 2013 წლის სეზონითვის

- 1) შეიცვალა გადაცემის სტუდია
- 2) გარემონტდა და ტექნიკურად აღიჭურვა ნიუს რუმი
- 3) შეიცვალა საინფორმაციოს გაფორმება, მუსიკა, ანონსები
- 4) გაძლიერდა ფილდ პროდიუსინგის რგოლი
- 5) 12:00 და 14:00 გამოშვებებში დაემატა უცხოეთის და სპორტის 7 წუთინი ბლოკები, რომლებსაც ჰყავთ თავიანთი სეგმენტ-წამყვანები
- 6) საინფორმაციოს ეთერში გამოჩნდნენ ახალი სახეები
- 7) წარმოებაში ჩაეშვა ახალი საკვირაო სატელევიზიო ფილმი- „ტელებლოგი“



➤ „ტელე-ბლოგი“

საინფორმაციო გამოშვებების გარდა, საინფორმაციო სამსახური ამზადებს, კიდევ ერთ პროექტს- საკვირაო სატელევიზიო ფილმებს „ტელებლოგი“

გადაცემის ქრონომეტრაჟი- 26 წუთი
ეთერში გასვლის დრო- კვირა, 20:30

ანოტაცია: "ტელებლოგში", პირველი არხის ჟურნალისტები, საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ თემებზე, სატელევიზიო ფილმ-რეპორტაჟებს ამზადებენ. ყოველ კვირას ერთი ჟურნალისტის მიერ მომზადებული ფილმი გადაიყვება. თითოეული ჟურნალისტი საკუთარ ხედვას წარმოადგენს და სვამს პრობლემას, რომელიც საზოგადოებას აწუხებს. გადაცემის მიმზადებაში მონაწილეობას იღებენ, როგორც „მაშბის“ ჟურნალისტები ასევე, მონვეული ავტორები. რაც იძლევა საშუალებას, რომ თითოეულ გადაცემას ჰქონდეს საკუთარი ხელწერა და ხედვა. შედეგად ვიღებთ განსხვავებული ხელწერის მქონე, განსხვავებულ ტელეფილმებს.

პროექტის ხელმძღვანელი: სოფო მოსიძე

პროდიუსერები: ილია თავბერიძე, ზურაბ გუჯაბიძე

ოპერატორები: არჩილ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე შერვაშიძე

მონტაჟი: ნონა გოგოძე, გიორგი დარჩია

ავტორები: ქეთი ბერაია, თამარ ურუშაძე, ვიკა ბუკია, ნინო ბასილია, ირმა ჩუბინიძე, ნინო დაღვანი

სასურველია, ახალი სეზონიდან, „ტელებლოგზე“ სამუშაოდ მოვიწვიოთ ამ უანრში მომუშავე პროფესიონალი ავტორები, რაც მოგვცემს საშუალებას, გადაცემა გაგზადოთ უფრო ავტორიტეტული, რეიტინგული, სოციალურად აქტიური.

➤ მედია მონიტორინგის შედეგები

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ატარებდნენ საინფორმაციო საშუალებების მონიტორინგებს. ამ მონიტორინგის ფარგლებში, ხდებოდა დაკვირვება შემდეგი

კრიტერიუმების მიხედვით- ეთმობა თუ არა თანაბარი დრო ყველა პრეზიდენტობის კანდიდატს, როგორც არის კანდიდატების და საარჩევნო კამპანიის გაშუქების პირდაპირი და ირიბი ტონი.

მონიტორინგი მოიცავდა 2013 წლის მაისი- 2013 წლის ნოემბრის პერიოდს. (პრე და პოსტ საარჩევნო დროს)

ყველა მონიტორინგის შემაჯამებელი დასკვნა იყო დადებითი, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო სამსახურის მუშაობა შეფასდა, როგორც დაბალანსებული და ობიექტური, სადაც ყველა კანდიდატის საარჩევნო აქტივობა შექცდებოდა თანაბრად. არ არსებობდა ე.წ. „სიძულვილის ენა“ და არ გამოვლენილა ტენდენციულობის არც ერთი შემთხვევა.

იხილეთ დასკვნები:

სატელევიზიო არხების მონიტორინგის შედეგები

15 მაისი - 15 ნოემბერი, 2013

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ეხმაურებოდა ქვეყანაში განვითარებულ ყველა მნიშვნელოვან მოვლენას და იმ მომენტისთვის აქტუალურ თემას. მონიტორინგის დასაწყისში არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მნიშვნელოვან ანალიტიკური სიუჟეტების სიმცირე. თუმცა, თავიდან თვემდე ეს ტენდენცია იცვლებოდა და სექტემბრიდან, წინასწარჩევნო პერიოდში, „მოამბეში“ მომზადდა საკმაოდ ბევრი ანალიტიკური სიუჟეტი. საკითხების უმეტესობა სიუჟეტებში სიღრმისეულად იყო გაანალიზებული, მოცემული იყო ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია თემასთან დაკავშირებით და სრულყოფილად გადმოიცემოდა ამბავი. ზოგიერთი თემა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილებოდა.

სიუჟეტებში თითქმის ყველათვის იყო დაცული მხარეთა ბალანსი და გადმოცემული ამბავი სხვადასხვა მხარის პოზიციას წარმოადგენდა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე გაშუქებულ ამბავს აკლდა საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი, რაც სხვა არხებზე გადაიცემოდა.

შეინიშნებოდა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები ცდილობდნენ შეფასებითი კომენტარებისგან თავის შეკავებას. შესაბამისად, მთელი მონიტორინგის განმავლობაში ნაკლებად იგრძნობოდა პოლიტიკური მიკერძოება რომელიმე

მხარის მიმართ. თანაბრად შექდებოდნენ როგორც პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი, უმრავლესობა და უმცირესობა, ასევე, საპრეზიდენტო კანდიდატები. სექტემბრიდან განსაკუთრებით აქტიურად შექდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების აქტივობები, მათი ვიზიტები რეგიონებში და სხვადასხვა განცხადება. კანდიდატები, ძირითადად, განიხილებოდნენ სიუჟეტში „არჩევნები 2013“, რომელიც ყოველდღე მზადდებოდა და მიმოიხილავდა მათ კამპანიებს. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ სიუჟეტები, კონკრეტული გამონაკლისების გარდა, ქრონომეტრაჟთან ერთად, შინაარსითა და სტილითაც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, არ ხდებოდა რომელიმე კანდიდატის განსაკუთრებულ მდგომარეობაში ჩაყენება.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონს, ყველა მათგანთან სჭარბობდა დადებითი ტონი, რაც, გარკვეულწილად, მათი კამპანიების ფარგლებში გამოსვლების, განცხადებებისა და ხშირი პირდაპირი საუბრის გაშუქების შედეგი იყო. არჩევნებამდე პერიოდში კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი დავით ბაქრაძეს (73%) დაუფიქსირდა.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, 15 მაისიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით, პირველ ხუთეულში, ისევე, როგორც სხვა არხებზე, პირველ არხზეც მოხდნენ: მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ქართული ოცნება, პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი. დრო მთავრობასა და საპარლამენტო უმცირესობის პარტიას შორის საკმაოდ თანაბრად იყო გადანაწილებული (23% და 21%). პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტსაც თანაბარი 8-8 პროცენტი ერგოთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ სუბიექტს დროც და გაშუქების ტონის შეფარდებაც თითქმის თანაბარი აქვთ, საკმაოდ განსხვავებულია მათი პირდაპირი და ირიბი საუბრის მაჩვენებლები. პრეზიდენტისთვის დათმობილი დროის ნახევარზე მეტი მის პირდაპირ საუბარს დაეთმო, მაშინ როდესაც პრემიერ-მინისტრის პირდაპირი საუბრის წილი მხოლოდ 37 პროცენტი იყო.

არჩევნების დღეს, 27 ოქტომბერს, საღამოს, პირველ არხზე გავიდა 4-საათიანი უწყვეტი გამოშვება, რომელიც მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნებს დაეთმო. დეტალურად იყო განხილული დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები: როგორ მისცეს ხმა კანდიდატებმა, პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა და სხვა პოლიტიკოსებმა. განხილული იყო ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, თუ ვის მისცა ხმა. ასევე, ნაჩვენები იყო კადრები, როგორ აძლევდა ხმას მიხეილ სააკაშვილი და როგორ დახვდა მას საარჩევნო უბანთან პოლიტპატიმრების აქცია. ამასთან, ყოველი ორი-სამი სიუჟეტის შემდეგ ცხადდებოდა ეგზიტპოლების შედეგები. ამ გამოშვებაში, ასევე, მომზადდა სიუჟეტები ისეთ თემებზე,

როგორებიცაა: საკონსტიტუციო ცვლილებები, ახალი პრეზიდენტის უფლებები, როგორ კეთდება პოლიტიკური PR-ი 90-იანი წლებიდან მოყოლებული და ა.შ. საერთო ჯამში გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული და მრავალსიმომცველი იყო. მომდევნო დღეებშიც არჩევნების თემა საკმაოდ აქტიურად და დეტალურად შექდებოდა განხილული იყო როგორც ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასებები, ასევე, უცხოელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების დასკვნები. პირველ არხზე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოციალურ თემებს. თითქმის ყოველდღიურად გადიოდა სიუჟეტები ამ თემებზე. სიღრმისეულად შექდებოდა სხვადასხვა პრობლემა, ეთნიკურ უმცირესობებსა და დევნილებთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თითქმის არასოდეს ხდებოდა ასეთი თემების პოლიტიზირება და არ ხდებოდა ამ თემების დაკავშირება, დადებითად ან უარყოფითად, რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

ცალკე აღსანიშნავია ორი სიუჟეტი: ივნისში გასული სიუჟეტი ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედროების დაკრძალვაზე. ეს თემა ყველა არხმა გააშუქა. თუმცა, პირველ არხზე თვალში საცემი იყო სიუჟეტისთვის შერჩეული ძალიან მძიმე კადრები, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა სიუჟეტის შინაარსს, მით უმეტეს, რომ დამატებით ინფორმაციას არ გადმოსცემდა. ასევე, ოქტომბერში გასული სიუჟეტი არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების შესახებ, რომელშიც დაუფარავად და გაუფრთხილებლად იყო ნაჩვენები გარდაცვლილი მოზარდის დაზიანებული სხეული, ჭრილობები, სახე და ოჯახის წევრების გლოვის საკმაოდ მძიმე კადრები, რაც სიუჟეტს კიდევ უფრო ამძიმებდა და ამასთან, მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავდა.

27 ოქტომბერი - 15 ნოემბერი 2013

27 ოქტომბერს საღამოს პირველ არხზე გავიდა 4-საათიანი უწყვეტი გამოშვება, რომელიც მთლიანად საპრეზიდენტო არჩევნებს დაეთმო. დეტალურად იყო განხილული დღის განმავლობაში განვითარებული მოვლენები: როგორ მისცეს კანდიდატებმა, პრემიერ-მინისტრმა, მინისტრებმა და სხვა პოლიტიკურმა ფიგურებმა ხმა. განხილული იყო ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, სადაც ის ამბობს, თუ ვის მისცა ხმა. ასევე, ნაჩვენები იყო კადრები, როგორ აძლევდა ხმას მიხეილ სააკაშვილი და როგორ დახვდა მას საარჩევნო უბანთან პოლიტპატიმრების აქცია. ამასთან, ყოველი ორი-სამი სიუჟეტის შემდეგ ცხადდებოდა ეგზიტპოლუების შედეგები. ამ გამოშვებაში ასევე მომზადდა სიუჟეტები ისეთ თემებზე, როგორიცაა:

საკონსტიტუციო ცვლილებები, ახალი პრეზიდენტის უფლებები, 90-იანი წლებიდან მოყოლებული როგორ კეთდება პოლიტიკური პიარი და ა.შ. საერთო ჯამში გადაცემა საკმაოდ ინფორმაციული და მრავლისმომცველი იყო.

28 ოქტომბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები ძირითადად დაბალანსებული, მიუკერძოებელი, ინფორმაციული და ხშირად ანალიტიკური იყო. არჩევნების თემა საკმაოდ ინფორმაციულად და დეტალურად გაშუქდა. განხილული იყო როგორც ქართველი ექსპერტებისა და პოლიტიკოსების შეფასებები, ასევე უცხოელი ექსპერტებისა და ორგანიზაციების დასკვნები.

დადებითი და უარყოფითი ტონი მხოლოდ თავად ფაქტებისა და რესპონდენტების ტექსტებში ფიქსირდებოდა და არა ჟურნალისტის ტექსტში. ანალიტიკურად გაშუქდა კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც პრეზიდენტის უფლება-მოვალეობებს შეეხება (5 ნოემბერი), ეკონომიკური მდგომარეობა და ლარის კურსის რყევა (8 ნოემბერი), ასევე პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ ყოფილი პრეზიდენტის სტატუსი და პრივილეგიები (13 ნოემბერი). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში გავიდა რამდენიმე სიუჟეტი, რომელსაც სრული ინფორმაციისთვის აკლდა სხვადასხვა მხარის ბალანსი. მაგალითად შეიძლება დასახელდეს 11 ნოემბერს გასული სიუჟეტი გიორგი მარგველაშვილის ინტერვიუზე, რომელიც მან რუს ჟურნალისტებს მისცა. ნაჩვენებია იყო ფრაგმენტი ინტერვიუდან და შეფასებული იყო როგორც უმრავლესობის, ასევე უმცირესობის მხრიდან. თუმცა, რაც სიუჟეტს აკლდა, ეს არის მესამე მხარის, ექსპერტების აზრი. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში რამდენიმე არხზე და მათ შორის პირველ არხზეც, დათმობილი დროის მიხედვით პრემიერ-მინისტრი პირველ ხუთეულში აღარ მოხვდა, რადგან გიორგი მარგველაშვილს დაეთმო მეტი დრო. რაც შეეხება სუბიექტების გაშუქებას ტონის მიხედვით, დადებითი ტონის ყველაზე მეტი წილი გიორგი მარგველაშვილს დაუფიქსირდა (40%), შემდეგ პრემიერ-მინისტრს (25%) და მთავრობას (30%). უარყოფითი ტონის ყველაზე მეტი წილი კი პრეზიდენტს აქონდა (24%), თუმცა, აღსანიშნავია, რომ მის შემთხვევაში დადებითი და უარყოფითი წილი თითქმის თანაბრად იყო გადანაწილებული.

19 სექტემბერი - 26 ოქტომბერი 2013

19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გვხვდებოდა ვრცელი, ანალიტიკური და დაბალანსებული სიუჟეტები, სადაც მოცემული იყო რამდენიმე განსხვავებული პოზიცია. სიუჟეტების უმრავლესობა ამომწურავად და ობიექტურად აწვდიდა მაყურებელს

ინფორმაციას განხილულ საკითხზე. ზოგიერთი თემა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილებოდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში და სიღრმისეულად შექცდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, სოფელ დვანსა და ღიძში განვითარებული მოვლენები. ეს თემა ძალიან ხშირად შექცდებოდა და ყველაფერი დეტალურად და ამომწურავად იყო განხილული. აქვე, აღსანიშნავია, რომ აქტიურად შექცდებოდა წინასაარჩევნო პროცესი:

კანდიდატები ძირითადად განიხილებოდნენ სიუჟეტში „არჩევნები 2013“, რომელიც ყოველ დღე მზადდებოდა და მიმოიხილავდა საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამებსა და სამომავლო გეგმებს.

აღსანიშნავია, ოქტომბერში გასული არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების შესახებ სიუჟეტი, რომელშიც დაუფარავად და გაუფრთხილებლად იყო ნაჩვენები გარდაცვლილი მოზარდის დაზიანებული სხეული, ჭრილობები, სახე და ოჯახის წევრების გლოვის საკმაოდ მძიმე კადრები, რაც სიუჟეტს კიდევ უფრო ამძიმებდა და ამასთან, მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავდა.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, 19 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდშიც პირველ ხუთეულში ისევ მთავრობა (21%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (15%), კოალიცია ქართული ოცნება (12%), პრეზიდენტი (8%) და პრემიერ-მინისტრი (7%) მოხვდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი პრეზიდენტს (52%) და პრემიერ-მინისტრს (34%) დაუფიქსირდათ.

მართალია, ვერცერთი საპრეზიდენტო კანდიდატი დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ვერ მოხვდა, თუმცა, მათ დრო საკმაოდ თანაბრად ეთმობოდათ. ნინო ბურჯანაძეს, გიორგი მარგველაშვილს და დავით ბაქრაძეს დრო ერთ წუთიანი განსხვავებით დაეთმოთ. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონს, ყველა მათგანის შემთხვევაში ჭარბობს დადებითი ტონი.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ მოხვდა სიუჟეტი მდინარე ცხენისწყალში გაუონილი დარიშხანის შესახებ, რომლის წყლითაც რამდენიმე ქალაქი მარაგდება.

18 აგვისტოდან 18 სექტემბრის ჩათვლით

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გვხვდებოდა ვრცელი, ანალიტიკური და დაბალანსებული სიუჟეტები. ზოგიერთი თემა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილებოდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში და სიღრმისეულად შექცდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, მეცხრე არხის გარშემო

განვითარებული მოვლენები და სოფელ ჭელაში მინარეთის მოხსნა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იყო სიუჟეტებიც, რომლებშიც იგრძნობოდა ანალიტიკისა და სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით სექტემბრიდან შეიმჩნეოდა. იყო შემთხვევები, როდესაც რომელიმე გაშუქებულ ამბავს საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტალი აკლდა, რაც სხვა არხებზე შექდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ შემთხვევებში ხშირად ბალანსი დაცული იყო და სხვადასხვა მხარის მოსაზრება იყო წარმოდგენილი, სიუჟეტი არ გადმოსცემდა სრულყოფილ ინფორმაციას. ასეთი ტენდენცია სიუჟეტებს მშრალს და ზედაპირულს ხდიდა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ 11 სექტემბრის სიუჟეტი დავით ბაქრაძის ვიზიტზე ზუგდიდში, სადაც მას ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ვირზე დადებული დიდი ხელოვნური ფალოსით დახვდა. ეს დეტალი პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არც აჩვენეს და არც ახსენეს. დავით ბაქრაძესთან დაკავშირებით მომდევნო დღეებში კიდევ იყო რამდენიმე ინციდენტი მოსახლეობასთან მისი შეხვედრების დროს, რომლებიც ასევე არ აჩვენეს.

მონიტორინგის ამ პერიოდში ხშირად შექდებოდა სოციალური საკითხები. სიღრმისეულად განიხილებოდა და შექდებოდა ისეთი თემები, როგორცაა: დაბინძურებული გარემო, მდგომარობა ციხეებში, მარტოხელა დედების პრობლემა, სოფლებში სკოლების პრობლემა და ა.შ.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ამ პერიოდში თვალში საცემია სხვა სუბიექტებთან შედარებით მთავრობისთვის დათმობილი საკმაოდ დიდი დრო (23%). თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ იგივე ტენდენცია დაფიქსირდა ყველა სხვა არხზეც, აჭარის ტელევიზიის გარდა. სექტემბერში იმატა პრეზიდენტის აქტივობების, მისი გამოსვლებისა და განცხადებების გაშუქებამ. პირდაპირი და ირიბი საუბრის გრაფიკზე ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრემიერ-მინისტრს საერთო ჯამში უფრო მეტი დრო (12%) დაეთმო, ვიდრე პრეზიდენტს (9%), პრეზიდენტის პირდაპირი საუბრის წილი (58%) მკვეთრად აღემატება ბიძინა ივანიშვილის პირდაპირი საუბრის წილს (22%).

მართალია, ვერც ერთი საპრეზიდენტო კანდიდატი დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ვერ მოხვდა, მათ დრო საკმაოდ თანაბრად ეთმობოდათ. აღსანიშნავია, რომ საპრეზიდენტო კანდიდატების შესახებ სიუჟეტები, კონკრეტული გამოწვევების გარდა, ქრონომეტრაჟთან ერთად შინაარსითა და სტილითაც ძალიან გავდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონს, ყველა მათგანის შემთხვევაში ჭარბობს დადებითი ტონი, რაც გარკვეულწილად მათი კამპანიების ფარგლებში გამოსვლების, განცხადებებისა და ხშირი პირდაპირი საუბრის გაშუქების შედეგია.

კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი გიორგი მარგველაშვილს (77%) და დავით ბაქრაძეს (76%) დაუფიქსირდათ.

17 ივლისი-17 აგვისტო 2013

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ივლისის მეორე ნახევარსა და აგვისტოს პირველ ნახევარში სიუჟეტები ძირითადად ფაქტებზე დაყრდნობით იყო აგებული, წარმოდგენილი იყო ფაქტის წინაპირობა ან ქრონოლოგია. თუმცა, იგრძნობოდა, რომ სიუჟეტის ავტორები ცდილობდნენ შეფასებითი კომენტარებისგან თავი შეეკავებინათ. შესაბამისად, ნაკლებად იგრძნობოდა პოლიტიკური მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ. პოლიტიზირება არ შეინიშნებოდა აგრეთვე სოციალური თემების გაშუქებისას, არ ხდებოდა ამ თემების დაკავშირება რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან.

პირველ არხზე გახშირდა საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიის გაშუქება, კანდიდატების ვიზიტები რეგიონებში და სხვადასხვა აქტივობები. როგორც წესი, კანდიდატების კამპანია ცალკე სიუჟეტად შექდებდა, ზოგჯერ რამდენიმე კანდიდატის აქტივობა ერთად. თუმცა, საინტერესოა 3 აგვისტოს სიუჟეტი თუშეთობის შესახებ, სადაც მთის ტრადიციული დღესასწაულის თითქოს არაპოლიტიკურად გაშუქებისას, რომელიც საკმაოდ პოზიტიური ტონით, მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა, სიუჟეტის მეორე ნახევარში ქართული ოცნების საპრეზიდენტო კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გამოჩნდა და დადებითადაც წარმოჩინდა.

პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქების ტონი პირველ არხზე საკმაოდ დადებითია ძირითადი კანდიდატების მიმართ. ბაქრაძისა და მარგველაშვილისთვის დათმობილი დროის თითქმის ნახევარი დადებითადაა გაშუქებული. სხვა მთავარი სუბიექტების მიმართაც, როგორებიცაა მთავრობა, პრემიერ-მინისტრი, პრეზიდენტი გამოვლინდა დადებითი გაშუქების შედეგებით მაღალი მაჩვენებელი 19-26 პროცენტი. გარკვეულწილად ეს განაპირობა აგვისტოს დასაწყისში ომის თემასთან დაკავშირებულმა აქტივობებმა და სიუჟეტებმა. კრიტიკა და უარყოფითი გაშუქება ნაკლებად შეინიშნება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე ივლისიდან სიუჟეტები წინა პერიოდებისგან განსხვავებით უფრო მეტად ანალიტიკური იყო. თუმცა, მაინც გვხვდებოდა სიუჟეტები, სადაც ინფორმაცია მხოლოდ ფაქტების მშრალი გადმოცემით შემოიფარგლებოდა. აღსანიშნავია, რომ ზოგი თემა საკმაოდ ამომწურავად, საჭირო განმარტებებითა და შეფასებებით

იყო წარმოდგენილი. მაგალითად, ინფორმაცია თერულ სამალავებზე სხვადასხვა კუთხიდან და ანალიტიკურად გაშუქდა. გირგვლიანის საქმე ოთხი დღის განმავლობაში შექდებოდა ყოველდღიურად და ძალიან ვრცლად. ზოგადად, სიუჟეტები ამ თემაზე არცერთი მხარის მიმართ ტენდენციური არ იყო. ივლისიდან გახშირდა სიუჟეტები მეტი ანალიზის წარმოდგენის შემთხვევები. მაგალითად, სიუჟეტები სამშენებლო კომპანია „ცენტრონის“ საქმეზე საკმაოდ ანალიტიკურად გაშუქდა. მიუხედავად ამისა, პირველ არხზე გვხვდებოდა სიუჟეტები, სადაც აზრთა მრავალფეროვნებისა და მხარეების წარმოდგენის მხრივ ბალანსი დარღვეული იყო, მოვლენა მხოლოდ ერთი მხრიდან იყო გაშუქებული ან ამბავი სრულად და ამომწურავად გადმოცემული არ იყო.

რაც შეეხება სიუჟეტებში მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების ტონს, უმეტესად ჭარბობს ნეიტრალური ტონი. დადებითი გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრემიერ მინისტრისა და პრეზიდენტის მიმართ დაფიქსირდა - 12 და 10 პროცენტი. პრემიერ მინისტრის დადებითი გაშუქების ერთ-ერთი მაგალითია სიუჟეტი ისრაელში მისი ვიზიტის შესახებ, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ივანიშვილის სტუმრობა. თუმცა, ამასთან, პრეზიდენტს უარყოფითი ტონის შედარებით მაღალი მაჩვენებელი აქვს - 23 პროცენტი. ისევე როგორც, ერთიან ნაციონალური მოძრაობას - 16 პროცენტი.

15 მაისი - 15 ივნისი

მონიტორინგის პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა 8-საათიან „მოამბეში“ და პოლიტიკურ თემებთან ერთად სოციალური თემატიკაც გააშუქა.

მაგალითად, სიუჟეტი პანკისის სკოლებში ჩეჩნური ენის სწავლების მოთხოვნაზე მხოლოდ პირველ არხზე გაშუქდა. პირველი არხის საინფორმაციო გამოშვებაში რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოება ნაკლებად შეინიშნებოდა, რაც რაოდენობრივ მონაცემებშიც აისახა იმ მხრივ, რომ ძირითადი სუბიექტების მიმართ ნეიტრალური ტონი ჭარბობდა და დადებითი თუ უარყოფითი გაშუქების მაღალი მაჩვენებლები არ დაფიქსირებულა. ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ გამოიკვეთა, რაც გარკვეულწილად ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას შეიძლება, დავეუკავშიროთ.

პირველ არხზე სიუჟეტებში შესამჩნევი იყო რამდენიმე მხარის თანაბრად წარმოდგენის მცდელობა. მიუხედავად ამისა, ინფორმაციის მოწოდებისას უფრო ხშირი იყო მშრალ ფაქტებზე აგებული სიუჟეტები და იგონებოდა ანალიზის ნაკლებობა.

უერთნაღობო ეთიკის ქართის დასკვნა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (პირველი არხი) საინფორმაციო პროგრამებში ორივე პარტია, როგორც ქართული ოცნება, ასევე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა უმეტესად ნეიტრალურად გაშუქდა თითქმის თანაბარი პროპორციით (16 პროცენტი და 17,9 პროცენტი შესაბამისად). ყველაზე უფრო ხშირად წარმოდგენილი პოლიტიკური ერთეული იყო მთავრობა, რომელიც 34,5 პროცენტით გაშუქდა ძირითადად ნეიტრალური ტონით. შედარებისათვის უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტი 9,3 პროცენტით გაშუქდა და ეს გაშუქებაც ძირითადად ნეიტრალური იყო. თუმცა მონიტორინგის მეორე პერიოდში მთავრობის გაშუქება შემცირდა (პირველი მონიტორინგის პერიოდში 50 პროცენტიდან მეორე მონიტორინგის პერიოდის 31,2 პროცენტამდე). ამავე დროს, გაიზარდა პოლიტიკური პარტიების გაშუქების წილი, განსაკუთრებით ქართული ოცნებისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა. ოდნავ გაზარდილი იყო პრეზიდენტის გაშუქება (7,4-დან 9,4 პროცენტამდე), რაც განპირობებული იყო მონიტორინგის პერიოდში პრეზიდენტის აქტივობით (მაგ.: პრეზიდენტის გამოსვლა გაეროსა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობაზე).

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებას, ორივე ლიდერს – გიორგი მარგველაშვილსა და დავით ბაქრაძეს – შედარებით თანაბარი პროპორციები დაეთმო (12,7 პროცენტი და 17 პროცენტი შესაბამისად) და საინფორმაციო პროგრამის პრაიმ-თაიმში ორივე კანდიდატი ნეიტრალურად ან პოზიტიურად გაშუქდა. გაშუქების დროის სიდიდის თვალსაზრისით პრეზიდენტობის შემდეგ კანდიდატებს, გიორგი თარგამაძესა და ნინო ბურჯანაძეს შესაბამისად დროის 14 პროცენტი და 15 პროცენტი დაეთმო. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს პირდაპირი დროის ყველაზე დიდი რაოდენობა ჰქონდა.

მონიტორინგის პერიოდში მონიტორინგის ჯგუფი ძირითად ყურადღებას აქცევდა ანონსს 19.00; მთავარ საინფორმაციო გამოშვებას „მომხმე“ 20:00 და პოლიტიკურ თოქ-შოუს „პირველი სტუდია“, რომელიც 1 ოქტომბერიდან დაიწყო.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის (პირველი არხის) თვისობრივმა ანალიზმა პირველი მონიტორინგის პერიოდში აჩვენა, რომ არხი იცავდა ქვეყნის კოდექსს და მისი საინფორმაციო პროგრამის სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო. შეიმჩნეოდა მხოლოდ რამოდენიმე შემთხვევა, როდესაც საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლმა გადაუხვია ამ პრინციპებს. მაგალითად, 15 სექტემბერს საინფორმაციო პროგრამა „მომხმეში“ იყო პრეზიდენტის ინტერვიუ, რომელიც 2 წუთსა და 40 წამს გაგრძელდა. ინტერვიუს მსვლელობისას პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრი გააკრიტიკა თბილისის შემოვლითი რკინიგზის შეჩერების გამო.

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ უცდია საპასუხო პოზიციის პრემიერ-მინისტრისგან ან მთავრობის სხვა წარმომადგენლისგან მოპოვება.

მონიტორინგის მეორე პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გამოშვებებში ყველა მნიშვნელოვანი თემა გაშუქდა, სიუჟეტების აბსოლუტური უმრავლესობა დაბალანსებული იყო, არ დაფიქსირებულა რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება, თუმცა დაფიქსირდა რამდენიმე პრობლემატური სიუჟეტი. ამ პერიოდის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა კონფლიქტის ზონაში მდებარე სოფელ დვანში განვითარებული მოვლენები იყო. დვანის თემას დიდი დრო დაეთმო, განსაკუთრებული ყურადღება გამყოფი ხაზის მეორე მხარეს აღმოჩენილი სამი ოჯახის ბედზე იყო გამახვილებული, სიუჟეტის მიხედვით სამი ოჯახი იძულებით ტოვებდა სახლ-კარს და საცხოვრებლის გარეშე რჩებოდა. არსად თქმულა, რომ ამ სამ ოჯახს ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს ჰქონდა მიღებული საცხოვრებელი კოტეჯები და ფულადი კომპენსაცია. სხვა მედია საშუალებების რეპორტაჟებში ეს დეტალები ჩანდა, 1 არხის მაყურებელმა კი ეს ინფორმაცია, მხოლოდ გადაცემა “პირველ სტუდიაში” 7 ოქტომბერს შეიტყო რეინტეგრაციის მინისტრის პაატა ზაქარეიშვილისგან, რომელიც სტუდიის სტუმარი გახლდათ.

1 ოქტომბრიდან საზოგადოებრივ მაუწყებელზე გადაცემა “პირველი სტუდია” დაიწყო. თოქ-შოუ ყოველ დღე გადის შაბათ-კვირის გარდა.



«პირველი სტუდია» -ახალი სეზონიდან პრინციპული სახეცვლილება განიცადა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა თოქ-შოუმ. მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ არხზე პოლიტიკურმა შოუმ დაიკავა ყოველდღიური ეთერის 21:00 საათიანი ზოლი და მისი წამყვანი გახდა ეკა მიშველაძე. არხის სამაუწყებლო და სარედაქციო პოლიტიკა მდგომარეობდა და დღესაც მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკური შოუ იყოს ორიენტირებული არა სკანდალზე, სენსაციაზე, არამედ იყოს სერიოზული, დაფიქრებული და კვალიფიციური მსჯელობა ყველა იმ საკითხზე, რომელიც აწუხებს საზოგადოებას და რომელიც ახალი, აქტუალური და ყურადსაღებია. ამან განაპირობა პროგრამის წამყვანის სტილისტიკა - სტაბილური ინტონაცია, მშვიდი მსჯელობა, დისკუსია, საუბარი და არა სკანდალი, მულერადი ტონალობა, ისტერიული დაპირისპირება. რაც მთავარია, ეს შოუ, ისე როგორც საინფორმაციო გამოშვებები და ზოგადად ტელემაუწყებლობის ყველა არხზე არსებული გადაცემა, სრულად განთავისუფლდა რამე სახის პოლიტიკური ზეგავლენისგან, დიქტატისგან, სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ზეწოლისგან.

იმის გამო, რომ მრავლი წლის განმავლობაში ქართულმა ტელეარხებმა მოსახლეობა მიაჩვია პოლიტიკურ შოუებში მკვეთრ სანახაობას, ბუტაფორულ აჟიოტაჟს და ზედაპირულ, ხშირად ხელოვნურად შექმნილ სენსაციას და სკანდალს, ბუნებრივია, ამ ტიპის ახალმა პროექტმა მაყურებლის გამორჩეული ინტერესი ვერ შეიძინა, მით უფრო, რომ პარალელურად ე.წ. რეიტინგულ არხებზე კვლავ გრძელდებოდა და დღემდე გრძელდება პოლიტიკური შოუების სენსაციური და ისტერიული ტონალობა. მიუხედავად «პირველი სტუდიის» შედარებით დაბალი რეიტინგისა, ჩვენ მომავალშიც ვეცდებით არ შევცვალოთ გადაცემის ტონალობა და კვლავ დაფიქრებულად და კომპეტენტურად ვიმსჯელოთ ყველა პრობლემურ საკითხზე.



საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, მისმა პირველმა არხმა მაყურებელი აუცილებლად უნდა მიაჩვიოს იმას, რომ პრობლემაში გასარკვევად პირველ რიგში პრობლემის არსში უნდა გავერკვეთ და ღრმად და საფუძვლიანად უნდა ვიმსჯელოთ მასზე, არ გამოვეკიდოთ იაფფასიან სკანდალს და მომაბეზრებელ, არათრისმომცემ სანახაობებს. პირველი არხის მიზანი ღღეს არის და, იმედია, მომავალშიც იქნება რეალურად დაეხმაროს მაყურებელს, საზოგადოებას სხვადასხვა სახის საკითხებში სიღრმისეულ წვდომასა და მათი მოგვარების გზების ძიებაში.

“პირველი სტუდია,, - (ქრ.52 წთ. – 90 წთ. კვირაში ორჯერ)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ. ფორმატი გულისხმობს თოქ-შოუს დღის ყველაზე აქტუალურ საკითხზე. შოუ მოიცავს დისკუსიას კვალიფიციური სტუმრების მონაწილეობით.

2013 წლის შემოდგომის სეზონზე გადაცემის ინტენსიობა იყო კვირაში ხუთი დღე. კვირის ბოლო (პარასკევის) გადაცემაში სტუმრებთან ერთად მონაწილეობას იღებს მონწვეული აუდიტორია. დამსწრე საზოგადოებას საშუალება აქვს ჩაერთოს პოლემიკაში, გამოხატოს საკუთარი აზრი კონკრეტული თემის შესახებ.

ნამყვანი: ეკა მიშველაძე

საზოგადოებრივ - სოციალური პროექტები: „რეალური სივრცე,,



(ქრ.90 წთ. კვირაში ერთჯერ)




საზოგადოებრივ-სოციალური თოქ-შოუს ფორმატი გულისხმობს სოციალური თემატიკის შემცველ გადაცემათა ციკლს, სადაც კონკრეტული ადამიანის ან ადამიანების ყოფითი პრობლემა ხდება განსჯის და დისკუსიის საგანი. ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა სუბიექტი იღებს გადაცემაში მონაწილეობას. პრობლემის გაშლა იწყება ერთი კონკრეტული მაგალითით, ერთი კონკრეტული ადამიანის პრობლემით და ხდება ამ პრობლემის განზოგადება. პროექტის მიზანია მოხდეს კონკრეტულიდან ზოგადისკენ სვლა და მოძიება პრობლემის იმ სათავის, საიდანაც იწყება ესა თუ ის რთული სოციალური პრობლემა. მსგავსი ფორმატის გადაცემა ქართულ ტელევიზორებში არ არის. მხოლოდ სოციალური შინაარსის საკითხის გამწვანების შემთხვევაში მიმართავდნენ პოლიტიკური თოქ-შოუები ამ ტიპის თემატიკას. ჩვენს მიერ შეთავაზებულ გადაცემაში კი ხშირად საუბარია ისეთ საზოგადოებრივ-სოციალურ თემებზე, რომლებიც აქტუალობას არ კარგავენ, რომლებიც პრობლემად რჩება საზოგადოებაში, მაგრამ მათ ხშირად ივინწყებს მედია, თუ რაიმე კონკრეტულმა ფაქტმა ან მოვლენამ არ გაამძაფრა საკითხი. (მაგ. ნარკომანია, ძალადობა ოჯახში, ყოფილი პატიმრების რეაბილიტაციის, ბავშვთა და ქალთა უფლებების, ეკოლოგიის საკითხები და ა.შ.).

საზოგადოების მხრივ სოციალურ თემაზე შექმნილ მსგავსი ფორმატის გადაცემას პოზიტიური შეფასება მოჰყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემამ გაიჩინა თავისი ერთგული მაყურებელი და დაიმკვიდრა თავისი ნიშა ტელეზაზარზე.

გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს რეპორტაჟს, რასაც მოჰყვება საუბარი სპეციალურ სტუმრებთან და ხდება პრობლემის სხვადასხვა კრილში გაშლა. ეთერში გასულია 23 გადაცემა.

წამყვანი - ნინო ზაუტაშვილი.



„ტელებლოგი“ – (ქრ. 35 ნთ. კვირაში ერთხელ)



„მომავლის“ ჯგუფის მიერ შექმნილი პროექტია, რომელიც ერთ კონრეტულ პრობლემას, ერთი საინტერესო ადამიანის ცხოვრებას სატელევიზიო დოკუმენტალისტიკის, პორტრეტული, პრობლემური ან თემატური ტელენარკვევის ფორმატში ასახავს. სატელევიზიო ჟურნალის ფორმატის კვირის ანალიტიკური პროექტით პირველი არხის ჟურნალისტები საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ თემებზე სატელევიზიო ფილმ-რეპორტაჟებს ამზადებენ.

ყოველ კვირას ერთი ჟურნალისტის მიერ მომზადებული ფილმი გადაიყვება. თითოეული ჟურნალისტი საკუთარ ხედვას წარმოადგენს და სვამს პრობლემას, რომელიც საზოგადოებას აწუხებს.

მომავლის სსიპ „საზოგადოებრივი ტელევიზიის“ გენერალური დირექტორი

კულტუროლოგიური და შემეცნებითი პროექტები:

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს „დღის,, ფორმატი. მასში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მაყურებლის სურვილი და ინტერესი. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პროექტი, რომელიც საზოგადოების მატყისცემას ყველაზე კარგად გრძნობს. სეზონის პირველი პერიოდის დაკვირვებამ და ანალიზმა აჩვენა, რომ მაყურებლისთვის საინტერესო იყო ე.წ. „ცხელი თემები,, და წამყვანების, სტუმრების აზრი და შეხედულება დღეს იმაზე, რაც მოხდა გუშინ და რაც ხდება მოცემულ მომენტში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ გადაცემაში მაყურებელს ინტერაქციის შესაძლებლობა ეძლევა. ანუ, არსებობს სატელევიზიო სივრცე, სადაც საზოგადოების ნაწილს თავისი აზრის დაფიქსირება ღიად შეუძლია. პროგრამა «დღეს» პირდაპირ ეთერში მაუწყებლობს ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა და ის მრავალ თემას მოიცავს. პროექტის მნიშვნელოვანი სეგმენტია მარი მალაზონიას სამედიცინო გვერდი, რომელმაც უკვე დიდი ხანია მოიპოვა მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი და პოპულარობა. აღსანიშნავია, რომ ამ რუბრიკაში არ ხდება რომელიმე კონკრეტული სამედიცინო დანესებულების, ან მედიკამენტის პოპულარიზაცია ან რეკლამირება. ეს არის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობამ მოახდინოს ამა თუ იმ დაავადებაზე სწრაფი და დროული რეაგირება, გაერკვეს დაავადების მიმდინარეობის საკითხებში, იზრუნოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაზე და, რაც მთავარია, მოსცეს მაყურებელს კვალიფიციური ინტერაქტიული კონსულტაციები მისთვის საინტერესო საკითხებზე.



ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის მოწოდებას ემსახურება «დღის» კიდევ ერთი რუბრიკა - კულინარიული რჩევები, სადაც წამყვანი ყოველ დღე ამზადებს ამა თუ იმ კერძს. ეს არ არის მხოლოდ კულინარიული რეცეპტები, ამ რუბრიკის მიზანია ექიმ-ნუტრიციოლოგ მარი მაღაზონიასთან ერთად, მაყურებელს განუმარტოს თითოეული პროდუქტის, საკვებში გამოყენებული ნებისმიერი ინგრედიენტის თვისებები, მათი ვარგისიანობა, ჯანმრთელობისთვის სარგებელი და.ა.შ. შუადღის ლაივ-შოუს მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს მისი მუსიკალური გაფორმება. ცოცხალი ბენდი, რომელიც ყოველდღიურად პროგრამაში არ არის მხოლოდ მუსიკალური შპალერის ფუნქციის მატარებელი. ამ ბენდის და ამ რუბრიკის წამყვანის ლადო ტატიშვილის უმთავრესი მიზანია მაყურებელს ხარისხიანი მუსიკა შესთავაზოს და ამასთან მიანოდოს ინფორმაცია საუკეთესო კომპოზიციების, მუსიკოს-შემსრულებლების შესახებ. ასე რომ, პროგრამა «დღეს» მეტად დატვირთული და მრავალმიზნობრივი ინფორმაციის შემცველი პროექტია, რომლის იგივე ფორმატით არსებობაც გამართლებულად მიგვაჩნია მომავალ საფორუმო სეზონშიც.

“დღეს” -(10:30-14:00 ყოველდღე უქმეების გარდა)

გასართობ-შემეცნებითი შოუ, რომლის მიზანია ყოველ სამუშაო დღეს მოგვანოდოს სასარგებლო და საინტერესო ინფორმაცია ჩვენთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

გადაცემის ნაწილი ეთმობა იმ მოვლენას, რომელიც იმ კონკრეტული დღისთვის არის აქტუალური და მნიშვნელოვანი. სოციალურ, საზოგადოებრივი, კულტუროლოგიური, საგანმანათლებლო, სპორტული ამბების განხილვა სტუმრებთან ერთად ხდება. გადაცემა ინტერაქციულია (მაყურებლის ზარები).

ექიმის რჩევა-კონკრეტული თემატიკის გარშემო საუბრები პროფესიონალთან ერთად .ინტერაქცია (მაყურებლის ზარები).

ცნობილი მუსიკალური შემსრულებლების საზოგადოებრივი ცხოვრების ცნობილი და უცნობი დეტალები - რუბრიკას ლადო ტატიშვილი უძღვება.

სამზარეულო-წამყვანი ამზადებს კერძს და მაყურებელს ასწავლის, თუ როგორ უნდა მოამზადოს ეს კონკრეტული კერძი, აწვდის რეცეპტს.

პირდაპირი ჩართვა - კულტურულ საგანმანათლებლო სიახლეების ანონსირება.

გადაცემა მუსიკალურად გაფორმებულია ცოცხალი ბენდის მიერ.

წამყვანები: სალომე დადუნაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ნინო ზაურაშვილი, ნინო კურატაშვილი, მარი მალაზონია, გიორგი ჩხეიძე, ვახო კანდელაკი, თეკლა გოგოლაშვილი, ლადო ტატიშვილი.




სატელევიზიო დოკუმენტალისტიკა - საზოგადოებრივი მაუწყებელი დღევანდელ სატელევიზიო ბაზარზე ერთადერთია, რომელიც უმნიშვნელო ტელედოკუმენტალისტიკის ჟანრის პროდუქციას. მაყურებელს კვირაში ერთხელ საშუალება აქვს ქართულ დოკუმენტურ ფილმს უყუროს სრულიად განსხვავებულ თემებზე. შესაძლებელია, კონკრეტულ დოკუმენტურ ფილმთან ან შერჩეულ თემასთან არსებობდეს გარკვეული პრეტენზია, მაგრამ თავისთავად მოვლენა, რომ ამ, მაუწყებლისთვის რთულ პერიოდში, ხერხდება მაყურებლისთვის დღის მანძილზე ოთხი ახალი ორიგინალური დოკუმენტური ფილმის შეთავაზება, აღნიშვნის ღირსია. ხელს შექმნილი ფილმებიდან რამდენიმე წარდგენილი იყო ფესტივალებზეც. ახალ სეზონზე გადასვლები ფილმების დაგეგმვისას, გასათვალისწინებელია მნიშვნელოვანი მოვლენები, თარიღები და მნიშვნელოვანი ადამიანები, რომლებზეც შეიქმნება ფილმები. ანუ საჭიროა მეტი

პუბლიცისტიკის ჩართვა ამ სტუდიის მიერ შექმნილ პროდუქციაში. რამდენადაც სამაუწყებლო მედიაში ტელედოკუმენტალისტიკა არის სამაუწყებლო ბადის ნაწილი, ის უპირობოდ უნდა მისდევდეს სატელევიზიო პუბლიცისტიკისთვის დამახასიათებელ სტრუქტურას და უმეტეს შემთხვევაში უნდა ეხმარებოდეს ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, პრობლემას თუ საკითხს, რომელიც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არის საყურადღებო მაყურებლისთვის. ანუ სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი უნდა გახდეს იმ ჟურნალისტური პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც იქმნება არხზე სხვა ჟურნალისტურ ნაწარმოებებთან ერთად. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების სტუდიას გასულ სეზონშიც დაგეგმილი ჰქონდა იმგვარი პროდუქციის შექმნა, რომელიც წარმოაჩენდა ჩვენი ქვეყნის ყველა იმ მნიშვნელოვან მოვლენას, რომლითაც დაინტერესდებოდა არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მაყურებელიც და რომელსაც შეიძლება დაეკავებინა სხვა ქვეყნების სატელევიზიო მაუწყებლობის ეთერიც. დაგეგმილი იყო ქართული კულტურის, სპორტის და მეცნიერების ანთოლოგიის შექმნა. ის დაეყრდნობოდა საქართველოში, მათ შორის საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებულ უძვირფასეს არქივებს. ამ ანთოლოგიის შექმნას სჭირდება სერიოზული ფინანსური საფუძველი, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმდინარე სეზონში არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, დამატებითი თანხების, გრანტების მოძიებაზე, რომელიც ამ საუკუნოვანი პროექტის განხორციელებას შეუწყობს ხელს და რომლის თარგმნის შემდეგ, იმედს ვიტოვებთ, რომ მსოფლიოს წამყვან ტელეარხებსაც დავაინტერესებთ.

ქართული დოკუმენტალისტიკა - (ქრ. 26 წთ. კვირაში ერთხელ)

სხვადასხვა ჟანრის და თემატიკის სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები, რომლებიც საინტერესო ადამიანების, მნიშვნელოვანი მოვლენების, გამორჩეული მოვლენების შესახებ მოგვითხრობს.

უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტური სტუდიის მიერ მომზადებული ორი ფილმი „ხელმწიფე“ (რომელიც ეთერში ჯერ არ გასულა) და „მე პატარა ქართველი ვარ“ თბილისის საერთაშორისო ფესტივალზე „პრომეთე“ იყო წარდგენილი, ეს უკანასკნელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის ფესტივალზეც წარიგზავნა.



ყოველი თვის ბოლოს გადის დოკუმენტური ფილმი „გააგრძელე საქართველოს ისტორია“ რომელიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პერიოდის ერთი კონკრეტული მონაკვეთის შესახებ მოგვითხრობს. ფილმის დადგმითი ელემენტები ისტორიას უფრო ადვილად აღსაქმელს ხდის.

ავტორი და წამყვანი - გურამ ქართველიშვილი



- (ქრ. 52 წთ. კვირაში ერთხელ)

დიდი ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი, რომელსაც დიდი გამოხმაურება აქვს საზოგადოებაში და რომლის შესახებაც არხის მიმართ ყველაზე კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების თანხმდებიან, რომ ეს სწორედ ის პროექტია, რა ტიპის პროექტებიც უნდა იყოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

პროექტის უმთავრესი მიზანი არის მაყურებლის მობრუნება წიგნიერებისკენ. განსაკუთრებით ახალგაზრდების. ამავდროულად, პროექტი კარგად ავლენს წიგნიერების დღევანდელ სახესაც. წიგნის, ლიტერატურის პოპულარიზაციისთვის პროექტში ჩაერთვნენ ქართული საზოგადოების ცნობილი და პოპულარული სახეები. იმედია, მათ მიერ მომზადებული პრეზენტაციების შედეგად, მაყურებლის გარკვეული ნაწილი მაინც დაინტერესდება წიგნთან ურთიერთობით. პროექტის ნამყვანია ცნობილი პოეტი რატი ამალღობელი. პროექტში ჩართულია თითქმის ყველა საგამომცემლო სახლი და სტამბა. უნდა აღინიშნოს გადაცემის დინამიკა და ვიზუალური მხარე, რომელიც არ გაძლევს მოდუნების, გადართვის საშუალებას. მოწოდებული ვიზუალური თუ ტექსტუალური ინფორმაცია არის მაქსიმალურად დანერგული, მაგრამ, ამავდროულად, ამომწურავი და ხშირად, ერთ კონკრეტულ რეგიონში გადაღებული რამდენიმე კადრი, გაცილებით მეტყველია, გაცილებით ბევრს გვეუბნება ამ ქალაქის თუ სოფლის ყოფაზე, ვიდრე რეგიონებზე მომზადებული ცალკეული გადაცემები. პროექტი არსებული ადამიანური რესურსით მომზადდა, მცირე ფინანსური დანამატის ხარჯზე.

ამ ფორმატში ყოველ კონკრეტულ სეგმენტს წარადგენს ერთი წარმდგენი- ცნობილი ლიტერატორი ან საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი. ამავც ფორმატში თითოეულ სეგმენტზე კეთდება მოკლე დოკუმენტური ფილმები.

ნამყვანი - რატი ამალღობელი



ვიღვე ერთი კულტუროლოგიური და შემცნებითი პროექტი, რომელიც წარმოადგენს პოეტ დავით მალრაძის საავტორო გადაცემას. ამ პროექტმა ჩაანაცვლა თამაზ ტყემალაძის საავტორო გადაცემა «შეხვედრები მცხეთაში». აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეს უკანასკნელი ინერებოდა მცხეთაში ერთ-ერთი რესტორნის დარბაზში, რაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაცემის ვიზუალური ნაწილის ერთგვარ ნაკლოვანებას წარმოადგენდა. ეს ვიზუალური მხარე მოქმედებდა მისდამი სატელევიზიო სეგმენტ-აუდიტორიის განწყობაზეც. რესტორნის დარბაზის ინტერიერში მიმდინარე ინტელექტუალური საუბრები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე, სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხებზე, საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანების მონაწილეობით ვერ ქმნიდა საჭირო განწყობას და სერიოზული დისონანსი შემოჰქონდა საუბრის კონტენტში. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადაცემას ჰყავდა მისთვის დამახასიათებელი სამიზნე აუდიტორია. ეს იყო უფროსი თაობის მაყურებელი, რომელიც ერთგვარი ნოსტალგიური განწყობა აქვს წარსული ყოფის დადებითი ცხოვრებისეული მომენტებისადმი. გადაცემის წამყვანის და ადგილმდებარეობის შეცვლამ, სრულად შეცვალა მისი როგორც სეგმენტ-აუდიტორია, ასევე ზოგადი განწყობაც და სახეც. მწერალთა სახლის ინტერიერი, ვფიქრობ, კარგად მოერგო გადაცემის მთავარ დანიშნულებას. ასევე ახალი წამყვანის, დათო მალრაძის დიალოგებიც საინტერესო სტუმრებთან, ყურადსაღებია მაყურებლისთვის.

"საქართველოს" მეტყველების მიერ

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალი სეზონის სამუწყებლო ბადის გასაახლებლად საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა ტენდერები სხვადასხვა მიმართულების პროექტებზე, მათ შორის ტელესერიალზეც. კანონის ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც გულისხმობს ბადეში გარე სტუდიების წარმოებული პროდუქციის მინიმუმ 25 პროცენტის განთავსებას, ამ ტენდერის საფუძველზე პირველი არხის პროგრამაში უნდა ჩამტდარიყო გადაცემები ფოლკლორის და ეთნოკულტურის, საბავშვო, ხელოვნების და კულტურის, სპორტული მიმართულებით და ა.შ. ტენდერი ჩატარდა, მაგრამ მისი დასრულება დაემთხვა საზოგადოებრივ მაუწყებელში ახლად აგორებულ დესტაბილიზაციას (სამეურვეო საბჭომ მეორედ გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან გენერალური დირექტორი.) ამასთან, სატენდერო მოთხოვნები სრულად ვერ დააკმაყოფილა ვერც ერთმა მონაწილემ, რის გამოც, ტენდერი უშედეგოდ დასრულდა და ზოგიერთი მიმართულების გადაცემის მომზადება ადგილობრივი ძალებით გახდა აუცილებელი. ამ გადაცემებს შორის არის გადაცემა რეგიონალურ თემატიკაზე და ხალხურ მოტივებზე.

“შეხვედრები მწერალთა სახლში” - (ქრ. 52 წთ. - კვირაში ერთხელ)

ინტელექტუალური სატელევიზიო საუბრები ცნობილ საზოგადო მოღვაწეებთან.

წამყვანისა და მოწვეული სტუმრის საუბარი შეეხება როგორც ამ კონკრეტული პიროვნების ბიოგრაფიის ცალკეულ ეპიზოდებს, ასევე მის ხედვას საზოგადოებისათვის საინტერესო საკითხებზე.

გადაცემის წამყვანი - დავით მალარაძე

პროექტები რეგიონალურ თემატიკაზე

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხზე მრავალი წელი არ არსებობდა საქართველოს რეგიონებში მიმდინარე მოვლენების ამსახველი სპეციალური გადაცემები. არადა, მოგეხსენებათ I არხი არ არის მხოლოდ დედაქალაქის ტელეკომპანია. დღეს საკმაოდ ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება საქართველოს რეგიონებში და რაც მთავარია, სწორედ იმ მოლუნებელი

ყურადღების გამო, რომელსაც ქართული მედია ზოგადად იჩენს რეგიონების მიმართ, საკმაოდ ბევრი გადაუჭრელი პრობლემაც დაგროვდა თითქმის ყველა რეგიონში. ახალ სეზონზე I არხის ბადეში გაჩნდა



გადაცემა სახელწოდებით «**ლიხს იქეთ და ლიხს აქეთ**», რომლის თემატიკაც სრულად ეძღვნება რეგიონების ცხოვრებას. თუმცა არის რამდენიმე ხარვეზი, რომელიც საჭიროებს გამოსწორებას. უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ შესაცვლელია თავად გადაცემის სახელწოდება, რამდენადაც ის სატელევიზიო ფორმატის პროექტისთვის მძიმედ და არქაულად ჟღერს. ამასთან, თავად გადაცემაში უმეტესად ხდება რეგიონების თანამედროვე ყოფის და წარსულის ერთგვარი იდეალიზაცია და თითქმის არ არის საუბარი იმ პრობლემებზე, რომლებიც დაგროვდა ამ რეგიონებში. ამ მხრივ სერიოზული სახეცვლილება უნდა განიცადოს ამ პროექტმა. თუ ეს პროექტი შეიძენს რეგიონების ცხოვრების ობიექტური რეალობის ჩვენების მიმართულებას, ვფიქრობ, ის შეიძენს საკმაოდ დიდ აუდიტორიას, განსაკუთრებით საქართველოს რეგიონალური მოსახლეობის მხრიდან.



(ქრ. 26 ნთ. - კვირაში ერთხელ)

პროექტი ასახავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ყოფას. თუ რით არის გამორჩეული ესა თუ ის სოფელი, ქალაქი. მაყურებელი ეცნობა კონკრეტული რაიონის ისტორიას, მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლებს, აღმოაჩენს საინტერესო ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა ნიშით გამორჩეულები არიან თავიანთ რეგიონში.

გადაცემის წამყვანი - გია აბესალაშვილი

2014 წლის I იანვრიდან I არხის ეთერში გაჩნდა ახალი პროექტი «**შემოდახილი**», რომელიც ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის გაცნობასა და პოპულარიზაციას ეხება. ჩვენ ჩაფიქრებული გვქონდა არხზე შექმნილიყო ერთი ისეთი უნივერსალური გადაცემა, რომელიც ზოგადად ქართულ ფოლკლორს და



ეთნოკულტურას მოიცავდა და არა მის ცალკეულ მიმართულებებს, რადგან სამაუნწყებლო ბადის პროექტებისგან თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, არ არის გამართლებული ცალკეული პროექტები დამზადდეს ქართულ ხალხურ სიმღერაზე, ცეკვაზე, რენვაზე, ხატწერაზე, ხალხურ პოეზიაზე და ა.შ. უმჯობესია, შეიქმნას ისეთი უნივერსალური პროექტი, რომელიც პერიოდულად მოიცავდა ყველა ამ მიმართულებას და წარმოაჩენდა მათ შორის ურთიერთკავშირებს, პარალელური განვითარების ტენდენციებს. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაშიც ჩავარდნილმა ტენდერმა ვერ შეგვაძლებინა ამ ტიპის პროექტის განხორციელება და მის ნაცვლად, სამაუნწყებლო ბადეში ჩაჯდა მხოლოდ ქართულ ხალხურ მუსიკაზე არსებული მზა პროექტი, რომელიც მისმა ავტორმა გია ბალაშვილმა შემოგვთავაზა. მომავალში ჩვენ დავუბრუნდებით ეთნოკულტურის მოტივებზე შექმნილი უნივერსალური პროექტის იდეას პირობითი სახელწოდებით «ქართული მოტივი».



“შემოძახილი” –(ქრ. 26 წთ. კვირაში ერთჯერ)

შემეცნებითი გადაცემა ქართული ხალხური მუსიკის შესახებ. განიხილება და სრულდება საქართველოს სხვადასხვა კუთხისა, სხვადასხვა ფოლკლორული უნარის სასიმღერო ნიმუშები. გადაცემაში გამოყენებულია უნიკალური საარქივო ჩანაწერები. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს წამყვანის საუბარს საინტერესო სტუმართან. გადაცემაში სრულდება ფოლკლორის ნიმუშები.

წამყვანი-გია ბალაშვილი

ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების თემატიკა

„ჩვენი ეზო“- გადაცემა, რომელიც ჩანათვიქრში განკუთვნილი იყო ეროვნული უმცირესობებისათვის. წელს გადაცემა აღარ არის სტუდიური, გადაცემა თავად მიდის გმირებთან და იქ ეცნობა მათ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროექტი, რომელიც ჩაფიქრებული იყო ეროვნული უმცირესობების ინტერესების დასაცავად, ვფიქრობ, მათი უფლებების დარღვევას უფრო ემსახურება. მაგ. როდესაც ექიმზე მზადდება გადაცემა, მხოლოდ იმ ნიშნით, რომ ის სხვა ეროვნებისაა, როდესაც ხელოვანს გამოვარჩევთ იმიტომ, რომ მას არაქართული გვარი აქვს, ასეთი მიდგომა ხელს უშლის ნაციონალური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრირებას. ადამიანები უნდა გამოვარჩიოთ მათი დამსახურებებისა და არა გვარისა და ეროვნების ნიშნით. ამდენად, მიმდინარეობს შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობა ისეთი პროექტების შემუშავების მიზნით, რომელიც ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესში შედის. საკმაოდ დიდი თანხა არის დახარჯული წლების განმავლობაში ამ პროექტის მომზადებისთვის, ჯერ მარტო გაერომ სხვადასხვა წლებში თითქმის ნახევარ მილიონ დოლარამდე დახარჯა ამ პროექტზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანახარჯებს შესაბამისი შედეგი არ მოჰყვა. ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ამ პროექტს უმეტესად საკუთარი გრანტებით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად მოიაზრებს და ამიტომ ითხოვს, რომ ეს პროექტი იყოს სტუდიური თოქ-შოუ ასეთი სახით ეს გადაცემა არსებობდა 7 წლის მანძილზე, მაგრამ, სამწუხაროდ მაყურებელში პოპულარობა ვერ მოიპოვა. ჩვენი მიზანი იყო გაკეთებულიყო სატელევიზიო პროექტი, რომელიც სტუდიურ გარემოში კი არ შემოუქდებოდა რამდენიმე არაქართველ პიროვნებას ან უმეტესად ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, არამედ თავად მივიღოდა იმ ადგილებში, სადაც ეს უმცირესობები კომპაქტურად არიან დასახლებულები და დააკვირდებოდა რამდენად არიან ისინი ინტეგრირებული საქართველოს მოსახლეობის სხვა ეთნოსურ ჯგუფებთან. ჩვენ გვაქვს რამდენიმე სერიოზული ახალი პროექტი, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობს სოციოლოგიური და თეორიული კვლევები და მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავარკვევთ რა სახით უნდა შეუწყოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაცია



ქართულ საზოგადოებაში ხელი, ისეთ პროექტს შევთავაზებთ მაყურებელს. ერთი კი ცალსახად არის ცნობილი, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ I არხის პროექტის მიზნობრივი აუდიტორია უნდა იყოს არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობები, არამედ საქართველოს მოსახლეობის ის დიდი ნაწილი ვისთანაც უნდა მოხდეს მათი ინტეგრაცია.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში ვვარაუდობთ რომ, ნაციონალურ უმცირესობების ენებზე მაუნყებელი რედაქცია გაათავოვებს თავისი პროდუქციის მასშტაბს და «მომბის» გარდა კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან პროექტს შესთავაზებს მის სეგმენტ აუდიტორიას. ხოლო I არხი მოამზადებს პროექტს, სადაც სრულყოფილად იქნება ნაჩვენები საქართველოში მცხოვრების არაქართული მოსახლეობის ცხოვრების ყველა საინტერსო ეპიზოდი ისტორიულ ჭრილში. ცალკეული ადამიანების ღვაწილი ქართული საზოგადოების განვითარების საქმეში.

“ჩვენი ეზო” - (ქრ. 26 წთ. კვირაში ერთჯერ)

გადაცემა შეეხება ეთნიკურად მრავალფეროვან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა საერთო ინტერესებს, პრობლემებს, წარმატებებს. პროექტი ემსხურება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ადამიანების საზოგადოებაში სამოქალაქო ინტეგრირების ხელშეწყობას და სახელმწიფოებრიობის განცდის გაღრმავებას.

გადაცემის წამყვანები: ქეთევან ელენიშვილი, გიორგი გუგუშვილი





სამხედრო თემატიკა

ქართული ჯარი – ეს არის სამხედრო თემატიკაზე შექმნილი პროექტი, რომელიც ასევე დიდი ხანია არ ყოფილა I არხის ეთერში. ამ პროექტში სრულად ისახება ქართული ჯარის ცხოვრება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე ჩვენი საჯარისო ნაწილების ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ფორმატი გულისხმობს ქართული ჯარის ცხოვრების ყველა სფეროს ასახვას ყველა იმ დადებითი თუ ნაკლოვანი მხარეებით, რომელიც თან სდევს ამ ცხოვრებას. ამდენად პროექტში იკვეთება პრობლემებიც, კრიტიკაც კი. მიუხედავად ამისა, ამ პროექტს დღესდღეობით არ აქვს შესაძლებლობა სრული დატვირთვით წარმოაჩინოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, ისევე და ისევე მწირი დაფინანსების გამო. ამ პროექტში სასურველია მოსახლეობამ მიიღოს მნიშვნელოვანი რჩევები, თუ როგორ იმოქმედოს სხვადასხვა საომარი თუ ექსტრემალური პირობების დროს. პროექტი უნდა მოიცავდეს ნატოსთან ურთიერთობის და ნატოს სტანდარტების მაყურებლისთვის გაცნობას და ა.შ. ვფიქრობ, ასეთი პროექტების საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განთავსებით დაინტერესებული უნდა იყოს და მის რეალიზაციაში ჩაერთოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და არასამთავრობო ორგანიზაციები. რამდენადაც ეს სატელევიზიო პროექტი ამ უწყებების მისიების შესრულების ერთ-ერთი ქმედითი გზაა. ჩვენ მომავალში უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რომ დავეხვეწოთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სხვადასხვა დარგობრივ სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს საზოგადოებრივ მაუწყებელთან ერთად შექმნას სრულყოფილი, კვალიფიციური და ფინანსურად უზრუნველყოფილი პროექტები როგორც სამხედრო-თავდაცვის საკითხებზე, ასევე კულტურის, სპორტის, ეკონომიკის და ა.შ. საკითხებზე.

მომხადებელია სსიპ



(ქრ. 26 ნთ. კვირაში ერთჯერ)

გადაცემა ითვალისწინებს ოთხ სიუჟეტს, რომელიც, მეტწილად, ანალიტიკური ხასიათისაა, თუმცა მნიშვნელოვანი მოვლენიდან გამომდინარე, ამ მოვლენის ასახვაც ხდება. გადაცემის მაყურებელს საშუალება აქვს მოისმინოს ინტერვიუ მნიშვნელოვან პოლიტიკურ, თუ სამხედრო პირთან. გაიცნოს გამორჩეული სამხედროები მათზე მომზადებული სიუჟეტებთ. შეიტყოს, თუ რა სიახლეებია თავდაცვის სფეროში. გადაცემა ხელს უწყობს მოქალაქეთა ინფორმირებულობას თავდაცვით საკითხში.

გადაცემის წამყვანი - გიორგი ცხვიტავა

საბავშვო და ახალგაზრდული პროექტები

უნდა აღინიშნოს რომ არხს საბავშვო მიმართულების მხოლოდ ერთი პროექტი აქვს „ყოჩაღების ქუჩაზე“. პროექტმა სეზონის მანძილზე იცვალა ეთერში განთავსების სიხშირე და დღე. მიმდინარეობს პროექტის დახვეწაზე მუშაობა, რაჟა ის იყოს გასართობიც და შემეცნებითიც. მარკეტინგის სამსახურმა ფოკუს-ჯგუფებისა და სხვადასხვა სახის კვლევის შედეგად შეისწავლა მიზნობრივი აუდიტორიის სურვილი და მოთხოვნა და უკანასკნელი გადაცემები ამ მოთხოვნების შესაბამისად მზადდება.

ჩატარდა კვლევა ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში, თუ რა ანიმაციური ფილმი მოსწონთ და რის ხილვას ისურვებდნენ არხზე. ამ კვლევის საფუძველზე არხმა შეიძინა ანიმაციური ფილმები, რომლებიც განთავსდება არხის ბადეში.

გაფორმდა ხელშეკრულება სპორტული- საცმანვილო თამაშების ფედერაციასთან «მხიარულ სტარტებთან», რომლის მიერ ჩატარებული შეჯიბრებების ტრანსლაციას მალე დაიწყებს საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხი. ეს მეტად პოპულარული პროექტია და ჩვენ დიდი ხანია გვსურდა იგი ყოფილიყო ჩვენს არხზე, მაგრამ ფინანსური სიძნელეების გამო, ამას ვერ ვაღწევდით და ამჯერად ამ შეთანხმების საფუძველზე, საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ პროექტს ეთერში განათავსებს ყოველგვარი ფინანსური დანახარჯის გარეშე. I არხი მხოლოდ ტექნიკური საშუალებებით მოახდენს მის ტრანსლირებას და დაუთმობს საეთერო დროს, ხოლო ყველა სხვა დანახარჯს გასწევს თავად ფედერაცია.

არხზე ვერ მოხერხდა მოზარდი აუდიტორიისთვის განკუთვნილი სპეციალიზებული პროექტის მომზადება. პირველ არხზე დაგეგმილი იყო ახალგაზრდული თეატრის მომზადება, მაგრამ ჩავარდნილი ტენდერის გამო, ისიც ვერ აღმოჩნდა ახალი სეზონის ბადეში.



(ქრ. 26 წთ. - კვირაში ორჯერ)

გადაცემის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვებს გართობა და, ამასთანავე, მათთვის შემეცნებითი ინტორმაციის მიწოდება. მოქმედება ხდება „ყოჩაღების ქუჩაზე“ კეთილი კაპიტანი გოგირა და ყოჩაღი ბავშვები კარგ და სასიკეთო საქმეებს ჩადიან, რასაც ხელს უშლის უარყოფითი გმირი ბუა. თითოეული გადაცემა თემატურია. შედგება რამდენიმე რუბრიკისგან: ხელსაქმე, მუსიკალური ნომერი, სპორტული თამაშები. მარტივად დაემატა ახალი ანიმაციური გმირი - ყვავილი მზეკატერინე, რომელიც ბავშვებს შემეცნებითი ინტორმაციას აწვდის.



შემოდგომის სეზონიდან გადაცემა „ყოჩაღების ქუჩაზე“, ყოველდღე გადიოდა ეთერში. დილის გადაცემის საბავშვო ზოლში- 09:05 სთ-ზე. შაბათს – 11:30 სთ-ზე.

იანვრიდან დაემატა კიდევ ერთი გადაცემა კვირის დილის ზოლში (სულ გავიდა 77 გადაცემა).

მარკეტინგის სამსახურმა ფოკუს-ჯგუფებისა და სხვადასხვა სახის კვლევის შედეგად შეისწავლა რა მიზნობრივი აუდიტორიის სურვილი და მოთხოვნა, 14 მარტიდან დილის გადაცემის საბავშვო ზოლს იკავებს ანიმაციური ფილმი, ხოლო „ყოჩაღების ქუჩაზე“ დარჩება შაბათ-კვირის დილის ზოლში, განახლებულ გადაცემაში გათვალისწინებულია ის შენიშვნები, რომელიც მარკეტინგის სამსახურს აქონდა შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით.

წამყვანი - გიორგი გოგიჩაიშვილი

კინოპროექტები - საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კინოპროდუქციას. სარეიტინგო კვლევა გვაჩვენებს, რომ ჩვენს მიერ მიწოდებულ ფილმებს, სერიალებს მაყურებელი ელოდება და უყურებს. არხი მოსახლეობას სთავაზობს ხარისხიან მექანიკურ პროდუქციას (ქართული, ფრანგული, იტალიური, ამერიკული, პოლონური) და უარს ამბობს შესთავაზოს თურქული, ვენესუელური, მექსიკური, ბრაზილიური და ა. შ. სერიალები, რომლებსაც გარანტირებულ რეიტინგი მოაქვს.

მაუწყებლის ერთ-ერთი მიშვნელოვანი ფუნქციაა მაყურებელს მაღალი ღირებულების სატელევიზიო პროდუქცია შესთავაზოს, რათა 1. დააკმაყოფილოს იმ ჯგუფის (თუნდაც ეს იყოს ძალიან მცირე ჯგუფი) ინტერესი, რომელსაც გემოვნებიანი, ხარისხიანი ფილმების ნახვა სურს ეთერში და მსგავს ფილმებს კომერციული არხები ძალიან მწირად სთავაზობენ. 2. განავითაროს მაყურებლის გემოვნება, მიიღოს მონაწილეობა ფასეულობების სწორად ჩამოყალიბების პროცესში.

სწორედ ამ ფაქტორებიდან გამომდინარე არხმა გააგრძელა შესყიდული ფრანული, იტალიური, ამერიკული სერიალების ეთერში განთავსება. იგივე მიზნით შექმნილ იქნა ქართველი კლასიკოსი რეჟისორის ოთარ იოსელიანის ფილმები და დაიწყო მათი რეტროსპექტიული ჩვენება.

თანამედროვე ქართული კინოს ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა ახალი ქართული კინოს ზოლი, სადაც უკანასკნელ წლებში შექმნილი ქართული კინოპროდუქციაა განთავსებული ქართველ მაყურებელს წარმოდგენა ექმნება, თუ რა ხდება ქართულ კინოში, რა პროცესები მიმდინარეობს. ამ საეთერო ზოლის მიმართ რეჟისორთა დაინტერესებაც დიდი აღმოჩნდა, ისინი თავად გვთავაზობენ ფილმებს განსათავსებლად. მაუწყებელი ხელს უწყობს ქართული კინოს განვითარებასა და პოპულარიზაციას.

გარდა ამისა, ეთერში (კვირაში ერთხელ) განთავსებულია ქართული ფილმები, სხვადასხვა რეჟისორების მიერ სხვადასხვა წლებში გადაღებული, რაც, ასევე პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ამ საეთერო სეზონში შესძლო და განახორციელა ახალმა მენეჯმენტმა არის გახმოვანების სტუდიის დაბრუნება არხის შედა წარმოებაში. სრულიად გაუმართლებელი და გაუგებარია რა მიზნით გაუქმდა გახმოვანების სტუდია, დაიშალა მისი შემადგენლობა, და აპარატურა. შესაბამისად, ტელემაუწყებლობის მინიმუმ 50 პროცენტის პროდუქცია, რაც გულისხმობს მექანიკურ კინო პროდუქციას - მხატვრულ, დოკუმენტურ, სამეცნიერო-პოპულარულ ანიმაციურ ფილმებს და ტელესერიალებს, ითარგმნებოდა და ქართულად ხმოვანდებოდა გარე სტუდიების მიერ, რაშიც მაუწყებელი იხდიდა სოლიდურ თანხებს. შესაბამისად, მაუწყებელი ვერ აკონტროლებდა მის ხარისხს და ამიტომ ხშირად საკმაოდ უხარისხო და ცუდად გახმოვანებული პროდუქცია ხვდებოდა მაუწყებლის ტელეარხებზე. ვფიქრობ, გახმოვანების სამსახური ის სამსახურია, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს ნებისმიერი იმ ტელეკომპანიის შიდა სტრუქტურაში, რომელიც უცხოური მექანიკური პროდუქციით სარგებლობს. ასეთი სამსახურები არა თუ საზოგადოებრივ მაუწყებელს, თითქმის ყველა ქართულ კომერციულ კერძო ტელეარხებსაც კი გააჩნიათ. ეს ბუნებრივია, რადგან ეთერის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ პროდუქციას ეთმობა და ოპერატიულად, ხარისხიანად ამ პროდუქციის მიწოდებაზე კონტროლი არის აუცილებელი პირობა მაუწყებლისთვის.

ამდენად, მეტად საჭირო და მნიშვნელოვან სიახლედ მიგვაჩნია გახმოვანების სტუდიის კვლავ შექმნა საზოგადოებრივი მაუწყებლის შიდა სტრუქტურაში.

„ახალი ქართული კინო„ - (კვირაში ერთხელ)

2013 წლის ნოემბრიდან დაემატა ახალი კინო-ზოლი - პარასკევს, 23 სთ.-ზე. რომელიც ითვალისწინებს უკანასკნელი წლების მანძილზე შექმნილი ქართული კინოპროდუქციის ჩვენებას.

ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - (კვირაში ერთხელ)

რეჟისორის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით არხის მიერ შეტანილ იქნა იოსელიანის ფილმები, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური (ქართული და ფრანგული პერიოდის), მათგან მნიშვნელოვანი ნაწილის ტელეპრემიერა შედგა I არხის ეთერში.



ვაშინგტონი დღეს - ქრ. 20 წუთი. კვირაში ერთჯერ

ანალიტიკური პროგრამა. ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ანალიზი მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე სოციალურ და კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს საინტერესო ადამიანების შესახებ პორტრეტული სიუჟეტის შექმნასა და განთავსებას.

კულტუროლოგიური და შემეცნებითი პროექტები



რადიო „თავისუფლების“ და პირველი არხის ერთობლივი პროექტი. დისკუსია საინტერესო თემაზე მოწვეულ სტუმართან ერთად. პარალელურად გადღეობა წარსულთან და გაანალიზება, რა იცვლება პოლიტიკური სისტემის ცვლილებასთან ერთად. გადაცემის მეორე ნაწილში მაყურებელს საშუალება აქვს ნახოს ფილმი, რომელიც განხილულ თემას ეხმიანება. გადაცემაში გამოყენებულია ტელევიზიის საარქივო მასალა.

გადაცემის წამყვანი - გოგი გვახარია



ქრ. 55 წთ. - კვირაში ერთჯერ

კვირის დღის თოქ-შოუ, რომელიც შეიცავს სოციალურ, საგანმანათლებლო და კულტუროლოგიური თემატიკას. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს სტუმრებს, რომლებიც მოცემულ თემას განიხილავენ სხვადასხვა ჭრილში. გადაცემა ხშირად გაფორმებულია მუსიკალური ნომრებით. გადაცემის ჩანერა ხდება არასატელევიზიო სივრცეში, იმიტირებულ სტუდიაში ფუნქციონირებში.

წამყვანები: რუსუდან მანჯგალაძე, სალომე დადუნაშვილი, ნანა თაჩუაშვილი.



07:30 – 14:00 -ყოველ დღე უქმეების გარდა

გასართობ-შემეცნებითი შოუ მთელი ოჯახისთვის. ფორმატი იფასობს კულტურულ, შემეცნებით, ინფორმაციულ, ინტერაქტიულ, სოციალურ, მუსიკალურ, საბავშვო, სპორტულ, გასართობ რუბრიკებს.

რუბრიკები: პრესის მიმოხილვა, ფორბსის სიახლეები, რჩევები- ფლორა, ავტომობილი, ვიზაჟი, ინტერნეტ-სიახლეები, უცხოეთის ამბები, „დილის საუბრები“, ჰიროდაპირი ჩართვები, დღის მთავარი თემა და ა.შ. მრავალფეროვანი გადაცემა ყველა გემონების მაურნებელზეა გათვლილი.

წამყვანები: ნათიკა ბერძული, თამუნა მუსერიძე, ლევან ჯობავა, ნანა ყურაშვილი,

ნათია ბუნტური, ნოდარ ჩაჩუა, ნიკა ლობილაძე.



ქრ. 90 წთ. - კვირაში ერთჯერ



სატელევიზიო საუბრები ალტერნატიული მუსიკას შესახებ, რომელსაც თან ახლავს მუსიკალური ნაწარმოებების (მექანიკური პროდუქციის) ჩვენება. პროექტის მიზანია ერთი მხრივ, შესაბამისი სეგმენტ-აუდიტორიის მოთხოვნის დაკმაყოფილება, მეორეს მხრივ, ამ ტიპის მუსიკალური კულტურის პოპულარიზაცია;

ამ გადაცემების ფარგლებში მაყურებელმა იხილა კონცერტები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმები.

ნამყვანები: კახა თოლორდავა, გიორგი ხადური.

პროექტები რეგიონალურ თემატიკაზე



ქრ. 26 წთ. კვირაში ერთჯერ- გადაცემა სოფლის მეურნეობის მიღწევების და ქართული ფერმერული საქმიანობის შესახებ. პროექტში წარმოდგენილია გლეხი-თავისი საოჯახო მეურნეობით, ფერმერი, რომელმაც წარმატებას მიაღწია. გადაცემები კონკრეტულ თემებს ეძღვნება და, ამასთანავე, შეიცავს სასარგებლო რჩევებსაც.

საბავშვო და ახალგაზრდული პროექტები



ქრ. 52 წთ. კვირაში ერთჯერ

შემეცნებით-გასართობი გადაცემა. მონაწილეობას იღებენ აკადემიური მონაცემებით საუკეთესო ჟურნალისტები და სტუდენტები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პერიოდულად, გადაცემაში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის წარმატებული წარმომადგენლები (ექიმები, დიპლომატები, ტელენამყვანები, მომღერლები და ა.შ.)

„ეტალონი,, ეფუძნება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, სწრაფი და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, მშობლიური ენისა და ქვეყნის ისტორიის უკეთ შესწავლას.

თემატური პროექტები

“გურმანია” - (ქრ. 26 წთ. კვირაში ერთჯერ)

კულინარული გადაცემა. წამყვანები სხვადასხვა სივრცეში ამზადებენ კერძებს და ცდილობენ მაყურებელს განსხვავებული და ახალი რეცეპტები შესთავაზონ.

წამყვანები: თამთა კიკალიშვილი, ვახტანგ დევდარიანი



სპორტული პროექტები

“საფეხბურთო მიმოხილვა” - (ქრ. 35 წთ. კვირაში ერთჯერ)

ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის საფეხბურთო მატჩების მიმოხილვა და ანალიზი მოწვეულ სტუმრებთან. გადაცემა მიმოხილავს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, თითოეული ტურის ყოველ მატჩს. შექმნება დავით ყიფიანის თასის შეხვედრები, ეროვნული ნაკრების თამაშები, მზადდება სიუჟეტები



ბავშვთა და რეგიონულ ფეხბურთზე, საფეხბურთო ინფრასტრუქტურისა და განვითარების პერსპექტივებზე. გადაცემაში მონვეული სტუმრები ყველა იმ საკითხზე საუბრობენ რომელიც სპორტის ამ სახეობაშია დაგროვილი.

ნამყვანი: დავით მინაშვილი

“ჩემპიონთა ლიგის დღიური” (ქრ. 26 წთ. კვირაში ერთხელ)

ჩემპიონთა ლიგის თამაშების მიმოხილვა. გუნდების მზადების პროცესის ჩვენება. ინტერვიუები ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან.

“არენა” - (ქრ. 52 წთ. კვირაში ერთხელ)

სპორტული თოქ-შოუ, რომელშიც სპორტის სხვადასხვა სახეობა შექდება. მთავარი თემის შერჩევა აქტუალობის მიხედვით ხდება. თითოეული გადაცემა სპორტის რომელიმე სახეობას, ან გასულ კვირაში გამართულ ნიშვნელოვან სპორტულ ღონისძიებას ეთმობა. მზადდება სიუჟეტები თემასთან მიმართებაში, რომლის შემდგომაც თემის განვრცობა სტუმრებთან ერთად ხდება.

ნამყვანი-ლაშა დვალიშვილი.

ოლიმპიადის დღიური - სპორტული გადაცემა, რომელიც ზამთრის ოლიმპიადის მიმდინარეობის პარალელურად გადიოდა ეთერში და მიმოხილავდა ასპარეზობებს მონვეულ სტუმრებთან ერთად. გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა სიუჟეტებსაც.

ნამყვანი: დავით მინაშვილი



სპორტული ღონისძიებების ტრანსლაციები:

უნდა აღინიშნოს რომ პირველი არხი ინტენსიურად აშუქებს სპორტულ ღონისძიებებს.

2013 წელი (სექტემბრიდან):

ფეხბურთი - 51 რეპორტაჟი

კალათბურთი -26 რეპორტაჟი

რაგბი - 8 რეპორტაჟი

წყალბურთი 3 რეპორტაჟი

კენჭისყრა -2 რეპორტაჟი

2014 წელი

ზამთრის ოლიმპიადა - 27 რეპორტაჟი

ფეხბურთი -14 რეპორტაჟი

კალათბურთი-4 რეპორტაჟი

რაგბი-5 რეპორტაჟი

წყალბურთი-2 რეპორტაჟი

დიუდო -3 რეპორტაჟი

სპორტულ მიმართულებასთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის ზაფხული სპორტული ასპარეზობებით დატვირული იქნება.

12 ივნისიდან ერთი თვის მანძილზე მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში.

4 აგვისტოდან ევროპის შესარჩევი ტურნირი კალათბურთში.

წყალბურთის ევროპის შესარჩევი ასპარეზობის შეძენის შემთხვევაში თამაშების ტრანსლირება მოხდება ივლისის თვეში.

მარკეტინგის სამსახურმა მოგვანოდა რეიტინგები, ქართულ მხატვრულ ფილმებზე. მიუხედავად იმისა, რომ ფილმები დროის სხვადასხვა მონაკვეთში გადის, ეთერში რეიტინგის მაჩვენებელი ერთნაირია. შუაღლის ეთერი და საღამოს ეთერი (იგულისხმება, საახალწლო ეთერში გასული ქართული კინო და ტელეფილმები) AMR -ის მაჩვენებელი იდენტურია და საშუალოდ აისახება 2,%.

2013 წლის 15 ნოემბრიდან, პარასკევ დღეს 23.30 წთ-ზე დაგეგმავთ ახალი ქართული ფილმის ზოლი, სადაც ვუჩვენებთ ბოლო პერიოდში გადაღებულ ქართულ ფილმებს, სადაც საშუალო მაჩვენებელია 0,1%. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ძველი ქართული ფილმები, რომლებიც სისტემატურად გადის ეთერში, ინარჩუნებს პოპულარობას და ინტერესი მის მიმართ არ ნელდება.

ასევე 2014 წლის თებერვლიდან, დავიწყეთ ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა, ყოველ კვირა დღეს 22.00 სთ-ზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ფილმს „იყო შაში მგალობელი“. საქართველოს მაშტაბით AMR იყო 2,1% და SHR 6%. რეიტინგების მიხედვით მისი სხვა ფილმებიც ყურებადია, რადგან მას ყავს თავისი მაცურებელი.

რაც შეეხება მუსიკალურ ზოლს - ბადეში ზის (12.30წთ). ნათლად ჩანს, რომ ერთი და იგივე კონცერტი, რომელიც გადის დღისით და საღამოს, განსხვავებულ რეიტინგს წერს. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მუსიკალური ზოლი საღამოს უფრო მეტად ყურებადია. ანსამბლი „შინ“ „თბილისი“ 0,3% რეგიონი 0,7%. იგივე კონცერტი საღამოს ეთერში 19.55 წთ-ზე, „თბილისი“ 1,4% რეგიონი 1,3%. ანსამბლი „თეატრალური კვარტეტი“ 12.30 წთ-ზე. დღის ეთერი. თბილისი 0,5% რეგიონი 0,7%. იგივე კონცერტი ღამის ეთერში 22.30 წთ-ზე თბილისი 2,5%, რეგიონი 2,2%. ფოლკლორი- „ჩოხოსნები“ დღის ეთერი თბილისი 0,5%, რეგიონი 0,5%. „ ერისიონი“ ღამის ეთერი 21.00 წთ-ზე. თბილისი 1,2% რეგიონი 1,1%.

ზოგადად პიველი არხის ეთერში გასულ მუსიკალურ მასალას, საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. რომელიც შეადგენს AMR - 3%.

კლასიკური -1%

საესტრადო - 2,6%

ფოლკლორი - 1,2%

რაც შეეხება სპექტაკლებს რომელიც ჩასმული იყო კვირას 13.00წთ-ზე, ყურებადობის საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა. (2,6%-2,3). დროის გადაადგილებამ და ხშირმა ცვლილებებამ შეცვალა ეს სურათი. (1,2%-1,3%-0,9%.....)

რაც შეეხება ტელესერიალებს - „ჭორიკანა“, ეს არის თინეიჯერებისთვის განკუთვნილი სერიალი, რომელიც ჩაჯდა 14.30 წთ-ზე და ვფიქრობთ, დაკარგა მაყურებელი (ასაკობრივი). მეორე სერიალი კი „მისტიკური ტრილერი“, უპრიანი იყოს ლამის ეთერში, ამჯერად გადის ეთერში 17:00 სთ-ზე და 18:00 სთ-ზე. კრიმინალური სერიალი „მაფიოზი“ 22.30 წთ-ზე, ეთერში გადიოდა წყვეტილად არასტაბილურად. თუმცა ყურებადობა ჰქონდა მაღალი. აქედან ჩანს, რომ მაყურებლის დიდ ნაწილს აინტერესებს მელოდრამა და კრიმინალური სერიალები.

ახალი ბადის ჩამოყალიბებისას მარკეტინგის სამსახურთან ურთიერთთანამშრომლობით უნდა მოხდეს მექანიკური ზოლის გადაწყობა და მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პროდუქციის შეფუთვას და ანონსირებას.



გადაცემების პერიოდულობის და ხანგრძლივობის მაჩვენებლები

გადაცემის დასახელება	კვირაში	ქრონომეტრაჟი	კვირის ჯამი	თვიური ჯამი	ჯამი სთ.
დილა	5	180	900	3600	60
დღე	5	210	1050	4200	70
ქართული ჯარი	1	26	26	104	1.73
საფეხბურთო მიმოხილვა	1	26	26	104	1.73
“რეალური სივრცე”	1	90	90	360	6
ლიხს იქით და ლიხს აქეთ	1	26	26	104	1.73
ჩვენი ეზო	1	26	26	104	1.73
I სტუდია(ოთხშაბათი)	1	52	52	208	3.46
I სტუდია (პარასკევი)	1	90	90	360	6
შემოძახილი	1	26	26	104	1.73
ყოჩაღების ქუჩაზე	2	20	40	160	2.66
გურმანია	1	26	26	104	1.73
ეტალონი	1	52	52	208	3.46
უცნობი მუსიკა	1	90	90	360	6
არენა	1	52	52	208	3.46
შეხვედრები მწერალთა სახლში	1	52	52	208	3.46
წითელი ზონა	1	120	120	480	8
სამოთხის ვაშლები	1	52	52	208	3.46
ჩვენი ფერმა	1	26	26	104	1.73
ვაშინგტონი დღეს	1	26	26	104	1.73
ჩემპიონთა ლიგის დღიური	1	26	26	104	1.73
ტელებლოგი	1	26	26	104	1.73
ჩემი წიგნი	1	52	52	208	3.46

საქართველოს მიერ

პროექტები, რომელთა განხორციელება ვერ მოხერხდა

“კავკასიური “სახლი” - ქრ. 30 წთ. - გადაცემა ეხება კავკასიის რეგიონის პრობლემებს, ამ რეგიონის ქვეყნების და ეთნიკური ერთეულების ცხოვრებას. რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ეთნოკულტურულ ასპექტებს. - პროდიუსერი, წამყვანი - მამუკა არეშიძე

“ჟურნალისტური გამოძიება” - 26წთ. - ფორმატი ითვალისწინებს როგორც პრობლემურ რეპორტაჟს ისე დინამიკურ და თემატურ ნარკვევს, გადაცემა ითვალისწინებს წამყვანს, რომელიც წარადგენს სიუჟეტებს და რეპორტაჟებს.

“გზა შენამდე” - ქრ. 30 წთ. - სოციალური მიმართულების პროექტი, რომლის მიზანია უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ცხოვრების შესახებ გადაცემების მომზადება.

“გადაცემა თანამედროვე ხელოვნებაზე” - ქრ. 26 წთ. - პროექტი ეხება თანამედროვე ხელოვნების ახალი უნარების მიმდინარეობების ანალიზს და მიმოხილვას. ქართულ და უცხოურ კულტურაში მოღვაწე თანამედროვე ხელოვანთა შემოქმედების გაცნობას.

“კინოპროექტი” - ქრ. 52 წთ + ფილმის ხანგრძლივობა - სატელევიზიო სადისკუსიო კლუბი, სადაც მონვეული სტუმრების ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი და კვალიფიციური აუდიტორია ფილმის ჩვენების შემდეგ ისაუბრებენ მის მხატვრულ ღირებულებაზე, პრობლემებზე და შემოქმედებით ასპექტებზე. პროექტის მიზანია ძირითადად გაანალიზოს თანამედროვე ქართულ კინოში მიმდინარე პროცესები

“უნივერსალური არტისტი” - 90 წთ. - მუსიკალური მეგაშოუ სხვადასხვა თაობის ქართველი მომღერლების მონაწილეობით. - წამყვანი : სერგი გვარჯალაძე, პროდიუსერი თამარ მაჭავარიანი

“მოულოდნელი საჩუქარი” - 26 წთ. - ინტელექტუალური ტელევიქტორინა, სადაც თამაშდება პრიზები. გამარჯვებული ხდება პიროვნება, რომელიც ყველაზე სწორად უპასუხებს სხვადასხვა ხასიათის კითხვარს. წამყვანი: ზაზა იაკაშვილი, პროდიუსერი - კახა ბუხრაშვილი

“საბავშვო ტელე თამაში” - ქრ. 52 წთ. - ნებისმიერი სახის ტელეთამაში, რომელშიც მონაწილეებენ სასკოლო ასაკის მოზარდები. ეს შეიძლება იყოს როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალური თამაში.



“ახალგაზრდული თოქ-შოუ” - ქრ. 52 ნთ.- გადაცემა ახალგაზრდობის პრობლემებზე, მათი ცხოვრების წესზე, უფროს თაობასთან ურთიერთობაზე და სხვა საკითხებზე.

ქართული ტელესერიალი – 22 სერია.

«გზა შენამდე», მნიშვნელოვანი სოციალური პროექტი, რომელიც იგეგმებოდა | არხზე. მისი მიზანი იყო წარმოეჩინა საქართველოს თვარგლებს გარეთ მცხოვრები საქართველოს იმ მოქალაქეების საზღვარგარეთული ცხოვრება, რომლებსაც მრავალი წელია არ უნახავთ საკუთარი ოჯახის წევრები მატერილურად არც თუ უბრუნველი ცხოვრების გამო. ეს პროექტი აჩვენებდა უცხოეთში მცხოვრები ამ ადამიანების ცხოვრების ყველა სირთულეს და საბოლოოდ უწყობდა მათ სიურპრიზს და მოულოდნელად ჩაუყვანდა ოჯახის მონატრებულ წევრებს. ამ პროექტის მიზანი იყო მთელ ქართულ მოსახლეობას გაეცნობიერებინა ის მიზეზები და შედეგები, რაც ხდის იძულებულს მრავალ ათას ქართველს მიატოვოს საკუთარი ოჯახი, სარჩოს საძებნელად წავიდეს უცხო ქვეყანაში და იმუშაოს ნებისმიერ არც თუ პერსტიჟულ სამუშაოზე. სამუშაოზე, ისევე და ისევე თინანსური კრიზისის გამო ეს პროექტი ვერ განხორციელდა. თუმცა, თინანსური კრიზისი გარდა, ბევრი, მათ შორის, გარნტირებულად წარმატებული პროექტების არ განხორციელების მიზეზები უფრო პოლიტიკური ხასიათის იყო, ვიდრე თინანსურის. არსებულ სამეურვეო საბჭოს არ სურდა | არხი გამხდარიყო წარმატებული იმ შემთხვევაში, თუ ის არ იქმნებოდა კონკრეტული პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ. სწორედ ამას შეეწირა ბევრი პროექტი და ზოგადად ბევრი კარგი იდეა, რომელიც ახალ მენეჯმენტს გააჩნდა მიმდინარე სეზონის წარმატებულად წარმოებისთვის.

საზოგადოებრივ-საინფორმაციო მიმართულების პროექტებიდან არხის მიერ დაგეგმილი იყო ჟურნალისტური გამოძიების ფორმატის გადაცემის ჩაშვება, თუმცა ისევე ზემოთ ნახსენები პრობლემების გამო, ამ პროექტის შექმნა და განთავსება ვერ მოხერხდა (საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ძველმა შემადგენლობამ თავად თქვა კატეგორიული უარი ამ სეზონში ამ პროექტის სამაუწყებლო ბადეში განთავსებაზე-ის. სამეურვეო საბჭოს სხდომის ჩანაწერები). ამის მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ სამეურვეო საბჭოს, რომელიც უმეტესად პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებული წევრებისგან შედგებოდა, არ სურდა მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების წინ, არხის ეთერში განთავსებულიყო პროექტი, რომელშიც შეიძლება ნაჩვენები ყოფილიყო ჟურნალისტური გამოძიებების შედეგები იმ პოლიტიკური ძალების საქმიანობების შესახებ, რომლებიც ჩაბმულნი იყვნენ საარჩევნო მარათონში.



უნდა აღინიშნოს, რომ უურნალისტური გამოძიება, ერთ-ერთი პირველია იმ პროექტთაგან, რომლის განხორციელებასაც ახალ სეზონში | არხი გეგმავს, რადგან კარგად ვაცნობიერებთ, რომ ეს არის საზოგადოების დაკვეთა მაუწყებლის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ არხზე იგეგმებოდა და ვერ განხორციელდა პროექტები თანამედროვე ხელოვნების შესახებ, პროექტი კინოს შესახებ, რომელიც გულისხობდა ერთი კონკრეტული ფილმის განხილვას ფართო აუდიტორიასთან ერთად. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი ქართული კინო, ძირითადად, სოციალური ხასიათისაა და მათში წამოჭრილი საკითხები ჩვენი საზოგადოებისათვის მეტად აქტუალურია, ვაანალიზებთ, რომ ამ ტიპის პროექტის განთავსება არხის ბადეში ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო საუბრები პრობლემატიკაზე და, რა თქმა უნდა, ქართული კინოზე.

გასართობი, რეკრეაციული ზოლი

ყველზე რთული სიტუაციაა ამ სატელევიზიო ზოლში შემავალ გადაცემებთან მიმართებაში. შეწყდა გრანდიოზული პროექტის, მეგა-შოუს „უნივერსალური არტისტის,, მომზადება, ვერ მომზადდა პროექტის „მაესტრო,, მეორე სეზონი და თამაში „მოულოდნელი საჩუქარი,,.

«უნივერსალური არტისტი» არ იყო მხოლოდ გასართობი, მუსიკალური მეგა-შოუ. მრავალ მუსიკალურ შოუებს შორის ამ პროექტზე არჩენი იმის გამო გაკეთდა, რომ ის შეიცავს რამდენიმე ნაკლებად პოპულარული მუსიკალური ჟანრის პოპულარიზაციის და გაცნობის ტენდენციებსაც. ამ შოუში მრავალმილიონიანი აუდიტორია მოისმენდა კლასიკურ მუსიკასაც, ჯაზურ მუსიკასაც, ალტერნატიულ მუსიკასაც, პოპ მუსიკასაც, ქართულ მუსიკასაც და ა.შ. შესაბამისად, მაყურებლისთვის საყვარელი და პოპულარული შემსრულებლები, რომლებსაც ისინი დაელოდებოდნენ ყოველ კვირას, შეასრულებდნენ იმ მუსიკალურ ნაწარმოებებს, რომლებსაც ფართო საზოგადოება იშვიათად უსმენს, მაგ, საოპერო არიებს. შესაბამისად, ეს იქნებოდა კიდევ ერთი მცდელობა გასაგები და მარტივი ფორმით, პოპულარულ შოუში შეგვეთავაზებინა სერიოზული და ნაკლებად პოპულარული მუსიკალური ჟანრები. სამწუხაროდ, პროექტი, რომელზეც დანებებული იყო მუშაობა და, რომელიც დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დიდ როლს ითამაშებდა | არხისკენ მაყურებლის მოზრუნვაში, ბორდის და იმ პერიოდში გენერალური დირექტორის მოვალეობის დროებით შემსრულებლის გადანიშნულებით არ განხორციელდა. იმედია, ის ვალდებულეა, რაც გულისხმობს ნაყიდი პროექტების აუცილებელ განთავსებას ეთერში, შეგვადლებინებს მის დროულ განხორციელებას ახალ საეთერო სეზონში.



იგივე შიძლება ითქვას სხვა მნიშვნელოვან შესყიდულ პროექტზეც.

ამ ეტაპზე I არხის მაყურებელს გართობისა და დასვენებისთვის მხოლოდ კინოპროდუქციას და კონცერტების ჩანაწერებს ვთავაზობთ.

მომხმარებელია სსიპ „სამოგალოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი

ტელეკომპანია II არხი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხი ახალი სამაუწყებლო ბადით ეთერში 2013 წლის მარტიდან გავიდა. მიუხედავად ფინანსური და ორგანიზაციული სიძნელეებისა, არხმა შესძლო ორი ახალი გადაცემის საეთეროდ მომზადება. საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ “არგუმენტების დრო“ ეთერში გადის კვირაში სამჯერ -სამშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს, ხოლო კვირის შემთავამებელი პროგრამა „ეპიცენტრი“ ყოველ შაბათს. ფორმატი შეცვალა პოლიტიკური პარტიებისთვის ყოველდღიურად მომზადებულმა ერთსაათიანმა გადაცემამ -„თავისუფალი ტრიბუნა“, რომელსაც უკვე წამყვანი უძღვება.



მეორე არხი განსაკუთრებული რეჟიმით მუშაობდა საპრეზიდენტო არჩევნების წინ, შეიცვალა გადაცემების ეთერში გასვლის სიხშირე და პროგრამა „ეპიცენტრი“ კვირაში სამჯერ გადიოდა, რათა მაყურებლისთვის პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი წარედგინა.



გადაცემების თემების არჩევის დროს არხი ხელმძღვანელობდა საყოველთაო ინტერესის პრინციპით და თავს არიდებდა მაყურებლის სკანდალზე და ნეგატივზე ორიენტებას, მთავარი პრინციპი იყო პრობლემის მრავალმხრივი და არსებითი განხილვა.

რესპოდენტების სანდოობა და კომპეტენცია არხის გადაცემისთვის გადამწყვეტია. პროგრამებში პრობლემაზე სასაუბროდ ის პროფესიონალებია მონაწილე, რომლებიც არა მხოლოდ დასვავენ პრობლემას, არამედ მისი გადაწყვეტის გზებსაც შესთავაზებენ მაყურებელს. არხის ეთერში მრავალი ახალი საექსპერტო სახე გამოჩნდა. მიგვაჩნია, რომ სწორედ ამიტომაც ბოლო დროს საკმაოდ გაიზარდა არხის ყურებადობა, რაც მის რეიტინგებზეც აისახა. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ არხის სრულყოფისთვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პროგრამული სრულყოფისათვის აუცილებელია ახალი სამაუწყებლო ბადისათვის რამდენიმე ახალი ფორმატის მომზადება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მიმდინარე საეთერი სეზონში დაინერგა არის მეორე არხზე “ეთნიკური უმცირესობების ენებზე” მაუწყებელი რედაქციის გადმოსვლა. საინფორმაციო პროგრამა “მოამბე”, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის ენებზე მაუწყებლობს (რუსული, აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, სომხური), ეთერში გადიოდა I არხზე დილის ზოლში და ისიც კოლაჟურად. მიმდინარე საეთერი სეზონიდან ის გადმოვიდა მეორე არხზე, შეიცვალა მისი საეთერო დრო და ის ქართულენოვანი «მოამბის» პარალელურად გადის 20:00 საათზე. გაიზარდა მისი ქრონომეტრაჟი - გახდა 60 წუთიანი და, რაც მთავარია, ყოველ კონკრეტულ ენაზე მაუწყებელ ბლოკს ჰყვას თავისი წამყვანი. ამან გაზარდა პროექტის კომპეტენცია, მნიშვნელოვნება და, რაც მთავარია, ყურებადობა.



მეორე არხის სამაუწყებლო ბადის სრულყოფის სირთულეს წარმოადგენს ის, რომ საქართველოს პარლამენტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, მეორე არხი ახორციელებს პირდაპირ ტრანსლაციებს პარლამენტის როგორც სასესიო სხდომების, ასევე საკომიტეტო მოსმენების და ბიუროს სხდომების. რამდენადაც ამ სხდომების დღეები, მისი მიმდინარეობების ხანგრძლივობები არ არის შეზღუდული დროის მონაკვეთებით, მეორე არხის საეთერო ბადეში მათი ქრონომეტრაჟებიც არ არის განსაზღვრული. ეს კი სერიოზულად აზიანებს სამაუწყებლო ბადეს, რაც თავად არხის პროგრამირების სტაბილურ სახეს ვერ აყალიბებს. ზოგადად სატელევიზიო არხის მუშაობის ხერხემალს კი წარმოადგენს სამაუწყებლო ბადე და მისი პროგრამირება. ეს განაპირობებს მაყურებლის მიჩვევას სხვადასხვა ზოლში სხვადასხვა გადაცემების და პროგრამების მიმართ. რამდენადაც მეორე არხს ასეთი რამ პრაქტიკულად არ გააჩნია, მაყურებელს უჭირს მისდოს მის პროგრამებს და შესაბამისად, მაყურებლის ყურებადობა ამ არხის პროდუქციის მიმართ ატარებს სტიქიურ ხასიათს. მომავალ საეთერო სეზონში აუცილებლად გამოსაძებნია ოპტიმალური მექანიზმი, რომელიც სატელევიზიო არხს მის სრულყოფილ და გამართულ სახეს მიანიჭებს. ეს უკანასკნელი დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს პარლამენტთან იმგვარ ურთიერთობაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება არხის ინტერესები.

მეორე არხმა მიმდინარე სეზონში, დიდი ფინანსური სირთულეების მიუხედავად, შესძლო რამდენიმე ახალი სტუდიური პავილიონის მონყობა. მართალია, ეს მცირეა იმისთვის, რაც არხს სჭირდება, მაგრამ განახლებულმა დეკორაციებმა შესძლო ახალი გადაცემები სტაბილურ გარემოში განეთავსებ.

გ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;

ორშაბათი

07:00 – 10:00 - „ჩვენი დილა“
10:00 _ 10:15 - „მომბე“
10:15 _ 11:00 – მარი მალაზონია - „პირადი ექიმი“
11:00 _ 12:00 - „სამოთხის ვაშლები“
12:00 – 12:35 - „მომბე“
12:35 _ 13:30 - სერიალი ქალებისთვის
13:30 – 14:30 - „დღეს 13:30“
14:30 – 16:00 - ფილმი - ნოსტალგია
16:00 – 17:00 - „მომბე“
17:00 _ 18:00 - „გურმანია“
18:00 – 19:00 - დოკუმენტური ფილმი:
19:00 – 19:03 - მოამბე-ანონსი
19:03 – 20: 00 – t/სერიალი
20:00 – 21:00 - „მომბე“
21:00 _ 22:00 – „დიალოგი დავით შაიჭაძესთან“
22:00 _ 23:00 – t/სერიალი
23:00 _ 00:00 – მს/ ფილმი:
00:00 _ 01:00 - „დღეს 13:30“ (გ/ჩვ)



სამშაბათი

- 07:00 – 10:00 - „ჩვენი დილა“
- 10:00 _ 10:15 - „მოამბე“
- 10:15 _ 11:00 – მარი მალაზონია - „პირადი ექიმი“
- 11:00 _ 12:00 - „სამოთხის ვაშლები“
- 12:00 – 12:35 - „მოამბე“
- 12:35 _ 13:30 - სერიალი ქალებისთვის
- 13:30 – 14:30 - „დღეს 13:30“
- 14:30 – 16:00 - ფილმი - ნოსტალგია
- 16:00 – 17:00 - „მოამბე“
- 17:00 _ 18:00 - „ჩვენი ეზო“
- 18:00 – 19:00 - დოკუმენტური ფილმი:
- 19:00 – 19:03 - მოამბე-ანონსი
- 19:03 – 20: 00 – ტ/სერიალი
- 20:00 – 21:00 - „მოამბე“
- 21:00 _ 22:00 – „აქცენტები“
- 22:00 _ 23:00 - ტ/სერიალი
- 23:00 _00:00 – მხ/ ფილმი
- 00:00 _ 01.00 - „დღეს 13:30“ (გ/ჩვ)

საზოგადოებრივი მაუწყებლის "მედიამენტის მიერ მომზადებულია სპეციალური საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ

ოთხშაბათი

07:00–10:00 - „ჩვენი დილა“
10:00-10:15 - „მოამბე“
10:15- 11:00 – მარი მალაზონია - „პირადი ექიმი“
11:00- 12:00 - „სამოთხის ვაშლები“
12:00 –12:35 - „მოამბე“
12:35-13:30 - სერიალი ქალებისთვის
13:30 – 14:30 - „დღეს 13:30“
14:30 – 16:00 - ფილმი - ნოსტალგია
16:00 – 17:00 - „მოამბე“
17:00- 17:30 - „აღმოაჩინე საქართველო“
17:30 – 18:00 - „AQUA _ GEORGIA“
18:00 – 19:00 - დოკუმენტური ფილმი:
19:00 – 19:03 - მოამბე-ანონსი
19:03 – 20: 00 – ტ/სერიალი
20:00 – 21:00 - „მოამბე“
21:00- 22:00 – „დილოდი დავით შაჩაძესთან“
22:00- 23:00 - ტ/სერიალი
23:00-00:00 – მხ/ ფილმი:
00:00-01.00 - „დღეს 13:30“ (ვ/ჩვ)

საგარეო რელიგიური კავშირების სამსახური „საგარეო რელიგიური კავშირების სამსახური“ მენეჯმენტის მიერ

ხუთშაბათი

07:00 – 10:00 - „ჩვენი დილა“
10:00 _ 10:15 - „მოამბე“
10:15 _ 11:00 – მარი მალაზონია - „პირადი ექიმი“
11:00 _ 12:00 - „სამოთხის ვაშლები“
12:00 –12:35 - „მოამბე“
12:35 _ 13:30 - სერიალი ქალებისთვის
13:30 – 14:30 - „დღეს 13:30“
14:30 – 16:00 - ფილმი - ნოსტალგია
16:00 – 17:00 - „მოამბე“
17:00 _ 17:30 - „ჩვენი ფერმა“
17:30 – 18:00 - „სათარი“
18:00 – 19:00 - დოკუმენტური ფილმი:
19:00 – 19:03 _ მოამბე-ანონსი
19:03 – 20: 00 – ტ/სერიალი
20:00 – 21:00 _ „მოამბე“
21:00 _ 22:00 – „დიალოგი დავით შაიჭაძესთან“
22:00 _ 23:00 _ ტ/სერიალი
23:00 _ 00:00 – „არენა“
00:00 _ 01.00 _ „დღეს 13:30“ (გ/ჩვ)
01:00 _ 03:00 _ მს/ ფილმი:

პარასკევი

- 07:00 – 10:00 - „ჩვენი დილა“
10:00 _ 10:15 - „მოამბე“
10:15 _ 11:00 – მარი მალაზონია - „პირადი ექიმი“
11:00 _ 12:00 - „სამოთხის ვაშლები“
12:00 –12:35 - „მოამბე“
12:35 _ 13:30 - სერიალი ქალებისთვის
13:30 – 14:30 - „დღეს 13:30“
14:30 – 16:00 - ფილმი - ნოსტალგია
16:00 – 17:00 - „მოამბე“
17:00 _ 18:00 - დოკუმენტური ფილმი
18:00 – 18:30 - „ეთნოგრაფიული ჩანახატები“
18:30 _ 19:00 – დოკ./ფილმი: (მხატვრობა, მუსიკა, ქალაქები)
19:00 – 19:03 - მოამბე _ ანონსი
19:03 – 20:00 - სერიალი
20:00 – 21:00 - მოამბე
21:00 _ 22:00 - „აქცენტები“
22:00 _ 23:00 - ტ/სერიალი
23:00 _ 01:30 – წითელი ზონა (გადაცემა+ფილმი)
01:30 _ 02:30 - „დღეს 14:30“ (გ/ჩვ)

შაბათი

- 08:00 – 11:00 - საბავშვო მექანიკა
- 11:00 – 12:00 - „პეპე და მეგობრები“
- 12:00 – 12:30 - „მოამბე“
- 12:30 – 15:00 - კლასიკური მუსიკის მექანიკა
- 15:00 – 16:00 - დოკუმენტური ფილმი
- 16:00 – 16:30 - „მოამბე“
- 16:30 – 18:00 - ქართული ფილმი
- 18:00 – 19:00 - „ეტალონი“
- 19:00 – 20:00 – 10+10 (გ/ჩვ)
- 20:00 – 20-30 - „მოამბე“
- 20:30 – 22:00 - „ახალი ქართული კინო“
- 22:00 – 24:00 – ღამის კ/ჩვენება – მხ/ფილმი

მომხატველია სსიპ „სამოგალოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ

კვირა

- 08:00 – 10:00 - საბავშვო მექანიკა
10:00 – 11:00 - „ეტალონი“ (გ/ჩვ)
11:00 – 12:00 - „პეპე და მეგობრები“
12:00 _ 12:30 - „მომბე“
12:30 – 15:00 - „სპექტაკლის დრო“
15:00 – 16:00 - დოკუმენტური ფილმი
16:00 – 16:30 - „მომბე“
16:30 _ 17:00 - „ვაშინგტონი დღეს“
17:00 – 18:30 - ქართული ფილმი - ტელეფილმი
18:30 – 20:00 - ქართული დოკუმენტალისტიკა + კონცერტი
20:00 – 20:30 - „მომბე“
20:30 _ 22:00 - „უცნობი მუსიკა“
22:00 – 24:00 – ლამის კ/ჩვენება _ მხ/ფილმი

მომხმარებელით სსიპ „სამოგადოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ

დ) დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ



ქრ. 52 წთ. კვირაში ერთჯერ

შემეცნებით-გასართობი გადაცემა. მონაწილეობას იღებენ აკადემიური მონაცემებით საუკეთესო უფროსკლასელები და სტუდენტები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

პერიოდულად, გადაცემაში მონაწილეობენ სხვადასხვა პროფესიის წარმატებული წარმომადგენლები (ექიმები, დიპლომატები, ტელენამყვანები, მომღერლები და ა.შ.)

„ეტალონი,, ეფუძნება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას, სწრაფი და ლოგიკური აზროვნების განვითარებას, მშობლიური ენისა და ქვეყნის ისტორიის უკეთ შესწავლას.

მომზადებულია სსიპ „საგარეო კავშირების სამსახური“ მენეჯმენტის მიერ



ვაშინგტონი დღეს - ქრ. 20 წუთი უვირაში ერთჯერ

ანალიტიკური პროგრამა. ამერიკელი და ქართველი ექსპერტების ანალიზი მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე სოციალურ და კულტურის სფეროში მიმდინარე პროცესების შესახებ. ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს საინტერესო ადამიანების შესახებ პორტრეტული სიუჟეტის შექმნასა და განთავსებას.

მომხატველია სსიპ „სამოგალოებრომის“ მენეჯმენტის მიერ



საზოგადოებრივი რადიო

წლიური ანგარიში- 2013 წელი

1. სიახლეები და მნიშვნელოვანი მოვლენები

1.1 მულტიმედია მუნიციპალიტეტი

„საზოგადოებრივი რადიო 1“ გადავიდა ახალ სტუდიაში, რომელიც მულტიმედია

მუნიციპალიტეტისათვისაა განკუთვნილი. ახალი სტუდიის სივრცე მუსიკალური ნომრების შესრულების



შესაძლებლობები გაზარდა და გაცილებით მეტი სტუმრის მონაწილეობის საშუალება მოგვცა.

საზოგადოებრივი რადიოსთვის პრიორიტეტულ

პროექტს წარმოადგენს მულტიმედია რადიოს ის პირდაპირი აპარატურით კომპიუტერული რადიო 1-ის

მუნიციპალიტეტის პროექტი, რომელიც ვიზუალიზაციას გულისმობს. IREX-მხარდაჭერით რადიო 1-ის ეთერის სტუდია აღიჭურვა და დაინერგა სპეციალური პროგრამა. საზოგადოებრივი





ვიდეოსიგნალი ფართო აუდიტორიისათვის ხელმისაწვდომი გახდა 15 სექტემბერს. რადიო ეთერის ყურება მომხმარებელს შეუძლია საზოგადოებრივი რადიოს საიტზე <http://radi1.ge/>.

2014 წლიდან საზოგადოებრივი რადიოს მულტიმედია მუხსელობამ აუდიტორიას სიახლეები შესთავაზა. პირველ რიგში რადიოს ვიდეოსიგნალი ხელმისაწვდომი გახდა სმარტფონების მფლობელებისათვის. გარდა ამისა, იანვრიდან სმარტფონებისა და ინტერნეტის მომხმარებლებს საზოგადოებრივი რადიოს საიტზე შეუძლიათ ეთერის გადახვევა.

სტუდიის ვიდეოგამოსახულება ხელმისაწვდომია, მხოლოდ მაშინ როდესაც ჩართულია მიკროფონები. აუდიო ჩანაწერის ან სატელეფონო ჩართვის დროს ეკრანზე ჩნდება რადიოს ლოგო. ამის გათვალისწინებით, მუსიკალური პროგრამების რედაქცია ამზადებს რამდენიმე გადაცემას, რომელშიც გამოყენებულია ვიდეომასალა. შესაბამისად აუდიტორია მუსიკალურ ნომერს უყურებს კიდეც. ამ პილოტპროექტის გამოყენება მაქსიმალურად იქნება გაზიარებული მუსიკალურ და დილის პროგრამებში.

საანგარიშო პერიოდში, საზოგადოებრივი რადიოს ძალებით დაინერგა ახალი კომპიუტერული პროგრამა, რომელიც მორბენალი სტრიქონის ავტომატიზაციის ხარისხს გაზრდის.

1.2 რადიოთეატრის იუბილე

2013 წლის 23 მაისს მუხსელების რადიოთეატრს 60, „საზოგადოებრივ რადიო 1“-ს 88

ამ დღის აღსანიშნავად 23 მაისს თეატრში რადიოდღეების საშუალებით წარმოდგენილი იყო მემკვიდრეობა, რომელიც „ოქროს ფონდშია“ დაცული. შესაძლებლობა ენახა ის რასაც განმავლობაში მხოლოდ



საზოგადოებრივი ხოლო წელი შეუსრულდა.

რუსთაველის ფრაგმენტების ის კულტურული ქართული რადიოს მაყურებელს მიეცა ათწლეულების ისმენდა.



საიუბილეო საღამოში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მსახიობებმა, მუსიკოსებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ადამიანებმა, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს ქართული კულტურის და ქართული რადიოს განვითარებაში. გარდა ამისა, დამზადდა საიუბილეო სასაჩუქრე დისკების ნაკრები „რადიო თეატრი 60“. პირველ დისკზე ჩანერილია რადიოსერიალი „სამოსელი პირველი“ გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ რადიოდადგმაში ბოლო დროის პრაქტიკულად ყველა ცნობილი ქართველი მსახიობი იღებს მონაწილეობას.

მეორე დისკზე კი ასახულია რადიოთეატრის განვითარების ეტაპები და მასში ქრონოლოგიურად დალაგებულია ნაწყვეტები რადიოსპექტაკლებიდან, დაწყებული პირველი ჩანერილი რადიო-სპექტაკლით (1953) დასრულებული უახლესი რადიოდადგმით.

1.3 რადიო 1-ისა და რადიო 2-ის შეფუთვა

საზოგადოებრივი რადიო მკვეთრად გამოირჩევა თავისი შეფუთვის სარისხით და მრავალფეროვნებით. მუდმივად ხდება გადაცემებისა და საიმიჯო შეფუთვის განახლება.

1.4 პროგრამული ცვლილებები

საზოგადოებრივი რადიოს პროგრამულ ბაღში რამდენიმე გადაცემა ჩაჯდა.

ხაზის რადიო - ახალ პროექტებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფდით, ყოველდღიურ პროგრამას „ხაზის რადიო“. ევროპის საზოგადოებრივ მაუწყებელთა ექსპერტებმა საზოგადოებრივი რადიოსათვის შემუშავეს შემდეგი რეკომენდაციები

- უნდა შეივსოს დილის პრაიმ-ტაიმი 19:00-21:00 წუთებში;
- საზოგადოებრივმა რადიომ ევრო მეტად უნდა გააკეთოს აქცენტი ოქროს ფონდზე და მის საფუძველზე შექმნილ ნოსტალგიური უანრის გადაცემებზე

ახალი გადაცემის კონცეპტივი დაკომლექტდა რადიოში არსებული ადამიანური რესურსების ხარჯზე რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ახალ პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები პროექტი წარმატებული გამოდგა და მსმენელთა მონონება მოკლე პერიოდში დაიმსახურა გადაცემა არის მრავალფეროვანი ორიგინალური და თავის



უწარში ერთადერთი ქართულ რადიოსივრცეში ყოველდღიურ პროგრამას აქვს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება.

უფლება და თავისუფლება - 2013 წელს გაეროს წარმომადგენლობამ საქართველოში გაათორმა კონტრაქტი საზოგადოებრივ მაუწყებელთან პროექტის „უფლება და თავისუფლება“ განახლების შესახებ. გაეროს წარმომადგენლობამ ერთობლივი პროექტი შეაფასა როგორც წარმატებული და პროექტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა. პროექტი შეესაბამება საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებს, მიზნად ისახავს სამოქალაქო განათლების ზრდას, საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების გაცნობას.

ერთად ევროპისაკენ - დეკემბერში დაიწყო ყოველკვირეული ინტერაქტიული გადაცემა „ერთად ევროპისაკენ“.

კლასიკის საათი - სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები. სამშაბათი 13.10-14.00. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა რადიომ ყოველკვირეული მუსიკალური გადაცემა თიბისი ბანკის დაფინანსებით დაიწყო;

გადაცემა ფესვები - სტუდია „შენაბადას“ ბავშვები ყოველ სამშაბათს 21:10-ზე წარმოგიდგენთ გადაცემას „ფესვები“. ქართული ხალხური სიმღერის ისტორია, ტრადიციები, ლიტბარები და მომღერლები. ყველაფერ ამაზე ბავშვები ყვებიან ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე.

მოდი ვილაპარაკოთ - გადაცემის წამყვანები არიან ბავშვები: ანანო გარუჩავა და თემიკო გიგიშვილი. სტუდიაში მათ სტუმრობენ თანატოლები და სხვადასხვა პროფესიის უფროსები. კითხვებს და სტუმრებს თავად ბავშვები არჩევენ სოციალური ქსელის – „ფეისბუქის“ საშუალებით. „მოდი ვილაპარაკოთ“ ეთერში ყოველ ხუთშაბათს 21:10-ზე გადის.

დო-რე-მი - საბავშვო ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა სტილის და უანრის მუსიკას, გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლების ხელოვნებას. გადაცემას აქვს რუბრიკები “თქვენი თხოვნით” და ვიქტორინა. საყმაწვილო-მუსიკალური პროგრამა “დო-რე-მი” ეთერში გადის ყოველ შაბათს, 21:00 საათზე.

მელომანის ჩანაწერები - ეს პროგრამა „რადიო 2“-ისთვის შეიქმნა, თუმცა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის „რადიო 1“-ის პროგრამულ ბაღეშიც მოხვდა. მას ძირითადად შემეცნებითი ხასიათი აქვს. მისი ქრონომეტრაჟია 5-7 წუთი.



საინტერესო ფაქტები მე-20 საუკუნის უდიდესი მუსიკოსების ბიოგრაფიიდან და მათი შემოქმედება - ასეთია „მელომანის ჩანაწერების“ პირველი ნაწილი. პროგრამის ძირითადი დრო ეთმობა ლეგენდარული მუსიკოსის უნიკალურ ჩანაწერს.

ჯაზ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯაზზე. რას დევსის საავტორო გადაცემა ჯაზის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯაზ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

ამერიკის ხმა – საანგარიშო პერიოდში შეიცვალა ამერიკის ხმის მაუწყებლობის ფორმატი. ყოველდღიური ერთსაათიანი გადაცემის ნაცვლად ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15-წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე;


1.5 გარე ჩანაწერები

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად ინერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის.

2013 წელს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შეიძინა მიკროფონის პროცესორი რამაც შესაძლებელი გახდა გარეჩანაწერების კომპიუტერით განხორციელება. აქამდე ეს ჩანაწერები ხორციელდებოდა მინიდიკებით, რაც ჩანერის აუცილებელ ხარისხს ვერ უზრუნველყოფს.

1.6 ინტერნეტ მხარდაჭერა

საზოგადოებრივი რადიო მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ინტერნეტკომპონენტს. ინტერნეტი განსაკუთრებით ეფექტური გახდა მას შემდეგ რაც მულტიმედიური მაუწყებლობის პროექტი ამუშავდა. გააქტიურდა როგორც ვებგვერდი ასევე გვერდები Facebook-ში. Facebook-ში ინტერნეტმომხმარებელს შეუძლია ნახოს როგორც საზოგადოებრივი რადიო 1-ისა და რადიო2-ის გვერდები ასევე ცალკეული ყველაზე აქტიური და პოპულარული პროექტების გვერდები.





2. პროგრამული პრიორიტეტები

ქართულ მედიასივრცეში „საზოგადოებრივი რადიო 1“ კვლავ გამოიჩინა თავისი პროგრამების მრავალფეროვნებით, ხარისხით და რაოდენობით. რადიო 1-ის პროგრამული ბაღე ყალიბდება ყველა იმ პრიორიტეტის მიხედვით, რომლებიც მაუწყებლობის შესახებ კანონით და მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მიერ არის განსაზღვრული.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013-2014 წლის პროგრამული პრიორიტეტებში ერთ-ერთ რეკომენდაციად დასახელებულია „პროგრამირებაში აქცენტირება ინტერაქტიულ პროექტებზე“.

„საზოგადოებრივი რადიო 1“-ის პრაქტიკულად ყველა გადაცემა, რომელიც პირდაპირ ეთერში გადის, ინტერაქტიულია. რადიო 1-ის მსმენელებს აქვთ საშუალება რესპოდენტებს დაუსვან კითხვები და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ინტერაქტივზეა აგებული.

მეტიც, ინტერაქტივის დროს მსმენელთა მიერ შემოთავაზებულ თემებს და დასმულ კითხვებს მუდმივად ვითვალისწინებთ გადაცემების დაგეგმვის დროს.

2.1 ინფორმაცია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013-2014 წლის პროგრამული პრიორიტეტებში გათვალისწინებულია რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებისათვის. ყველა ეს რეკომენდაცია რადიოს ფორმატის გათვალისწინებით შესრულებულია.

საზოგადოებრივ პოლიტიკური გადაცემებს უკავია 14:00 - 21:00 საეთერო ზოლი. ამ ზოლში რადიო 1-ის პრაქტიკულად ყველა გადაცემა ინტერაქტიულია. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების ენებზე 25-წუთიანი მაუწყებლობა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დატვირთვა ნაწილობრივ აქვს დილის გადაცემას „პიკის საათი“. რეკომენდაციების შესაბამისად საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმართულებას რადიოს აქტიური ეთერის 45%-ზე მეტი უკავია. გასათვალისწინებელია, რომ რადიო მაუწყებლობს 24-საათიან რეჟიმში და ღამით ამ ფორმატით მაუწყებლობა აზრს მოკლებულია.

„საზოგადოებრივი რადიო 1“-ის 5-წუთიანი საინფორმაციო გამოშვებები გადის ყოველ საათში. მიმდინარე მოვლენების უფრო ღრმა ანალიზი ხდება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქშოუებში. პირველ რიგში ამ ფუნქციას ასრულებს



„სალამოს პიკის საათი“ და „ღია სტუდია“. გასათვალისწინებელია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები ინტერაქტიულია.

სამეურვეო საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაცია გულისხმობს რეგულარულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თოქშოუებს და აღნიშნული იყო, რომ მსგავსი პროექტები სასურველია ყოველდღიურად, ერთსა და იმავე საერთო ზოლში გადიოდეს. „საზოგადოებრივი რადიო 1“- ის სამაუწყებლო ბაღე სწორედ ამ პრინციპზეა აგებული.

საზოგადოებრივი რადიო ტრადიციულად ხშირად უძღვნის გადაცემებს პენსიონერების, უნარშემზღვეული ადამიანების, უმუშევრებისა და საზოგადოების სხვა დაუცველი ფენების პრობლემებს. ამ მიმართულებაზე მუშობს „ღია სტუდია“, „თქვენი უფლებები“ და „უფლება და თავისუფლება“. გარდა ამისა, „ღია სტუდია“ ვეტერანთა გაერთიანებებთან ერთად ახორციელებს სპეციალურ პროექტს, რომელიც ვეტერანთა უფლებებს ეძღვნება.

საზოგადოებრივი რადიო პარტნიორებთან ერთად ახორციელებს პროექტს „დევნილთა სინერგია“, რომელიც დევნილთა პრობლემებს ეძღვნება.

გადაცემა „მიგრაციის მარშრუტები“ სპეციალურად მიგრანტთა უფლებებს, ტრეფიკინგს და ქართული მიგრაციის პრობლემებს ეხება.

დაუცველი ფენებისათვის განკუთვნილია პროგრამა „თქვენი უფლებები“. ამ გადაცემაში მსმენელებს შეუძლიათ მიიღონ იურიდიული კონსულტაცია. პენსიონერებში, შებლუღული შესაძლებლობების მქონე პირებსა და სოციალურად დაუცველ მსმენელებში დიდი პოპულარობით სარგებლობს „თქვენი ოჯახის ექიმი“. საქართველოს წამყვანი მედიკოსები მსმენელებს „უფასოდ“ აძლევენ კვალიფიციურ რჩევებს, რაც ამ კატეგორიის აუდიტორიისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. გადაცემა ასევე ინტერაქტიულია.

სამეურვეო საბჭოს კიდევ ერთი რეკომენდაცია ეძღვნება ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხს. ამ მიმართულების გასაშუქებლად საზოგადოებრივმა რადიომ 2013 წლის დეკემბერში დაიწყო ყოველკვირეული ინტერაქტიული გადაცემა „ერთად ევროპისაკენ“. ამ თემას ხშირად ვხვებით სხვა გადაცემებშიც, პირველ რიგში „სალამოს პიკის საათში“ და „ღია სტუდიაში“.

„საზოგადოებრივი რადიო 1“ ხშირად აშუქებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე მოვლენებს. ეს ეხება როგორც საინფორმაციო გამოშვებებს ასევე გადაცემებს.



რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებისათვის განკუთვნილ პროგრამებს, საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მასალას გვანჯლის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენაზე მაუწყებლობის რედაქცია. ამას გარდა საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქართულ ენაზე.

მიუხედავად ამისა, ეთნიკური უმცირესობის თემატიკას არ ეთმობა სპეციალური, რეგულარული, გადაცემა. წლების განმავლობაში საზოგადოებრივ რადიოს ჰქონდა ამ ფორმატის რამდენიმე პროექტი. ბოლო წლებში ეს გადაცემები ხორციელდებოდა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით. საგრანტო პროექტის განახლება ვეღარ მოხერხდა რის გამოც ეს პროექტი შეჩერდა. ამჟამად საზოგადოებრივი რადიო მუშაობს იმაზე, რომ კვლავ მოიზიდოს საგრანტო დაფინანსება ან ამ პროექტის თანხა ჩაიდოს რადიოს ბიუჯეტში. პროექტის განახლებამდე კი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხები სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში განიხილება.

საინფორმაციო გამოშვებებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

საინფორმაციო გამოშვება - პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე. 5 წუთიან გამოშვებაში ოპერატიულ და ობიექტურ ინფორმაციას მოისმენთ დღის მნიშვნელოვან მოვლენებზე. 19:00 საათზე ეთერშია შედარებით ვრცელი გამოშვება.

საზოგადოებრივი რადიოს საინფორმაციო სამსახური გამოირჩევა ობიექტურობით და დაბალანსებული ინფორმაციით, რაც არაერთხელ აღინიშნა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგები. მონიტორინგი განხორციელდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის "პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში.

მედიამონიტორებმა თავიანთ ანგარიშში ხაზგასმით აღნიშნეს რადიო 1-ის სამაგალითო მუშაობა. შეფასების ყველა კრიტერიუმის მიხედვით რადიო 1-მა სუვერენსო და ხშირად სხვა რადიოებისაგან გამორჩეული შეფასებები მიიღო;

ღია სტუდია – ყოველ სამუშაო დღეს 14.10-15.00 სთ. სოციალური საკითხები, ეკონომიკა, პოლიტიკა, მეცნიერება, განათლება, კულტურული მემკვიდრეობა ყველაფერი ის, რაც საზოგადოებას აინტერესებს, „ღია სტუდიის“ მსჯელობის საგანია;

საღამოს პიკის საათი – ყოველ სამუშაო დღეს 17.10-18.00 სთ. შემაჯამებელი პოლიტიკური თოქშოუ - აქტუალური თემების დეტალური ანალიზი, დღის მთავარი თემების განხილვა კომპეტენტურ სტუმრებთან და მსმენელთან ერთად;



ელენე ბილიხიძის სპორტული ესტაფეტა – ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

ერთად ვეროპისკენ – ორშაბათს, 16:10-ზე, ევროანტლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს განვითარების ძალისხმევა და მიმდინარე პროცესები: უსაფრთხოება, თავდაცვა, ევროკავშირი და ნატო, დემოკრატიული რეფორმები, ვალდებულებები და სტანდარტები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს;

უფლება და თავისუფლება – ხუთშაბათს 16:10სთ-ზე, გადაცემა ეძღვნება ადამიანის უფლებებს. სახელმწიფოს სტატეგია ადამიანთა უფლებების სფეროში, გენდერი, ბავშვთა უფლებები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობები, შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირები, დევნილები, შიდსის პრობლემები და სხვა. გადაცემა მზადდება საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის მხარდაჭერით;

დევნილთა სინერგია – გადაცემა გადის თვეში ერთხელ. პროგრამა მზადდება პროექტის "დევნილთა პოლიტიკური მონაწილეობის გაძლიერება საქართველოში" ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მიერ. გადაცემებში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზეა საუბარი, როგორცაა დევნილთა მიმდინარე რეგისტრაციის პროცესი, კანონი დევნილთა შესახებ, დევნილთა გააქტიურება კონფლიქტის მოგვარების პროცესში, დევნილთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური აქტიუობა და სხვა;

ეკომეტრი - ოთხშაბათს 16.10-17.00 საუბარი გარემოსდაცვით პრობლემათიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე;

მიგრაციის მარშრუტები - სამშაბათს და ხუთშაბათს, 18.10-19.00. საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა უფლებები, ცხოვრების, სწავლის და მუშაობის პირობები, დაბრუნების პერსპექტივა, ტრეფიკინგის პობლემები;

განსხვავებული აზრი-სტუმარი სტუმართან – სამშაბათს 16.10-17.00. გადაცემას აქვს განსხვავებული ფორმატი - წამყვანები მონვეული სტუმრები რაც საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე განსხვავებული კუთხით საუბრის საშუალებას იძლევა;

რეგიონის დროით – შაბათს 14:00; საქართველოს რეგიონების დღევანდელიობა, პრობლემები და მათი მოგვარების გზები (სიდას და იუესეიდის დაფინანსებით);

თქვენი უფლებები (იურიდიული კონსულტაცია) - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მონვეული კომპეტენტური იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს;



მტრის-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., გადაცემა ეძღვნება მომხარებელთა უფლებებს. ექსპერტები ხელისუფლების და მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანონმდებლობაზე

ფერმერის საათი - კვირას 15.10-16.00, პროგრამა ხშირად ეძღვნება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებულ მდგომარეობას, სახელმწიფო პოლიტიკას, ბიზნესგარემოს, მომავალ პროექტებსა და პერსპექტივებს.

ისევ განათლების საკითხებზე - შაბათს 15.10-16.00 სთ, თოქშოუ განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმებსა და სიახლეებზე, პროფესიულ, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების წესებზე, სამეცნიერო გრანტებზე, ერთიან ეროვნულ, სამაგისტრო, სასერთიფიკაციო გამოცდებზე, გამოცდების ჩატარების პროცედურასა და ნიუანსებზე, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და სტიპენდიებზე. სტუდიაში მონვეული სტუმრები საუბრობენ წინასწარ შერჩეულ თემაზე და პასუხობენ მსმენელთა სატელეფონო ზარებს;

აკადემიური სივრცე – ოთშაბათს 11:10 სთ; ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

ამერიკის ხმა – ყოველდღიური ტრანსლაცია ვაშინგტონიდან – მსოფლიო ამბები, სიუჟეტები საინტერესო თემებზე. ყოველდღიურად გადის სამი გამოშვება 15 წუთიანი გამოშვებები გადის 07:45სთ-სა და 22:05სთ-ზე. ნახევარსაათიანი გამოშვება კი გადის 20:05 სთ-ზე.

2.2 საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება

საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულება საზოგადოებრივი რადიოს პრიორიტეტს ტრადიციულად წარმოადგენს. რადიო 1 -ს აქვს პროგრამები, რომლებიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ არის უნიკალური ქართულ მედიასივრცეში. ამ პროგრამების მომზადებისას საზოგადოებრივი რადიო იყენებს „ოქროს ფონდს“, რაც ჩვენ პროდუქციას ასევე გამოარჩევს მედიაბაზარზე. პროგრამებზე მუშაობენ პროფესიონალები, რომლებიც მაუწყებლის სიამაყეს წარმოადგენენ.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი რადიოსადგურია, რომელსაც გააჩნია რადიო თეატრი. რადიოსპექტაკლების ხარისხზე მიუთითებს საერთაშორისო აღიარება და პრიზები.

საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი მედიასაშუალებაა, რომელიც სისტემატურად იწერს სპექტაკლებს და კლასიკური მუსიკის კონცერტებს, რაც მნიშვნელოვანია ქართული კულტურისათვის. საზოგადოებრივი რადიო ერთადერთი



მედიასაშუალებათა, რომელსაც აქვს მუდმივი გადაცემები, სადაც შეგიძლიათ მოისმინოთ თეატრალური და მუსიკალური მიმდინარეობა და კრიტიკა.

რადიო 1 გამოირჩევა მუსიკალური გადაცემების მრავალფეროვნებით და ხარისხით. მუსიკალური პროგრამები მოიცავს პრაქტიკულად მთელ სპექტრს - კლასიკას, ფოლკლორს, ძველ და თანამედროვე ქართულ ესტრადას, თანამედროვე და შედარებით უცნობ მუსიკას.

საზოგადოებრივი რადიო ასევე გამოირჩევა ლიტერატურული და საბავშვო პროგრამებით.

საგანამანათლებლო და კულტურის მიმართულების გადაცემების ჩამონათვალი ასეთია:

რადიოთეატრი – საზოგადოებრივი რადიოს რადიოთეატრი წარმოადგენს ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. ეროსი მანჯგალაძის სახელობის რადიოსტუდიაში დღესაც იწერება რადიოდადგმები. რადიოს ეთერში ისმის როგორც

ძველი ასევე ახალი რადიოსპექტაკლები. საზოგადოებრივი რადიოს ახალი დადგმები მუდმივად მონაწილეობს საერთაშორისო კონკურსებში, იღებს აღიარებას და პრიზებს;

თეატრალური ანტრაქტი – სცენები საპრემიერო სპექტაკლებიდან და საქართველოს თეატრების მოქმედი რეპერტუარიდან ანოტაციებით;

გულიკო კაკაბაძის თეატრალური შეხვედრები – ორშაბათს 18.10-19.00, ქართული თეატრის სიახლეები, პრემიერები, თეატრალურ მოღვაწეთა გახსენება, სცენები რადიოს ოქროს ფონდში დაცული სპექტაკლებიდან

თეატრალური ნოსტალგია სცენები ძველი დროის პოპულარული სპექტაკლებიდან (რადიოს ოქროს ფონდიდან);

რაც შესიერებას შემორჩა – რადიოს ოქროს ფონდში დაცული იშვიათი ჩანაწერების მომზადების ისტორიები და თავად ჩანაწერები;

კინოფილმი უეკრანოდ – გადაცემის წამყვანი აცოცხლებს ქართული ფილმის სიუჟეტს ფრაგმენტული ჩანაწერების თანხლებით;

კოლექცია – შეხვედრები საინტერესო მოღვაწეებთან, ვინც გატაცებული არიან ხელოვნების ნიმუშებისა და იშვიათი ნივთების შეგროვებით;



ხაზის რადიო – ყოველ სამუშაო დღეს 10.10-11.00, ხუთი სხვადასხვა ავტორის ხედვა საერთო-ეროვნულ ღირებულებებისა, მემკვიდრეები ადამიანებთან, ვინც ღირებულებების შექმნაზე ზრუნავდნენ და ზრუნავენ. ექსკლუზიური ჩანაწერები რადიოს ოქროს ფონდიდან.

ორშაბათი – **ცხოვრება კადრს მიღმა** - თეატრისა და კინოს ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და შემოქმედება

სამშაბათი – **ქართული ეთნო** - ტრადიციები, ტრადიციებსა და ფოლკლორულ მემკვიდრეობაზე მოამაგე ადამიანები

ოთხშაბათი – საქართველოს სოფლებისა და ქალაქების საინტერესო ისტორიები და კოლორიტები

ხუთშაბათი – ქართული მუსიკის მოამაგენი, უცნობი დეტალები ცნობილი მუსიკოსების ცხოვრებიდან და მათი შემოქმედების უნიკალური ნიმუშები

პარასკევი – ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ადამიანები, ვინც ეპოქალურ ღირებულებებს ქმნიან

მუსიკის საათი ყოველდღე 13.10-14.00

ორშაბათი - **ნია ბახტაძის მუსიკალური მემკვიდრეები** ცნობილ შემსრულებლებთან, ცოცხალი შესრულება, ახალი ჩანაწერებისა და ალბომების პრეზენტაციები პირდაპირ ეთერში;

სამშაბათი – **კლასიკის საათი**, სხვადასხვა ეპოქის ავტორები და ნაწარმოებები (თიბისი ბანკის დაფინანსებით);

ოთხშაბათი – **ჩაკრულო** – ქართული და უცხოური ფოლკლორი, ხალხური სიმღერის შექმნის ისტორიები, მომღერალთა პორტრეტები, ქორეოგრაფიის ისტორია, ხალხური პოეზიის, ხელსაქმისა და ტრადიციების ამსახველი მასალები;

ხუთშაბათი - **ვარიაციები მუსიკის თემაზე** – კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები, გამორჩეული ინტერპრეტაციები, ცნობილი და ნიჭიერი ახალბედა ქართველი შემსრულებლები;

პარასკევი - **რეტრო**, 70-90 იანი წლების ქართული ესტრადა, მოგონებები და საინტერესო ისტორიები იმ პერიოდის ცნობილ შემსრულებლებზე, ქართული ესტრადის განვითარების ისტორია და რეტრო-მუსიკის საუკეთესო ჩანაწერები პირდაპირ ეთერში;

შაბათი – **რადიოანშლაგი**, მუსიკალური ცხოვრების სიახლენი, საკონცერტო დარბაზებში გამართული საღამოების ჩანაწერები;

კვირა - მხოლოდ ოპერა – საოპერო მუსიკის სიახლენი, ქართველ შემსრულებელთა კომპოზიტორთა და ახალბედა ნიჭიერ მუსიკოსთა შემოქმედებითი პორტრეტები, ექსკლუზიური მუსიკალური ნომრები;

პიკის საათი - დილის შემეცნებით-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე – გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე;

ცხოვრება ხელოვნებაში - ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი გზა და ცხოვრებისეული ისტორიები სამშაბათს, 23.10-00.00;

თავისუფალი ლიტერატურა – ლიტერატორთა და ლიტერატურის მოყვარულთა საუბრები მწერლებისა და მწერლობის პრობლემებზე. ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ყველა სიახლე - პარასკევს 18.10-19.00;

ღია ძიძიგურის გალერეა - შემოქმედი ადამიანების პორტრეტები, ცხოვრებისეული ისტორიები;

უცნობი მუსიკა – კახა თოლორდავას გადაცემა შაბათს 23.30-01.00, მსმენელთათვის ნაკლებად ცნობილი მუსიკოსები, მსოფლიო მუსიკის იშვიათი ნიმუშები;

მელომანის ჩანაწერები - ეს პროგრამა „რადიო 2“-ისთვის შეიქმნა, თუმცა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ ის „რადიო 1“-ის პროგრამულ ბადეშიც მოხვდა. მას ძირითადად შემეცნებითი ხასიათი აქვს. მისი ქრონომეტრაჟია 5-7 წუთი. საინტერესო ფაქტები მე-20 საუკუნის უდიდესი მუსიკოსების ბიოგრაფიიდან და მათი შემოქმედება - ასეთია „მელომანის ჩანაწერების“ პირველი ნაწილი. პროგრამის ძირითადი დრო ეთმობა ლეგენდარული მუსიკოსის უნიკალურ ჩანაწერს.

ჯამ ამერიკა - „ამერიკის ხმის“ ყოველკვირეული პროგრამა ჯამზე. რას დევსის საავტორო გადაცემა ჯამის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა მსოფლიოში. „ჯამ ამერიკა“ ინგლისურენოვანია რის გამოც ის გვიან ღამით გადაიცემა.

ჩვენი საგანძური - „ღია სტუდიის“ შაბათის გამოშვება.14.10-15.00 სთ კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედებითი პროცესების ანალიზი, ეროვნული თვასეულობებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების სტრატეგია;

ბახიდან ოფენბახამდე – ერთი მუსიკალური შედევი შემეცნებითი ანოტაციის თანხლებით;

ქართული მუსიკის ასი წელი – ქართველი მუსიკოს-შემსრულებლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალა იშვიათი ჩანაწერებით;

ინტერმედია – მსოფლიო მუსიკალური ცხოვრების სიახლეები;

საბავშვო სტუდია 21.10-22.00:

სამშაბათი – **ფესვები** – სახალისო ისტორიები ქართული ხალხური სიმღერების წარმოშობისა და შემსრულებლების შესახებ, ტექსტების განმარტებები, ფოლკლორი მემკვიდრეობა ბავშვების მონაწილეობით;

ხუთშაბათი – **მოდი, ვილაპარაკოთ** – გადაცემის წამყვანი ბავშვები ესაუბრებიან უფროსებს ყველა იმ თემაზე, რაც მათ თანატოლებს აინტერესებთ;

შაბათი – **ლო რე მი** – შეხვედრები მუსიკოს ბავშვებთან და საბავშვო მუსიკის ავტორებთან;

იყო და არა იყო რა – ყოველ საღამოს საქართველოს რადიოს სტუდიაში ჩანერილი და გაფორმებული ზღაპარი;

მოუსმინე ისტორიას რადიო1-ზე – მცირეფორმატიანი გადაცემები კულტურულ და ისტორიულ მემკვიდრეობაზე. ავტორი ლილი ჭანიშვილი. გადაცემა დღის განმავლობაში რამდენჯერმე;

აქცენტები ისტორიაში – უცნობი ან ნაკლებად ცნობილი ფრაგმენტები საქართველოს ისტორიიდან;

ისტორია ექსპონატებში – საქართველოს მუზეუმებსა და სახლ-მუზეუმებში დაცული უნიკალური ექსპონატების ისტორია;

ხელნაწერი – საზოგადოებისთვის უცნობი ხელნაწერების შექმნისა და დღემდე მოღწევის ისტორია, მათი კულტურულ-მხატვრული ღირებულებები;

ფერთამეტყველება – ხატუნის იშვიათი ნიმუშები, ჩვენამდე მოღწეული სინმინდების ისტორია;

ვეფხისტყაოსნის ეპოქა – ლიტერატურულ-მხატვრული კომპოზიცია. პოემის ახლებური გააზრება ცნობილ ლიტერატორთა და მკვლევართა მონაწილეობით, ვეფხისტყაოსნის სტროფების მხატვრული კითხვის ჩანართებით. ორშაბათს და ოთხშაბათს დილისა და საღამოს ეთერში

ეპიზოდები – უცნობი მასალა არქივებიდან. ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა პირადი მიმოწერა, ნაკლებადცნობილი ფრაგმენტები ძველი დროის შემოქმედთა ცხოვრებიდან.

სიტყვა ქართული – ქართული ენის ნორმები, სიტყვების სწორი ფორმები და შინაარსობრივი განმარტებები, სინონიმთა და პარონიმთა გარჩევა;

აკადემიური სივრცე – ქართული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა, მიღწევები, პრობლემები და განვითარების გზები;

საუკუნის ხმები – უნიკალური ხმები რადიოს ოქროს ფონდიდან მცირე ფორმატით ყოველდღიური პროგრამის გასამდიდრებლად;



ინგლისურის გაკვეთილი – ბრიტანეთის საბჭოს მიერ უსასყიდლოდ გადმოცემული გაკვეთილები ლექსიკისა და სასაუბრო ნივთების გასაუმჯობესებლად;

თქვენი უფლებები - სამშაბათს, 15.10-16.00 სთ-მდე – პირდაპირ ეთერში მონვეული კომპიუტერული იურისტები განმარტავენ მოქმედ კანონებსა და დებულებებს. პროგრამა მიზნად ისახავს აუდიტორიის სამოქალაქო და იურიდიული განათლების ხელშეწყობას;

შტრიხ-კოდი - ხუთშაბათს 15.10-16.00 სთ., ექსპერტები, მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები საუბრობენ სურსათის უვნებლობის, საქონლის ვარგისიანობის შემოწმების, შენახვისა და გაყიდვის წესებზე, მომხმარებელთა დამცავ კანონმდებლობაზე;

ისევ განათლების საკითხებზე - კონსულტაცია განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეებზე, ეროვნული გამოცდების ახალ წესებზე, რჩევები აბიტურიენტთათვის – შაბათობით 15.10-16.00 სთ

ფერმერის საათი - კვირას, 15.10-16.00; რჩევები სოფლის მეურნეობის თემაზე, ტრადიციული ქართული ჯიშებისა და ახალი კულტურების მოვლა. პროგრამა ფერმერს და გლეხს აძლევს პრაქტიკულ და მეცნიერულ ცოდნას, შექდება სიახლეები ჯიშების, მოვლის ტექნოლოგიების, შენახვისა და მარკეტინგის სფეროში;

ოჯახის ექიმი – ორშაბათს და პარასკევს 15.10-16.00 სთ-მდე, სამედიცინო გადაცემა მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ზოგადი სამედიცინო განათლების გაზრდას. გადაცემას ასევე აქვს საკონსულტაციო ფუნქცია;

მშობელთა სკოლა – პედიატრისა და სხვადასხვა პროფილის ექიმთა რჩევები ბავშვთა დაავადებების სიმპტომებსა და მკურნალობის მეთოდებზე, პირდაპირ ეთერშია ოთხშაბათს 15.10-16.00 (“ჰუმანას” დაფინანსებით);

მედიატორი – გადაცემა მშობლებისა და პედაგოგებისთვის. საუბარი ბავშვთან ურთიერთობის პრობლემებზე, ფსიქოლოგთა რჩევები როგორ მოზარდთა ქცევისა და ხასიათის უკეთ გაგებისათვის;

ეკომეტრი - გადაცემის მიზანია საზოგადოების ეკოლოგიური განათლების გაზრდა. საუბარი გარემოსდაცვით პრობლემათიკაზე, ბუნებრივ რესურსებსა და ეკოლოგიურ საფრთხეებზე, ოთხშაბათს 16.10-17.00 (სპონსორთა მხარდაჭერით);

შაბათ-კვირა 102.4-ზე – შემცნობითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა;



2.3 გართობისა და სპორტის მიმართულება

ყველა გასართობ პროგრამას აქვს საგანმანათლებლო და საინფორმაციო მიზნები. რადიო 1-ის ეთერში ყველდღიურად გადის სპორტული თოქშოუ. რაც შეეხება სპორტულ ტრანსლაციებს გადაიცემა მხოლოდ მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები, ძირითადად ფეხბურთში, რაგბსა და კალათბურთში საქართველოს ნაკრებების გადამწყვეტი და პრინციპულად მნიშვნელოვანი მატჩები. ტრანსლაციები დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის. სპორტული ტრანსლაციები მსმენელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

დამით გადაიცემა კლასიკური მუსიკა.

საზოგადოებრივი რადიო ახორციელებს როგორც ქართული ასევე უცხოური მუსიკალური და კულტურულ ღონისძიებების პირდაპირ ეთერში ტრანსლირებას ან აუდიჩანაწერების ეთერში გაშვებას. უცხოურ მასალებს ვიღებთ EBU-საგან, რაც დამატებით ხარჯებთან დაკავშირებული არ არის.

პიკის საათი - ეს გადაცემა პირველი ქართულ მედიასივრცეში, რომელმაც შეითავსა მუსიკალურ-გასართობი და საინფორმაციო-საგანმანათლებლო ფუნქციები. დილის შემეცნებითი-გასართობი პროგრამა ეთერშია ყოველ სამუშაო დღეს 07.30-დან 10.00 მდე, შაბათობით 09.00 დან 11.00 მდე - გადაცემა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებაზე. აქვს შესაბამისი რუბრიკები. სტუდიის სტუმართა უმრავლესობა ამ სფეროს წარმომადგენლები არიან;

შაბათ-კვირა 102.4-ზე - შემეცნებითი-გასართობი პროგრამა შაბათ-კვირას 11.10 დან 13.00 მდე. საინტერესო რუბრიკები, გემოვნებიანი მუსიკა და ხალისიანი განწყობა;

ელენე ბილიხოძის სპორტული ესტაფეტა - ყოველდღე კვირის გარდა 19.10-20.00 ქართული და მსოფლიო სპორტის სიახლეები, საუბრები სპორტის სხვადასხვა სახეობათა აქტუალურ საკითხებზე სპორტის სამყაროს ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლების მონაწილეობით;

2.4 საქართველოს ენებზე მაუწყებლობა



საზოგადოებრივი რადიო გადასცემს საინფორმაციო გამოშვებებს ათხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამ მაშალას გვანჯდის საზოგადოებრივი მაუწყებლის ნაციონალური უმცირესობების ენებზე მაუწყებლობის რედაქცია. გამოშვების ქრონომეტრაჟია 25 წუთი.

ამის გარდა, საზოგადოებრივ რადიო 2-ზე გადის ყოველკვირეული გადაცემა ქურთულ ენაზე.

2.5 ერთობლივი პროექტები და დაფინანსების მოზიდვა

)საზოგადოებრივი რადიო № პროექტების ნაწილს ახორციელებს მოზიდული დაფინანსებითყ მათ შორისაა როგორც საგრანტო ასევე სასპონსორო დაფინანსებაყ ასევე გვაქვს რამდენიმე ხელშეკრულება რომლითაც ხდება საეთერო დროის მიყიდვაყყველა ეს პროექტი სრულიად შეესაბამება სამეურვეო საბჭოს მიერ დასახულ პრიორიტეტებსყ

მომხადებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის ენებზე“



3. რადიო 2

საზოგადოებრივი რადიო 2 მაუწყებლობს მხოლოდ თბილისში. რადიო 2-ის მეორე გადაცემა, რომელიც გორშია განთავსებული, 2008 წლის კონლფიქტის დროს რუსმა სამხედროებმა დააზიანეს.

დღეისათვის რადიო 2 მაუწყებლობს როგორც მუსიკალური რადიო, თუმცა მისი მუსიკალური ფორმატი განსხვავებულია.

რადიო 2 მაუწყებლობს მხოლოდ თბილისზე შესაბამისად შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში უფრო მიზანშეწონილია პრიორიტეტებით გათვალისწინებული გადაცემების რადიო 1 პროგრამულ ბადეში განთავსება, რადგან მისი დაფარვის ზონა და შესაბამისად აუდიტორია გაცილებით დიდია.

რადიო 2-ს სტაფი არ ყავს და მის მუშაობას შეთავსებით უზრუნველყოფს რადიო 1-ის რამდენიმე თანამშრომელი.

მიუხედავად ასეთი შეზღუდული რესურსებისა რადიო 2 დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით გემოვნებიანი მუსიკის მოყვარულებს შორის. ასევე აქტიურია რადიო 2-ის გვერდი Facebook-ში.

მაუწყებლობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს RDS ინკოდერების არარსებობა. RDS ინკოდერი მსმენელს რადიოს იდენტიფიცირების და მაუწყებლობის ერთი ზონიდან მეორე ზონაში გადასვლისას სიხშირის ავტომატურ ცვლას უზრუნველყოფს.

ქვემოთ მოყვანილია მარეგულირებლის მიერ რადიო 1-ისათვის გამოყოფილი სიხშირეები და რეალური მდგომარეობა.

მომზადებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლობის“ ფუნქციონირების ანგარიში

№	სიხშირე	განთავსების ადგილი	მუნიციპალიტეტი	მდგომარეობა
1	102,9	აბროლაური	აბროლაური	მუშაობს
2	102,4	ახალციხე	ახალციხე	შესაცვლეელია
3	99,1	ახალქალაქი	ახალქალაქი	არ მუშაობს
4	102,4	ბათუმი	ბათუმი	მუშაობს
5	99,5	ბორჯომი	ბორჯომი	არ მუშაობს
6	102,6	ახალდაბა	გორი	მუშაობს
7	91,1	დედოფლილს წყარო	დედოფლილს წყარო	არ მუშაობს
8	99,5	დმანისი	დმანისი	არ მუშაობს
9	101,3	ზუგდიდი	ზუგდიდი	მუშაობს
10	102,4	თბილისი	თბილისი	მუშაობს
11	99,1	თელავი	თელავი	შესაცვლეელია
12	99,5	ლაგოდეხი	ლაგოდეხი	არ მუშაობს
13	102,4	ლენტეხი	ლენტეხი	არ მუშაობს
14	102,4	მესტია	მესტია	მუშაობს
15	102,5	ოზურგეთი	ოზურგეთი	არ მუშაობს
16	101,4	საჩხერე	საჩხერე	მუშაობს
17	100,3	ქუთაისი	ქუთაისი	მუშაობს
18	102,3	სტეფანწმინდა	სტეფანწმინდა	არ მუშაობს
19	105,1	ყვარელი	ყვარელი	არ მუშაობს
20	99,1	წალკა	წალკა	არ მუშაობს
21	102,4	ჭიათურა	ჭიათურა	მუშაობს

4. ტექნიკური მდომარეობა

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ტექნიკურმა სამსახურმა მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა, საზოგადოებრივი რადიოს ტექნიკური მდომარეობა კვლავ არაა დასაშვანად აღწერილი. აუდიოტექნიკის და კომპიუტერების უმრავლესობა ტექნიკურად და მორალურად მოძველებულია. რადიოს არ გააჩნია ზოგიერთი ტიპის აპარატურა (მირკოფონის პროცესორები, FM-პროცესორები და სხვ.), რაც აუცილებელია თანამედროვე რადიომაუწყებლობისათვის.

5. აუდიტორია

საზოგადოებრივი რადიო 1-ის პროგრამულ პრიორიტეტებში გათვალისწინებულია პრაქტიკულად ყველა ტიპის გადაცემა აუდიტორიის მთელი სპექტრისათვის. საზოგადოებრივ რადიოს პროგრამების მრავალფეროვნებისა და რაოდენობის თვალსაზრისით კონკურენტი არ ჰყავს. თუმცა ეს პრობლემებსაც უმნის.

რადიოს სპეციფიკა აუდიტორიის თვალსაზრისით ტელევიზიებისაგან მკვეთრად განსხვავდება. საერთო მაუწყებლობის ტელევიზიები მოიცავენ აუდიტორიის მთელ სპექტრს. თანამედროვე რადიომაუწყებლობა ორიენტირებულია აუდიტორიის კონკრეტულ სეგმენტზე და გააჩნია ვიწრო ფორმატი.

რადიომაუწყებლობა გაცილებით იათია და შესაბამისად რადიობაზარი გადაჯერებულია. ამიტომ მსოფლიო პრაქტიკაში რადიოსადგურები სპეციალიზებულია ვიწრო აუდიტორიაზე. რადიო ორიენტირებულია გარკვეულ ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფზე. ეს ჯგუფები ასევე დაყოფილია მათი მუსიკალური გემოვნების მიხედვით.

რადგანაც საზოგადოებრივი რადიო სრულფასოვნად მაუწყებლობს მხოლოდ ერთ სიხშირეზე ის იძულებულია ყველა პროგრამული პრიორიტეტი ერთი რადიოს პროგრამულ ბადეში გაითვალისწინოს. რადიო 1-ის მსმენელს შეუძლია მოისმინოს საგანმანათლებლო, მუსიკალური, საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, გასართობი, სპორტული, საბავშვო, თეატრალური და სხვა ტიპის გადაცემები. მრავალფეროვანია მუსიკალური ფორმატიც: კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი, ქართული ესტრადა, კინომუსიკა, ჯაზი, მუსიკის თანამედროვე მიმართულებები და სხვ.



საზოგადოებრივი რადიომ აუდიტორიის სხვადასხვა სეგმენტზე ორიენტირებულ პროგრამები საათობრივი ზოლებზე გადაიანალიზა. მიუხედავად ამისა, ყველა პრიორიტეტის ერთ ერხზე გათვალისწინება რეიტინგზე და ცნობადობაზე უარყოფითად აისახება რადგან ჯამში რადიოს გამოკვეთილი აუდიტორია არ ჰყავს.

მაგალითისათვის BBC-ის პრიორიტეტები გადანაწილებული აქვს 10 ნაციონალურ რადიოარხზე:

- BBC Radio 1 – პოპმუსიკის რადიო. სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდა აუდიტორია;
- BBC Radio 1Xtra – ჰიპ-ჰოპი და RnB. სამიზნე ჯგუფი ახალგაზრდა აუდიტორია;
- BBC Radio 2 – პოპმუსიკის რადიო. სამიზნე ჯგუფი შუა ასაკის აუდიტორია;
- BBC Radio 3 – კლასიკა, ჯაზი, მსოფლიო მუსიკა, კულტურა და თეატრი;
- BBC Radio 4 – თოქრადიო;
- BBC Radio 4 Extra – საარქივო მასალები: კომედია, რადიოთეატრი და საბავშვო პროგრამები;
- BBC Radio 5 Live – ახალი ამბები და სპორტი;
- BBC Radio 5 Live Sports Extra - სპორტული არხი;
- BBC Radio 6 Music – როკი, ფანკი და ალტერნატიული მუსიკა;
- BBC Asian Network – სამიზნე აუდიტორია აზიიდან ემიგრირებული ბრიტანელები.

აუდიტორიის რამდენიმე არხზე გადანაწილების პოლიტიკით ხელმძღვანელობს პრაქტიკულად ყველა ევროპული ნაციონალური საზოგადოებრივი რადიო.

ანალოგიური გრძელვადიანი სტრატეგია გააჩნია საზოგადოებრივ რადიოსაც.

6. ცნობადობა

IREX-ის დაფინანსებით ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ საზოგადოებრივი რადიო 1-ს აქვს ცნობადობის პრობლემა, რაც რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული:

- რადიო 1-ის ორენტაცია ყველა ასაკისა და სოციალურ ჯგუფის აუდიტორიაზე და სხვადასხვა ფორმატების აღრევა პრობლემებს უქმნის რადიოს ცნობადობას. მსგავსი პრობლემა არ აქვს რადიო 2-ს, რომლის მუსიკალური ფორმატი გამოკვეთილია;



- რადიობაზარზე არის რამდენიმე რადიოსადგური, რომელთა სახელი აუდიტორიაში საზოგადოებრივ რადიოსთან ასოცირდება (მაგალითად „პირველი რადიო“);
- რადიოს სახელი რამოდენიმეჯერ შეიცვალა;
- ვადამცემები არ არის აღჭურვილი RDS ინკოდერებით, რაც რადიომიმღებებზე ჩვენი არხის იდენტიფიცირების საშუალებას არ იძლევა.

7. ოქროს ფონდი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აუდიო ფონდი წარმოადგენს საქართველოს უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლს და საგანძურს. საზოგადოებრივი რადიო აქტიურად იყენებს ფონდის მასალებს. ამავე დროს, აუდიო ფონდი სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. სირთულეებს ვაწყდებით როგორც აუდიო ჩანაწერების მორალურად მოძველებულ კატალოგებში ძებნისას ასევე ფირებიდან გადანერისას. რაც შთააგონა ფირები განიცდიან ბუნებრივ დაშლას და უნიკალური ჩანაწერების დაკარგვის საფრთხე რეალურია. გადაუდებლად აუცილებელია აუდიო არქივის ციფრულ მატარებლებზე გადატანა და ამ სამუშაოების დაჩქარებული ტემპებით განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო უნიკალურ ჩანაწერებს დაკარგავს.

მომზადებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბუკეტის მიერ

- ე) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ
- ვ) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ
- ზ) საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და მიზნების შესაბამისად, 2013 წლის განმავლობაში სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაო მოიცავდა იმ ღონისძიებებისთვის მედიამხარდაჭერის განევას, რომელთა ორგანიზატორებმაც მოგვმართეს ოფიციალური წერილით. მედია პარტნიორობა გაენია მრავალ კონცერტს, ფესტივალს, კამპანიას და კულტურულ ღონისძიებას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა ასევე უზრუნველყო მაუწყებლის თანამშრომლების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, მაგალითად, ცურვის ტურნირში დასპორტულ ფესტივალში- "მასმედია-ცხოვრების ჯანსაღი წესისათვის".

2013 წელს, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კორპორაცია Google-თან საქართველოში ექსკლუზიურად გაათორმა კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაციამ Google-ის პროდუქტების დასერვისების ექსკლუზიური პირობებით გამოყენების უფლება მიიღო.

2013 წელს გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმები ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულ სახელმწიფო თეატრსა და ეთნო-ჯაზის მიმართულების ჯგუფ „ირიფოსთან“. ილიასსახელმწიფო უნივერსიტეტი კი მაუწყებლის აფელირებული პარტნიორი გახდა. სამომავლოდ ეს ურთიერთობა მრავალმხრივი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს.

საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე ცვლილებების შესახებ, ორგანიზება გაენია პრესკონფერენციების და შეხვედრების მოწყობას. ასევე, ორგანიზება გაენია შეხვედრას სხვადასხვა სამინისტროს წარმომადგენლებთან



სოციალური რეკლამის კუთხით, საკანონმდებლოცვლილებებთან დაკავშირებით და პროექტ “ჩემი წიგნი“-ს გამომცემლობებთან შეხვედრას.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში (მუდრისთან ურთიერთობა, პრესრელიზების მომზადება და გავრცელება, განთავსება, პრომო მასალების დამზადება) მონაწილეობას იღებდა არხის პროექტების სრულყოფილად განხორციელებაში. უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი მაუწყებლის სხვადასხვა პროდუქტის რეკლამირებას და პრომოუშენს პრესაში. კერძოდ, „კვირის პალიტრის“ სხვადასხვა გამოცემებში, გაზეთ „პრაიმტაიმში“ და “ფორბსში”.

2013 წელს ტელე-რადიო მუზეუმისთვის მომზადდა მასალები ეროსი მანტგალაძის ჩანაწერთა კოლექციის თაობაზე, ონლაინ მუზეუმისთვის მომზადდა მასალები-რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციის ციკლზე- „ქართული სალიტერატურო ენის სინმინდისთვის“ (1979 წლიდან-1985 წლამდე), ასევე, რადიოს მე-9 სტუდიაზე, ქართული კულტურის მოღვაწეებთან ჩანერილ უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებზე.

შიდა პორტალ Infoletters-ზე ჩატარდა არაერთი სახალისო კონკურსი, რომლის გამარჯვებულებიც დაჯილდოვდნენ სხვადასხვა საჩუქრებით(მსგავსი აქციები ხელს უწყობს კორპორატიული მიკუთვნებულობის და დამსაქმებლის, კომპანიის მიმართ ლოიალობის გაზრდას).

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის და ვებ გვერდის ჯგუფის ერთობლივი მუშაობით 2013 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა და ახლაც ხორციელდება პროექტი „თქვი.გე“, რომლის საშუალებით ჩანერილი მიმართვებიც შესაბამის უწყებებს ეგზავნებათ რეაგირებისთვის. მაგალითად, აქვსენტი ფარცვანიას საკითხზე მივმართეთ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს. ჯულიეტა ჩიხლაძე -მივმართეთ საიას, რომელმაც მოქალაქეს გაუწია უფასო იურიდიული კონსულტაცია. გიორგი ცხადაძე - სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სევერიან ტყემელაშვილი - „ჯიპიაიპოლდინგი“. ასევე, 2013 წლის, 30 ივნისსმეორეარხისგადაცემა „ეპიცენტრში“ დიასპორისსაკითხებშისახელმწიფომინისტრმაკონსტანტინესურგულაძემ, თქვი.გე- შიმოსულიემიგრანტებისმიერდასმულკითხვებსუპასუხადამათპრობლემებზეისაუბრა.



შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ორგანიზებას უწევს სხვადასხვა გამომცემლობების და წიგნის მაღაზიების (“ლიტერატი”, “პალიტრა ელ”, “ლიბრა”) მიერ მაუწყებლის ფოიეში გამოფენა-გაყიდვის აქციის გამართვას, სადაც მაუწყებლის თანამშრომლები ფასდაკლების სპეციალური სისტემით სარგებლობენ.

2013 წელს მთანმინდის პარკში ტელევიზიის პირველი წამყვანების, ალექსანდრა მაჭავარიძის, ლია მიქაძისა და ჯულიეტა ვაშაყმაძის ვარსკვლავები გაიხსნა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ასევე ჩართული იყო 2013 წლის ცენტრალური საახალწლო გადაცემის ორგანიზებასა და ჩანერაში.

ორგანიზება გაენია საზოგადოებრივი მაუწყებლის იურიდიულ სამსახურის მიერ “ELSA საქართველოს” (ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია თბილისი) წევრებისთვის მედია სამართლის თემაზესემინარის ჩატარებას.

საზოგადოებისთვის საჭირო და საინტერესო სხვადასხვა აქტივობების, ღონისძიებებისთვის მედიაპარტნიორობის განწვევა. კერძოდ:

- ოპერა “ლატავრა”, პრემიერა
- Tbilisi open air
- არტურო სანდოვალის კონცერტი
- საქართველოს დემოგრაფიული აღორძინების ფონდის საქველმოქმედო კონცერტი
- ნანა ფაჩუაშვილის ვარსკვლავის გახსნა
- სისხლის ბანკის უანგარო დონორის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება
- თენგიზ ამირეჯიბის სახელობის, პირველი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი
- ივერიის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული
- VIII საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამაღლებამდე“
- კომპანია სოკარის მიერ საქველმოქმედო მიზნებით გადაღებული დოკუმენტური ფილმი
- თბილისის უნივერსიტეტის 85 წლის იუბილე
- საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, მებარემუმეობის აღორძინების და განვითარების ფონდის

სამეცნიერო-კვლევითი კონფერენცია

- საპროდიუსერო ცენტრის „თბილისის ინტერმედია“ და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით ჩატარებული აზერბაიჯანული კინოს დღეები
- „შატო მუხრანში“ მონყობილი „ეკო მედია პიკნიკში“
- გრიბოედოვის სახელობის რუსულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში გამართული საქველმოქმედო კონცერტი
- სტუდენტური არასამთავრობო ორგანიზაცია „სოცკოდექსის“ მიერ ნარკომანიის წინააღმდეგ გამართული აქცია-კონცერტი
- რუსთაველის თეატრში გამართული ფონდის - „ქართული გალობა“ დამფუძნებლებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი
- ალ. ყაზბეგის 165-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია
- The Georgian Times-ის მიერ ჩატარებული ტრადიციული მე-14 ბიზნეს-ტრენინგი
- საერთაშორისო ფესტივალი „ლამის სერენადები“
- ნიქოზის ანიმაციური საერთაშორისო ფესტივალი
- არტ-ვილა „გარიყულაში“ ძმები ძდანევიჩების სახელობის წარმომადგენლობით გამართული საერთაშორისო ფესტივალი „Fest Nova“
- 2013 წლის ბათუმის საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი
- სუხიშვილების საქველმოქმედო კონცერტი ძუძუს კინოს საწინააღმდეგო კამპანიის ფარგლებში
- საერთაშორისო ფესტივალი „ჩვენებურების“ 10 წლის იუბილე
- საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ თაოსნობით გამართული საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“
- ორგანიზაცია „შავფაროსნების“ მიერ განხორციელებული პროექტი „ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი“
- საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“



მოქალაქეებთან შეხვედრა და წერილების კოორდინაცია

საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ინსტიტუცია, რომელიც ანგარიშვალდებულია მხოლოდ კანონის და საზოგადოების წინაშე, აქტიურად აწარმოებს ინტერაქციას. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ყოველდღიურად იღებს წერილებს და იმ მოქალაქეებს, რომლებიც მას მიმართავენ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მწვავე და დიდი საზოგადოებრივი ინტერესის თემები მიეწოდება საინფორმაციო სამსახურს და შესაბამისი გადაცემების პროდიუსერებს რეაგირებისთვის, ზოგ შემთხვევაში კი მოქალაქის გადამისამართება ხდება სხვა ორგანიზაციაში, სადაც მისი პრობლემის მოგვარებას უფრო ოპტიმალურად შეძლებენ.

2013 წელს ხუთასზე მეტ მოქალაქეს შევხვდით მოქალაქეთა მისაღებში, რაღაც პერიოდის განმავლობაში მაუწყებლის შენობასთან მრავალრიცხოვანი აქციები მიმდინარეობდა, რაც საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მუდმივ ჩართულობას მოითხოვდა.

ძირითადი თემები:

1. მოხსნილი სოციალური დახმარებები (დუშეთის, ქართლის, გორის, ქედის რეგიონებში). ეს მოქალაქეებიც მოითხოვდნენ აქტიურ მართლმსაჯუნ გამომძიებას.
2. სოციალურად დაუცველთა ნაწილს-სოციალური დაუცველობის სტატუსი და ფულადი დახმარება შეუჩერდათ.
3. სოციალური მუშაკების დაუდევრობა;
4. ძალადობა ოჯახში;
5. აქტიურ მართლმსაჯუნ გამომძიების მოთხოვნით მოგვმართა: გელა ელიაშვილი-აბაშიძე, სარსევანიძე, სილაგაძე, ტაბატაძე-თბილისიდან, ჯიყიშვილი-გორიდან;
6. კერძო იპოთეკარების მიერ დაზარალებულებმა მოითხოვეს სპეციალური გადაცემის მომზადება (აღმასრულებლებმა დაზარალებული ადამიანები გამოასახლეს საკუთარი ბინებიდან, ეს პროცესი გრძელდება).



7. „ატსტუპნიკების“ პრობლემები.
8. ყოფილი პატიმრების გაუსაძლისი მდგომარეობა.
9. ალექსანდრეს ბალთან არსებული კარვებში მცხოვრები ადამიანები
10. (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ და ითხოვდნენ პირდაპირ ეთერს).
11. დევნილთა პრობლემები. ორმაგი სატანდარტი დევნილებში (დევნილები, რომლებიც აქირავებენ ფართებს და დევნილები, რომლებსაც არც კომპენსაცია და არც საცხოვრებელი ფართი მიუღიათ).

პროგრამა „მოამბით“ გაშუქდა არაერთი სიუჟეტი-სოციალური დახმარებების შეჩერებისა და დევნილთა პრობლემების თაობაზე.

საერთაშორისო პროექტები და ურთიერთობები

გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ევროპის მაუწყებელთა კავშირის აქტიური წევრია, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პროექტების განხორციელებაა.

2013 წელი საკმაოდ დატვირთული იყო ამ კუთხით, თუმცა მომავალში კიდევ უფრო ინტენსიური მუშაობა იგეგმება.

2013 წელს განხორციელებული საერთაშორისო აქტივობები

პროექტი „საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX) - რადიო 1“- პროექტი განხორციელდა „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეთა ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) ფარგლებში და დაფინანსდა საერთაშორისო კვლევის და გაცვლების საბჭოს (IREX) მიერ, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) სახსრებით. პროექტი მიზნად ისახავდა ახალი მედიის საშუალებებითა და ინტერაქციის



შესაძლებლობების გამოყენებით, მედიის ხარისხის გაუმჯობესებას და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას საქართველოს მოსახლეობისათვის.

კოორდინაცია გაენია პროექტის დოკუმენტაციის ბრუნვას, ფინანსური და პროგრამული ანგარიშის დროულად ჩაბარებას ორგანიზაციისთვის IREX.

ევროპის მაუწყებელთა კავშირის ვიზიტი-2013 წლის თებერვალში საზოგადოებრივ მაუწყებელს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ევროპის მაუწყებელთა კავშირი. მოენყო შეხვედრები ოფიციალურ პირებთან და დაიგეგმა ინტერვიუები.

აკრედიტაციები-გაგზავნილ იქნა საჭირო საბუთები, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში ასევე თურქეთში საქართველოს საელჩოში აკრედიტაციების მისაღებად „წითელი ზონის“ გადაღები ჯგუფისთვის.

ევროვიზია 2013-დაიგეგმა ინტერვიუები და განხორციელდა ოფიციალური მიმონერა სხვადასხვა საკითხებზე საერთაშორისო მასშტაბით.

EBU News Exchange-საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ევროპის მაუწყებელთა კავშირს შორის გათორმდა განახლებული ხელშეკრულება ახალი ამბების გაცვლის სისტემასთან დაკავშირებით, რომლისგამოყენებაც საინფორმაციო სამსახურმა დაიწყო აქტიურად.

ტრენინგი - მედია მენეჯმენტი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ორგანიზებით საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები გაგზავნილ იქნენ მედია მენეჯმენტის ტრენინგზე, რომელშიც ჩატარდა კოლუმბიის უნივერსიტეტის და ჯიპას მიერ.

EBU MIS Survey - კვლევის ფარგლებში კოორდინაცია გაენია ევროპის მაუწყებელთა კავშირისთვის 2012 წელს მაუწყებელში განხორციელებული ფინანსური, პროგრამული, ახალი მედიის და რეიტინგების დეტალური ინფორმაციის მიწოდებას.



ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და memo98-საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი მოაწერა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის და memo98 ერთობლივ პროექტს - მედიის წინასაარჩევნო ქცევის კოდექსს, რაც ითვალისწინებს არხის მონიტორინგს წინასაარჩევნო პერიოდში.

Joseph Calleja -ს კონცერტი - მალტა-საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უფასოდ მიიღო ლიცენზია მალტელი მომღერლის Joseph Calleja -ს კონცერტის გაშუქების.

სამეურვეო საბჭოს ელჩებთან შეხვედრა-დაიგეგმა და ორგანიზება გაენია სამეურვეო საბჭოს შეხვედრას საელჩოების წარმომადგენლებთან, საზოგადოებრივ მაუწყებელში დაძაბულ ვითარებასთან და მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

სატელევიზიო პროექტი „გზა შენამდე“ - მიმართვა საელჩოებს-ახალი სატელევიზიო პროექტისთვის „გზა შენამდე“ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში საქართველოს საელჩოებს დღევანდელ მიმართვები, გადამღები ჯგუფის შესაბამის ქვეყანაში ყოფნის პერიოდში ტრანსპორტირების უზრუნველყოფის და სხვა საჭირო დახმარების აღმოჩენის თაობაზე.

ირანის აკრედიტაციები- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ირანში საქართველოს საელჩოს მეშვეობით დამზადდა და გაიცა აკრედიტაციები დოკუმენტური ფილმების სტუდიის თანამშრომლებისათვის, ირანის სხვადასხვა ქალაქებში კულტურული ძეგლების გადასაღებად.

მოამბის აკრედიტაციები - კოორდინაცია გაენია სხვადასხვა სახის აკრედიტაციების დამზადებას მოამბის ჟურნალისტებისათვის.

Thomson Reuters - კოორდინაცია გაენია კომპანია Thomson Reuters - ის დოკუმენტაციის ბრუნვას.

ევროვიზია 2014- მიმდინარეობს აქტიური მზადება ევროვიზია 2014 ისთვის.

რეგიონული კონფერენცია შემლუდული შესაძლებლობების ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციის განხორციელების შესახებ - საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო 2 დღიან კონფერენციაში.



საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ევროპის მაუნყებელთა კავშირთან, საელჩოებთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ხორციელდებოდა ინტენსიური კონტაქტი სხვადასხვა საკითხებზე.

მარკეტინგის სამსახურის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სატელევიზიო ბაზრის, საზოგადოებრივი მაუნყებლის და სხვა ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი და ანალიზი. ჩვენ ამჟამად ვხელმძღვანელობთ სატელევიზიო აუდიტორიის ფიფლმეტებით გაზომვის მეთოდით მიღებული მონაცემებით - პროგრამა „ARIANNA“. ყოველდღიურად შემოდის ინფორმაცია, რომელიც აღწერს ტელეაუდიტორიის ქცევას. არსებული პროგრამა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ როგორც ტელეარხების ასევე რელეგადაცემების, სატელევიზიო და სარელამო რგოლების სარეიტინგო მონაცემები. საშუალება გვაქვს განვსაზღვროთ დროითი სეგმენტების, მიზნობრივი აუდიტორიის და ა.შ. მაჩვენებლები. მოთხოვნის შესაბამისად ამ ტიპის მონაცემებს წარმოგიდგენთ. მზადდება სარეიტინგო მასალა ტელეგადაცემების დინამიკის შესასწავლად. მიღებული მონაცემები ყოველდღიურად ეგზავნება არხის ხელმძღვანელობას.

ყველა საერთაშორისო პროექტზე სისტემატურად მზადდება ანგარიში და ეგზავნება საერთაშორისო ორგანიზაციებს.

გადაცემების პროდიუსერებს თითოეული გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ ეგზავნებათ სარეიტინგო მონაცემები: გადაცემების აუდიტორიის განაწილება 5 წუთიანი დროითი სეგმენტების დამიზნობრივი ჯგუფების მიხედვით.

ცალკეული პროექტებისთვის ყოველდღიურად მზადდება მიზნობრივი აუდიტორიის ანალიზი.

მზადდება საზოგადოებრივი მაუნყებლის მარკეტინგული სტრატეგიის კონცეფცია; მუშავდება პროგრამირების, შეფუთვის, არხის და ტელეპროექტების ცნობადობის გაზრდის მეთოდები და განხორციელების გზები.

პირველი არხის მენეჯმენტთან ერთად შეირჩა სერიალები და მულტსერიალები სხვადასხვა კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქციიდან.



სამიჯო კამპანიის ფარგლებში, პირველი არხისა და კალათბურთის ფედერაციის მიერ დაიგეგმა ქუჩის კალათბურთის ჩემპიონატი „Tbilisi open 3x3“, რომელიც გაიმართა 6-7 ივლისს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე

ჩატარდა გადაცემის „ყოჩაღების ქუჩაზე“ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა, შედეგებიდან გამომდინარე მომზადდა რეკომენდაციები და წარედგინა არხის ხელმძღვანელობას, შეხვედრას დაესწრო გადაცემის შემოქმედებითი ჯგუფი და მათთან ერთად განვიხილეთ კვლევის შედეგები, მივანოდეთ რეკომენდაციები გადაცემის ფორმატის ცვლილებასთან დაკავშირებით.

შედგა გადაცემა „ჩემი წიგნი“-ს გარე სარეკლამო კამპანია:

დამზადდა წიგნის ფორმის ბანერები, რომლებიც 1 მარტს, 2 კვირით, განთავსდა „თბილისი მოლი“-ს და გუდვილის (ქავთარაძის ფილიალი) ფოიეში, სადაც შედგა პროექტის პრეზენტაცია

შეირჩა ადგილები თბილისის მასშტაბით და განთავსდა „ჩემი წიგნის“ ბილბორდები.

მზადდება პირველი არხისა და კონკურენტი არხების შედარებით ანალიზი ბადის პროგრამირებისათვის. მიმდინარეობს მუშაობა ბადეში გადაცემების განთავსების ეფექტური დროების დასადგენად.

მომავალი სატელევიზიო სეზონისათვის, პროდიუსინგის ჯგუფთან ერთად, განიხილება სატელევიზიო პროექტების ახალ ფორმატები.

მზადდება სასაჩუქრე პაკეტები მსოფლიო ჩემპიონატის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრომოუშენისათვის .

პირველი არხი თავის მაყურებელს სისტემატურად სთავაზობს საფეხბურთო ვიქტორინას. ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებზე ტელემაყურებლები პასუხებს გზავნიან სმს-ების საშუალებით. მარკეტინგის სამსახური უზრუნველყოფს შემოსული სმს-ების დამუშავებას, რომლის მიხედვითაც ვლინდება ვიქტორინის გამარჯვებული.

მიმდინარეობს მუშაობა ნაციონალური უმცირესობებისათვის სატელევიზიო პროექტის დასამზადებლად. მზადდება ახალი საეთერო სტრატეგია, როგორც საზოგადოებრივი მაუწყებლის ტელეგადაცემების, ასევე, რეგიონული ტელევიზიებისათვის.



სარეკლამო სამსახური

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სარეკლამო სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გამომდინარეობს ორი ამოსავალი მოცემულობიდან: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვალდებულებით კანონის წინაშე და მაუწყებლის ეკონომიკური ინტერესებით. სარეკლამო სამსახურის პრიორიტეტებია:

- სასპონსორო და სარეკლამო გაყიდვები და განთავსებები
- სოციალური რეკლამის განთავსება
- პოლიტიკური რეკლამა

სასპონსორო და სარეკლამო გაყიდვები

საქართველოს კანონით მაუწყებლობის შესახებ გვეკრძალება დამკვეთისთვის სრული სარეკლამო კამპანიის წარმოება. დანესებული შეზღუდვების შესაბამისად, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, მხოლოდ სპორტულ და საერთაშორისო ტრანსლაციებში ყიდის კომერციულ სარეკლამო დროს. მაუწყებლის სარეკლამო სამსახურის ყოველდღიური საქმიანობა კი მიმართულია სასპონსორო მომსახურებაზე, რომელიც ასევე, ითვალისწინებს ე.წ. პროდაქ-ტული მენჯისა. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ამ ტიპის მომსახურებაზე მოთხოვნა მაღალია. ასევეა ბარტერი, რომელიც კარგი საშუალებაა დაიზოგოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური რესურსები. სარეკლამო სამსახური თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოებთან, აწვდის მათ საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაციას. 2013 წელს დასაწყისში განახლდა ტელე და რადიო გადაცემების სასპონსორო შეთავაზებები. შეიქმნა სარეკლამო აგენტების ჯგუფი, (თეა კახიანი, ქრისტინე ლაფშინა, თამუნა კვარაცხელია) განახდა პოტენციური კლიენტების ბაზა, სარეკლამო აგენტებმა დაიწყეს მცირე და საშუალო კომპანიების დაინტერესება და მოზიდვა.

სოციალური რეკლამა

საქართველოს კანონის მაუწყებლობის შესახებ მუხლი 65. საფუძველზე, რომელიც სოციალური რეკლამის მომსახურებას ეხება, წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას ვემსახურებით უსასყიდლოდ 1 საათში არანაკლებ 60 წამისა. 2013 წელს განთავსდა ჯამში 715 სოციალური რეკლამა მაუწყებლის პირველ, მეორე სატელევიზიო და რადიო არხებზე.



პოლიტიკური რეკლამა

საპარლამენტო
კავშირები
GPB.GE

2013 წლის 27 აპრილის საქართველოს პარლამენტის შუალედურ და 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით მომზადდა ყოველკვირეული უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამის განთავსების გრაფიკი. პოლიტიკურ სუბიექტებს გაენია მომსახურეობა საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა არხზე. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს განთავსდა ჯამში 93 რგოლი.

მომხადებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის ცენტრი

საზოგადოებრივი მაუწყებლის მულტიმედია ვებ-პორტალი

საზოგადოებრივი მაუწყებელი მისი ფუნქციონირების ახალ ეტაპზე გადადის, რომლის მიზანს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი და რეიტინგული მედია-საშუალების შექმნაა. ამ პროცესში საზოგადოებრივი არხის ვებ-პორტალს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია. საზოგადოებრივი არხის საიტს აქვს უნიკალური შანსი, სრულად გამოიყენოს ინტერნეტში არსებული საინფორმაციო პოტენციალი და გახდეს ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ვებ-პორტალი.

არსებული მდგომარეობა

დღეს არსებული ვებ-პორტალი საზოგადოებაში პოპულარულია. საზოგადოებრივი მაუწყებლის ყველა არხის ვებ-გვერდს აქვს პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადასვლის ფუნქციით (როგორც პირველ არხს და მეორე არხს, ასევე რადიო 1-სა და რადიო 2-ს) სხვა ონლაინ-სტრიმინგებზე მაღალი ხარისხით. ვებ-გვერდზე არქივდება გადაცემები (სრული ვიდეოფერსია, ასევე ცალკეული ვიდეოფრაგმენტების სახით, რომელსაც ახლავს აღწერა), საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ მაყურებლისთვის ხელმისაწვდომია როგორც სრული, ასევე ცალკეული, მათთვის საინტერესო სიუჟეტების სახით. ეს იმ მომხმარებლის აქტიურობას უწყობს ხელს, რომელიც დაინტერესებულია კონკრეტული პროდუქტით.

2014 წლისთვის საზოგადოებრივი მაუწყებელი ინტერნეტ-სივრცეში წარმოდგენილია რამდენიმე ვებ-გვერდით. ესენია:

www.gpb.ge - ამ მისამართზე განთავსებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია, დოკუმენტაცია, სამეურვეო საბჭოს სხდომები და დადგენილებები, კანონმდებლობა და ა.შ.



www.1tv.ge - განთავსებულია პროგრამა „მომხმობის“ ახალი ამბების ორენოვანი მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვით, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვადასხვა გადაცემების ვიდეო არქივი, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით, ტელეპროგრამა.

www.2tv.ge - განთავსებულია მე-2 სატელევიზიო სამაუწყებლო არხის გადაცემები, ტელეპროგრამა და პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

www.radio1.ge - განთავსებულია საზოგადოებრივი რადიო 1-ის გადაცემები, აუდიო/ვიდეო არქივი, ანონსები, რადიო 1-ის და რადიო2-ის live მაუწყებლობა აუდიო/ვიდეო (ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით), ასევე მობილური ვერსია.

www.radio2.ge - რადიო2-ის კონცეფცია განსხვავდება რადიო1-ის კონცეფციისგან, რაც გამომდინარეობს თავად ამ ორი არხის სპეციფიკიდან. რადიო2 არის მუსიკალური ფორმატის, შესაბამისად მისი გვერდი უნდა იყოს შესაბამისი დიზაინის.

www.eurovision-georgia.ge -ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით ყოველწლიურად ვამზადებთ შიდაშესარჩევ კონკურსში მონაწილე კონკურსანტების და შემდეგ გამარჯვებულის პრომოსაიტს (www.eurovision-georgia.ge); საიტზე განთავსებულია კონკურსში მონაწილეების ფოტოები, ბიოგრაფიები, მათ შესახებ გადაღებული სიუჟეტები, საბავშვო ევროვიზიის კონკურსის პერიოდში საიტზე junior.eurovision-georgia.ge განთავსებულია კონკურსთან დაკავშირებული ინფორმაციები და ვიდეო ფაილები.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებს, შესაბამისად, ვებ-ჯგუფი თითოეული ამ ღონისძიებისთვის ამზადებდა პრომო საიტებს. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საიტის მომხმარებელთა ყველაზე დიდი აქტიურობა როგორც მულტიმედია მასალებზე, ასევე LIVE მაუწყებლობაზე, სწორედ ამ ღონისძიებების მიმდინარეობის პერიოდში შეიმჩნეოდა.

მომხმობის მიხედვით



YouTube-არხები

2013 წლის მარტიდან გაფორმდა პარტნიორული ხელშეკრულება მსოფლიოში ყველაზე ძლიერ ინტერნეტ-რესურსს Google-თან, რაც საშუალებას გვაძლევს გავზარდოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერნეტ-რესურსების მომხმარებელთა რაოდენობა.

პარტნიორული ხელშეკრულება გვაძლევს საშუალებას, Google-ის საძიებო სისტემაში (search) საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქტს მიენიჭოს უპირატესობა. ასევე უადვილებს მათ წვდომას ვიდეო-კონტენტზე (Youtube) პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერ წერტილიდან და ნებისმიერი ხელსაწყო (გაჯეტის) საშუალებით, კერძოდ სმარტფონები, მობილური ტელეფონები, პლანშეტები, ინტერნეტ ტელევიზორები და ა.შ.

Google-ს სისტემა მიაწვდის მომხმარებელს კონტენტს მოცემული რეგიონისა და პლატფორმის მიხედვით საუკეთესო მარშრუტიზაციით, ოპტიმალური ხარისხით და მაქსიმალური სისწრაფით.

SEO- საიტის ოპტიმიზაცია საძიებო სისტემებისთვის (Search Engine Optimization)

საიტის ოპტიმიზაცია საძიებო სისტემებისთვის არის საკმაოდ კომპლექსური და ხანგრძლივი პროცესი. საძიებო სისტემა არის შექმნილი იმისთვის, რომ საიტები შინაარსის და ხარისხის მიხედვით დაასორტიროს და მიაწოდოს მომხმარებელს. ჩვენი მიზანია ყოველ მოთხოვნაზე რეზულტატებში მოვახვედროთ ჩვენი საიტი. ბოლო წლების განმავლობაში ვატარებდით რიგ ღონისძიებებს საძიებო სისტემებში ჩვენი საიტების დასაწინაურებლად და საკმაოდ კარგ შედეგებსაც მივაღწიეთ. მაგ. საძიებო სიტყვა „შირველი“ google.ge-ზე გვაძლევს ასეთ რეზულტატს:



ინტერნეტი სურათები ვიდეოები მეტი მიების ინსტრუმენტები

დაახლოებით 2 470 000 შედეგი (0.23 წამი)

პირველი არხი

1tv.ge/

პირველი არხი; სმ - მეორე არხი - რადიო 1 - თქვი - ევროვიზია 2014 ... 22:00
პირველი სტუდია; 23:00 დოკუმენტური ფილმი; 23:40 UEFA-ს ჩემპიონთა ლიგა.
გადაცემები - საკონტაქტო ინფორმაცია - უახლესი ამბები - Olympic games 2012

ჟურნალი „პირველი კულინარი“ / Pirveli Culinary - cooking ...

<https://ka-ge.facebook.com/PirveliCulinaryGEO>

„პირველი კულინარი“ გემოვნებიანი ადამიანების ჟურნალია. გათავაზობთ: ექსკლუზიურ რეცეპტებს, სილამაზის და ჯანსაღი ცხოვრების რეცეპტებს, ...

პირველი არხი - Tbilisi, Georgia - მედია/სიახლე/გამომცემ...

<https://ka-ge.facebook.com/1stchannel>

პირველი არხი, Tbilisi, Georgia. 47.569 likes · 5.961 ადამიანი საუფროს ამის შესახებ · 41 were here. საზოგადოებრივი მაუწყებელი აერთიანებს სამ ...

პირველი რადიო

pirveliradio.ge/

„ასეთი ურთიერთობის მომხრე ვარ, რასაც ორი ადამიანი იტყვის მერე არ მოვყვებ მედიასთან“ (ვიდეო) - „ჩემთვის მტკივნეულია“ პრეზიდენტის პირველი ...


PIA - პირველი საინფორმაციო სააგენტო

„საქებლოს“ მენეჯმენტის მიერ

მომხადებელია სსიპ „სამოგ-

1tv.ge - სტატისტიკა

შედარება 2012 წელი, 2013 წელი და 2014-ის 20 მარტის ჩათვლით
უნიკალური ვიზიტორები, სულ ვიზიტები, გვერდების ნახვები




საშუალო მაჩვენებელი თვეში

შედარება - 2012 წელი, 2013 წელი და 2014


უნიკალური ვიზიტორები, სულ ვიზიტები, გვერდების ნახვები

მომხმარებლის მიერ



გადმოსვლები საძიებო სისტემიდან და სოციალური ქსელებიდან, საშუალოდ ერთ თვეში
შედარება 2012 წელი, 2013 წელი და 2014

მომზადებულია სსიპ „სამოუკიდებო მედიის მხარდაჭერის ცენტრი“



მომხატეულოა სსიპ „სამოულოე

საქმუნთის მიურ



თ) საზოგადოებრივ მაუწყებელთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ

საქართველოს კანონის მაუწყებლობის შესახებ, მეორე მუხლის 311) პუნქტის მიხედვით

- „ურთიერთდამოკიდებულება – ურთიერთობა, რომელიც არსებობს, თუ ერთი პირი პირდაპირ ან ირიბად ფლობს მეორე პირის აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს, არის მისი თანამდებობის პირი, ან მისთვის ან მისი აქციონერის, პარტნიორის ან თანამდებობის პირისთვის ასრულებს რაიმე ანაზღაურებად სამუშაოს; აგრეთვე თუ ერთი მაუწყებელი ახორციელებს მაუწყებლობას მეორე მაუწყებლის მეშვეობით;“
მსგავსი ტიპის ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოებთან ურთიერთობა არ გააჩნია.

მომზადებულია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ გენერალური დირექტორის ბრძანებით



ი) საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

კ) საზოგადოებრივი მაუწყებლობის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, რაც მისი საქმიანობისათვის საჭირო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, გარდა სახელმწიფო ასიგნებებისა, საზოგადოებრივი მაუწყებელი ასევე გარკვეული ფულადი სახსრების აკუმულირებას ახდენს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან.

საზოგადოებრივ მაუწყებელში 2013 წლის დასაწყისში აკუმულირებული იყო მთელი რიგი მმართველობითი თუ ფინანსური პრობლემები, რის გამოც შექმნილი იყო მძიმე მდგომარეობა, რომელიც ძირითადად გამოიხატებოდა:

- დაგროვილი დავალიანების სახით - 2013 წელს მაუწყებლის შთლიანი დავალიანება 34,830.00 ათას ლარს შეადგენდა, რაც 2,947.00 ათასი ლარით მეტი იყო მაუწყებლის იმავე წლის ბიუჯეტზე
- სუსტი ფინანსური მმართველობითი სისტემით - არ იყო განსაზღვრული ფინანსური პოლიტიკა, არ ხდებოდა ფინანსური სახსრების ეფექტიანი მართვა, არ ხდებოდა საგადასახადო თუ სხვა ტიპის, როგორც მიმდინარე, ასევე დაგროვილი ვალდებულებებისა და დავალიანებების შესრულება

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ფინანსურ ბლოკში, როგორც ობტიმიზაციის, ასევე სტრუქტურული თუ სხვა ტიპის ცვლილებების განხორციელება, ფინანსური მმართველობითი კულტურის დანერგვა, მკაცრი ფინანსური პოლიტიკის შემუშავება და გატარება.

2013 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა ობტიმიზაციისა და მმართველობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ფინანსურ ბლოკში დანერგა ახალი სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ არის გამოყოფილი მასში შემავალი საქმიანობის დარგები და სამსახურები. იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსური რესურსების გამოყენების კუთხით მაუწყებლის მიერ განხორციელებული შესყიდვები წარმოადგენს ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს, ფინანსურ ბლოკში მოხდა შესყიდვების სამსახურის ცალკე სამსახურად ჩამოყალიბება, რომელიც ორიენტირებულია კონკრეტულად შესყიდვების განხორციელებაზე, შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ფასების მინიმალურიზაციაზე და შესყიდვების პროცედურების მაქსიმალურ შესაბამისობაზე მოქმედ მარეგულირებელ ნორმებთან. აღსანიშნავია, რომ



მაუწყებელმა 2013 წელს ფინანსურ ბლოკში განხორციელებული ობტიმიზაციის შედეგად ფინანსური ბლოკის სახელფასო ხარჯში 15%-იანი დანაზოვი მიიღო.

ფინანსურმა ბლოკმა დანერგული ფინანსური პოლიტიკის შედეგად 2013 წელს დაიწყო ბიუჯეტის დეტალური დაგეგმვა, ყოველდღური და ყოველთვიური კონტროლი გასაწევ თუ განეული ხარჯების შესახებ, მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების პირნათლად შესრულება, მიმდინარე ვალდებულებების დროული შესრულება და დაგროვილი დავალიანების ეტაპობრივი გადახდა, ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ეფექტური მართვა და ფინანსური ოპერაციების სრულ შესაბამისობაში მოყვანა მარეგულირებელ ნორმებთან. მაუწყებლის შიერ 2013 წლის განმავლობაში გადახდილი დავალიანებების მოცულობამ, რომელიც წინა წლებში იყო აკუმულირებული, 9,637.8 ათასი ლარი შეადგინა. ზემოაღნიშნული მოცულობის გადახდილი დავალიანების გარდა მაუწყებელმა ასევე გადაიხდა მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები რამაც 1,650.2 ათასი ლარი შეადგინა

იხილეთ ინფორმაცია გადახდილი დავალიანებებისა და ბიუჯეტში შეტანილი თანხების შესახებ

ხარჯის ტიპი	თანხა (ლარში)
გადახდილი დავალიანება	9,637,758

გადახდილი მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები (ლარში)	
დღგ	232,786
უკუდაბეგვრის დღგ	609,373
არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახდი	520,928
მოგების გადასახდი	94,026
ქონების გადასახდი	63,532
მინისგა დასახდი	16,691
საგადასახადო ჯარიმა	112,837
სულ	1,650,173

საზოგადოების მხრიდან მაუწყებლის ფინანსური მდგომარეობის მიმართ მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, 2013 წლის დასაწყისიდან ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად მაუწყებლის ახალმა მენეჯმენტმა დაიწყო ყოველთვიურად სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში საკასო ხარჯების საჯარო გამოქვეყნება. აღნიშნულ დოკუმენტში

დეტალურად არის ასახული მაუწყებლის მიერ ყოველი თვის მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გახარჯული თანხების მოცულობა და მათი მიზნობრიობა.

მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს მაუწყებლის ფინანსური ბლოკის სამსახურების მიერ პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, რომელშიც მკაფიოდ არის განერილი შესაბამისი სამსახურის ძირითადი მიზნები, მიმართულებები და პრინციპები. აგრეთვე პროცედურები, რომლებიც სამსახურების მიზნების მისაღწევად არის შემუშავებული. (მაგ: მაუწყებლის ბალანსზე არსებული სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების მოძრაობის პროცედურა, მატერიალური ფასეულობების ტერიტორიიდან გასვლის პროცედურა, დეკორაციების ჩამონერის პროცედურა და ა.შ.)

მაუწყებელში წლების მანძილზე არ ხორციელდებოდა ჩამოსაწერი ქონების აღრიცხვა და მათი ბალანსიდან ჩამონერა, რის შედეგადაც მაუწყებლის ბალანსზე დაგროვდა მნიშვნელოვანი რაოდენობის ისეთი ქონება, რომელიც არის გამოუსადეგარი, ამორტიზირებული და ჩამოსაწერი. მაუწყებლის მენეჯმენტის გადანყვეტილებით 2013 წლიდან დაიწყო ზემოაღნიშნული ქონების ჩამონერა, რომლის გაგრძელებასაც მაუწყებლის მენეჯმენტი აქტიურად აპირებს მიმდინარე 2014 წელს. 2013 წლის ნოემბერში დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგად მაუწყებელს ექნება ნათელი სურათი თუ რა ტიპის და რა რაოდენობის გამოუსადეგარი ქონება ირიცხება მაუწყებლის ბალანსზე, რის შედეგადაც აქტიურ ფაზაში შევა მაუწყებლის ბალანსის „გასუფთავება“.

2013 წელს სახელმწიფო ასიგნების ფარგლებში მაუწყებლისთვის გამოყოფილმა ბიუჯეტმა 31,883.0 ათასი ლარი შეადგინა. წლის მანძილზე ასევე მოხდა თანხების გამოყოფა სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა მიზნობრიობით, რამაც ჯამურად 2,047.8 ათასი ლარი შეადგინა. აღნიშნული თანხიდან მაუწყებელმა განეული ეკონომიების შედეგად ბიუჯეტში 197.5 ათასი ლარი უკან დააბრუნა. 2013 წლის ჯამურმა განეულმა საკასო ხარჯმა 33,730.7 ათასი ლარი შეადგინა.

აღნიშნული თანხა მოხმარდა შემდეგი სახის ხარჯების დაფარვას:




2013 წლის განმვლობაში განეული საკასო ხარჯები

ხარჯის ჯგუფები	თანხა (ლარი)
შრომისანაზღაურება	14,723,030
მივლინებები	611,939
სამეურვეოსაბჯო	301,800
ადმინისტრაციული ხარჯი	1,376,890
მარკეტინგი და გაყიდვები	68,333
პროდიუსინგი	3,545,757
საინფორმაციო საშუალებები	364,170
ტექნიკური საშუალებები	1,896,534
სხვა გადასახდელები	10,842,271
სულ	33,730,724

იხილეთ 2013 წელს სარეგერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრიობა, ხარჯვისა და დაბრუნებული თანხების მოცულობა

მიზნობრიობა	გამოყოფილი	გახარჯული	ბიუჯეტისთვის დაბრუნებული
პრეზიდენტის ინაუგურაციის გაშუქება	120,000	85,846	34,155
ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებები	45,396	28,195	17,201
26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების გაშუქება	382,400	236,259	146,141
საზოგადოებრივი მაუწყებლის შუემჯობის ფუნქციონირებისათვის	1,500,000	1,500,000	-
ჯამი	2,047,796	1,850,299	197,497

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ხარჯვის უმსხვილესი წილი მოდის: შრომის ანაზღაურებაზე - 43.7%, ხოლო 32.1% სხვა გადასახდელების დაფარვაზე. პროდიუსინგზე დანახარჯმა შეადგინა 10.5%, ხოლო დანაჩენი 13.7% მოხმარდა სხვა ადმინისტრაციულ, სამივლინებო, მარკეტინგულ, საინფორმაციო და სამეურვეო საბჯოზე განეულ ხარჯებს. მაუწყებლის მიერ სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში განეული საკასო ხარჯები (2013 წელი)



პროგრამის ანაზღაურება

მაუწყებლის მიერ 2013 წლის განმავლობაში სახელმწიფო ასიგნების ფარგლებში პროგრამის ანაზღაურების სახით გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 14,629.00 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს 13,238.00 ათას ლარი. 2012 წელს პროგრამის ანაზღაურების მნიშვნელოვანი წილი - 1,975.1 ათასი ლარის დათარვა მოხდა მაუწყებლის ეკონომიკური საქმიანობიდან (ბანკი) მიღებული შემოსავლით, შესაბამისად 2012 წელს ჯამურმა პროგრამის ანაზღაურების ხარჯმა 15,213.7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს - 14,914.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც 299.8 ათასი ლარით ნაკლებია 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

დაფინანსების წყარო	2012	2013	სხვაობა
ეკონომიკ. საქმიანობიდან	1,975,173	284,924	
სახელმწ. ასიგნები	13,238,654	14,629,155	
სულ	15,213,827	14,914,078	299,749



აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საპრემიო ფონდი 2013 წელს (48.9 ათასი ლარი) 78,6%-ით არის შემცირებული 2012 წლის (228.6 ათასი ლარი) მაჩვენებელთან შედარებით.

სამივლინებო ხარჯი

მნიშვნელოვანი ცვლილებაა ასევე 2013 წლის სამივლინებო ხარჯების ნაწილში, რომელიც 56,6%-ით არის შემცირებული 2012 წელთან შედარებით. 2012 წელს სამივლინებო ხარჯის ნაწილში 1,410.00 ათას ლარი, ხოლო 2013 წელს 611.00 ათასი ლარი შეადგინა.

ადმინისტრაციული ხარჯი

2013 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს სახელმწიფო ასიგნებების ფარგლებში განეულმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა 1,376.90 ათასი ლარი, რაც 49.5%-ით ნაკლებია იგივე მიზნით განეულ 2012 წლის ხარჯებზე. თანხობივ მოცულობაში სხვაობამ 1,351.9 ათასი ლარი შეადგინა.

იხილეთ 2013 წლის განმავლობაში განეული ადმინისტრაციული ხარჯების ტაბულები

ადმინისტრაციული სამსახური	თანხა (ლარი)	% წილი ჯამური ხარჯიდან
საწვავი	289,039	20.99%
ელექტროენერჯის ხარჯი	273,354	19.85%
დაცვის ხარჯი	238,700	17.34%
წყლის ხარჯი	116,674	8.47%
დასუფთავება	94,952	6.90%
სატელეფონო ხარჯი (მობილური ტელეფონები)	65,643	4.77%
სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები	55,206	4.01%
ავტომობილების სათადარიგო ნაწილები	51,553	3.74%
სატელეფონო ხარჯი	45,234	3.29%
GPS-ოპერატორი	24,389	1.77%
ავტომობილების მიმდინარე რემონტი	22,484	1.63%
ავტორანსპორტის დაზღვევა	20,172	1.47%
დაცვის აღჭურვილობის შეძენა (დაცვის სისტემა)	15,969	1.16%
სხვა დანარჩენი	49,904	3.62 %
სულ	1,376,890	100 %

ადმინისტრაციულ ხარჯში 2012 წელთან შედარებით 2013 წელს თანხების დაზოგვა შემდეგ ძირითად მუხლებში მოხდა:
 2013 წელს შემცირებული ადმინისტრაციული ხარჯების ცხრილი თანხობრივი და პროცენტული მაჩვენებლით

ხარჯისტიპი	თანხა (ლარი)	%% მაჩვენებელი
კვლევისმიზნითგანეულიხარჯი GFK NOP***	531,542	100.00%
საწვავი (ბენზინი,დიზელი)	290,830	50.15%
სატელეფონოხარჯი (მობილურიტელეფონები)	99,682	60.29%
ტრანსპორტისშესყიდვა	81,000	100.00%
წყლისხარჯი	77,010	39.76%
ელექტროენერჯისხარჯი	57,460	17.37%
საოფისეავთვისშესყიდვა	46,434	100.00%
ფართისდაქირავებისხარჯი	43,259	100.00%
ჟურნალისგამოშვებისხარჯი	40,496	100.00%
სატელეფონოხარჯი	29,294	39.31%
მსუბუქიავტოტრანსპორტისშეძენა	24,381	100.00%

*** 2012 წელს კვლევის(GFK NOP) მიზნითგანეულიხარჯიდან500.00 ათასი ლარი დაფინანსებულია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან

ტექნიკურის და პროდიუსინგის ხარჯები

ტექნიკურ ხარჯების მუხლში 2013 წელს ჯამურმა დანახარჯმა შეადგინა 1,896.2 ათასი ლარი, რომელიც 2012 წლის მაჩვენებელთან შედარებით 51.5 % -ით არის შემცირებული, განეულმა ეკონომიამ 2,017.3 ათასი ლარი შეადგინა.

მნიშვნელოვანი ცვლილებაა ასევე პროდიუსინგზე განეულ ხარჯების მუხლში. 2013 წელს აღნიშნულ მუხლზე განეულმა ჯამურმა ხარჯმა 3,545.8 ათასი ლარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 33.9 %-ით არის შემცირებული.

სხვა გადასახდელები

ზემოაღნიშნულ მუხლებში გამოთავისუფლებული თანხები ძირითადად მოხმარდა სხვადასხვა სახის მომსახურებიდან ან პროდუქტის მონოდებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დაგროვილი დავალიანებების დაფარვას, ასევე მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების დაფარვას. მათ შორის მნიშვნელოვან წილს მოიცავდა შემდეგი სახის კატეგორიები:

- საბანკო სესხის გადასახადი - 5,272.3 ათასი ლარი
- სახელწიფო სესხის დაფარვა და სესხის პროცენტი - 2,861.3 ათასი ლარი
- ევროპის მაუნყებელთა კავშირი (EBU) დავალიანების დაფარვა – 700.0ათასი ლარი



- ევროპის მაუწყებელთა კავშირი (EBU) 2013 წლის საწევროს გადასახადი– 333.0ათასი ლარი
- უკუდაბეგვრის ღირებულება - 560.9 ათასი ლარი
- ღირებულება - 182.9 ათასი ლარი

2013 წელს მაუწყებლის მიერ სახელმწიფო ასიგნების ფარგლებში სხვა გადასახდელებზე განეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10,842.3 ათასი ლარი.

ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან აკუმულირებული ფულადი სახსრები გამოიყენება ორგანიზაციის ძირითადი საოპერაციო დანახარჯების დასაფარად.


ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს:

- რეკლამიდან მიღებული შემოსავლები
- შემოსავლები იჯარიდან
- შემოსავალი ტექნიკის გაქირავებიდან
- სხვა მცირე შემოსავლები

2013 წლის განმავლობაში სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ჯამურმა ფულადმა შემოსავალმა შეადგინა 1,975.3 ათასი ლარი. აქედან 579.2 ათასი ლარი შემოვიდა იჯარიდან, 159.4 ათასი ლარი ტექნიკის გაქირავებიდან, 481.6 ათასი ლარი რეკლამიდან და სპონსორობიდან, 755 ათასი სხვა შემოსავლის ჯგუფიდან (სხვა შემოსავალში შესულია რესტრუქტურირებული დებიტორული დავალიანებებიდან სხვადასხვა აღჭურვილობის გაქირავებიდან მიღებული ფულადი სახსრები).

2013 წელს მიღებული შემოსავლების დიაგრამა





მიერ

2013 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით აკუმულირებული თანხებიდან მაუწყებელმა გახარჯა 1,986.1 ათასი ლარი, რაც ძირითადად მოხმარდა ადმინისტრაციულ, მარკეტინგულ და საინფორმაციო ხარჯების დაფარვას.

2013 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობიდან განეული ფულადი სახსრები

ხარჯისკატეგორია	თანხალ.	წილობრივიკოეფ.
პროდიუსინგგეგანეულიხარჯი	552,741	27.83%
ადმინისტრაციულისამსახური	319,176	16.07%
სხვაგადასახდელები	301,364	15.17%
შრომისანაზღაურება	217,977	11.0%
ტექნიკურისამსახური	206,259	10.38%
მივლინებები	144,728	7.29%
საინფორმაციოსამსახური	105,051	5.29%
სოციალურიზრუნველყოფა	80,285	4.04%
პრემია	48,316	2.43%
მარკეტინგისდაგაყიდვებისსამს.	10,260	0.52%
	1,986,156	100.00%



მთლიანი საკასო ხარჯის 27.83 % მოხმარდა საპროდიუსინგო ხარჯებს, ხოლო - 16.07 % ადმინისტრაციულ ხარჯებს. მნიშვნელოვანი წილი დაეთმო ასევე დაგროვილი გადასახდელების დაფარვას, რასაც მაუწყებლის მიერ წლის განმავლობაში განეული ჯამური ფულადი სახსრების 15.17 % მოხმარდა.

2013 წლის დასაწყისში ფულადი სახსრების ნაშთი შეადგენდა 56.1 ათას ლარს. 2013 წლის განმავლობაში ფულადი სახსრების მოძრაობის შედეგად საბოლოო ნაშთი 49.6 ათას ლარს გაუტოლდა.

სსიპ "საზოგადებრივი მაუწყებელი"-ს 2013 წლის ბიუჯეტი და საკასო ხარჯების

	გეგმა 2013	შესრულება 2013
ხელფასები სულ	10,000,000	15,069,608
მივლინებები სულ:	715,000	756,667
ჯამი სამეურვეო საბჭო:	474,000	301,800
ჯამი ადმინისტრაციული სამსახური:	1,769,650	1,696,066
სულ მარკეტინგი და გაყიდვები:	125,000	78,593
სულ პროდიუსინგის ხარჯები:	4,435,000	4,098,498
საინფორმაციო სამსახურის ხარჯები:	497,800	469,221
სულ ტექნიკური სამსახური:	2,863,211	2,102,795
სხვა ხარჯები სულ:	15,895,729	11,138,291
სულ	36,775,390	35,711,538

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი

დაფინანსების წყარო	ხაზინა	ბანკი
შრომის ანაზღაურება სულ	14,300,000	1,300,000
სოციალური უზრუნველყოფა სულ	21,000	3,000
მივლინებები		
სულ	753,736	49,321
სამეურვეო საბჭო		
სულ	484,498	
ადმინისტრაციული სამსახური		
სულ	1,630,922	257,184
მარკეტინგის და გაყიდვების სამსახურის ხარჯები		
სულ	169,015	23,003
პროდიუსინგის ხარჯები		
სულ	3,752,340	292,955
საინფორმაციო სამსახურის ხარჯები		
სულ	338,263	78,121
ტექნიკური სამსახური		
სულ	3,185,629	354,073
სხვა გადასახდელეები		
სულ	7,664,598	206,931
სულ	32,300,000	2,564,588



„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2013 წლის განმავლობაში და 2012 წელს გაფორმებული გარდამავალი კონტრაქტებით სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ შესყიდვის სხვადასხვა საშუალებით გააფორმდა - 562 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 6 392 213,83 ლარი და 13 500 ევრო, კერძოდ:

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები:

2013 წლის განმავლობაში და 2012 წელს გაფორმებული გარდამავალი კონტრაქტებით სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით გამარტივებული და ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმდა 61 ხელშეკრულება, სერთო ღირებულებით - 1 957 271,21 ლარი, კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 6 ხელშეკრულება ღირებულებით - 625 130 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 86 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 3 218 794,77 ლარი და 13500 ევრო (მათ შორის ექსკლუზივით გაფორმდა 63 ხელშეკრულება ღირებულებით - 3 011 194,57 ლარი და 13 500 ევრო, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით გაფორმდა 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 125 000 ლარი, მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმდა 3 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 22 493 ლარი, ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით გაფორმდა 1 ხელშეკრულება ღირებულებით - 2 150 ლარი),

2. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით (საკუთარი სახსრებით) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები:

2013 წლის განმავლობაში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრებით გამარტივებული და ელექტრონული ტენდერების საშუალებით გაფორმდა 12 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 434 693 ლარი (მათ შორის ბარტერის

გზით გაფორმდა 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 225 000 ლარი), ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმდა 397 ხელშეკრულება ღირებულებით - 156 324,85 ლარი (მათ შორის ექსკლუზივით გაფორმდა 9 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 10 280 ლარი, ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით გაფორმდა 4 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით - 287 ლარი).

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით (საკუთარი სახსრებით) 2013 წლის განმავლობაში ჩატარდა 73 გამარტივებული და ელექტრონული



ტენდერები, რომელთა საერთო სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 2 697 917 ლარი, ხოლო შესაბამის ტენდერებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 2 391 964,21 ლარი, რის შედეგადაც ეკონომიამ 305 953,00 ლარი შეადგინა.

ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური

საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის თანახმად შემუშავდა გეგმა, საპარლამენტო სესიებისა და კომიტეტების ტელემაუნწყებლობის ტექნიკური პროექტი, რაც მოიცავს: სხდომათა დარბაზის, ბიუროს დარბაზის, პარლამენტის თავჯდომარისა და საკომიტეტო დარბაზების აღჭურვას პირდაპირი ტელეეთერისათვის. მოწყობა ექვსი სარეჟისორო ოთახი პარლამენტის შენობაში დარბაზებში განთავსებული კამერების სამართავად და კამერის სიგნალის Mixing-ისათვის პირდაპირი ტელე- მაუნწყებლობისათვის. ასევე პარლამენტის შენობაში განთავსდა საპარლამენტო ტელე აპარატურისათვის სასერვერო ოთახი, აღჭურვილი პრეციზიული გაგრილების და უწყვეტი დენის წყაროს ბლოკებით.

ქ. ქუთაიში კონტროლის პალატის შენობაში განლაგებული ტელევიზიის პროექტი შემუშავდა საზოგადოებრივი მაუნწყებლისა და კომპანია SONY-ის მიერ. ტელევიზიის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ნაწილი აღიჭურვა კომპანია AVID-ის აპარატურით, ხოლო ძირითადი ტექნიკური ნაწილი კი SONY-ისა და EVERTZ-ის კომპანიების პროდუქციით, რაც მრავალჯერ გამოყენებულია ტელეკომპანიებში როგორებიცაა BBC, Fox News, Channel +, Al Jazeera და სხვა მაღალ კვალიფიციურ ტელემაუნწყებლებში.

საზოგადოებრივი მაუნწყებლის მუშაობისა და მაუნწყებლობის ფორმატი იყო, Full-HD 1080, XDCAM 50Bit ხარისხით. სიგნალის მიწოდება ხდებოდა სატელიტური ანტენებითა და ბოჩკოვანი კაბელის მეშვეობით, რაც გამორიცხავდა სიგნალის წყვეტას.

საზოგადოებრივი მაუნწყებლის ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ნაწილის არქიტექტურა შემუშავებული იყო საზოგადოებრივი მაუნწყებლის, კომპანია SONY-სა და კომპანია AVID-ის მიერ, რაც ძირითად საშუალებებათ მოიცავდა ციფრულ არქივს, ფაილის ინჯესტს, ვიდეო ინჯესტს, საინფორმაციო და სამაუნწყებლო ავტომატიზირებულ სისტემებს Avid Automation-სა და Interplay Asset Management-ს, Real Time Render ვიზუალური დამუშავების სისტემას, ფორმატის ავტომატური კონვერტაციის



სერვერს, მთავარი ფაილ სერვერს ISIS-5000-სა და ექვსი Media Composser სამონტაჟო სისტემას.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტებისათვის დაინერგა ამავე კომპანიის პროდუქციის სისტემა Media Asset Management ვიდეო კონტენტის სანახავად, მათ გასაშიფრად და სამაუწყებლო ნუსხის შესადგენად, რომლთაგანაც წვდომა შესაძლებელი არის ნებისმიერი - მაუწყებელში მდებარე კომპიუტერიდან, პლანშეტიდან და მობილური ტელეფონიდან.

ვიდეო სამონტაჟოებათ აირჩა ამავე კომპანიის პროდუქცია Media Composser, რომელიც არ ითხოვს ვიდეო კონტენტის ფაილის ბოლომდე ასახვას მთავარ სერვერზე მის სამონტაჟოთ გამოსაყენებლათ და დამუშავების დასრულების შემდგომ ე.წ Renders, რაც გასული წლების გამოცდილებიდან გამომდინარე ეს ყველა ოპერაცია ითხოვდა დიდ დროს და აფერხებდა ინფორმაციის სწრაფ და ხარისხიან მიწოდებას.

ასევე დაინერგა ციფრული საარქივო სისტემა, რომელიც მოიცავს ორ ძირითად საშუალებას სხვადასხვა კომპანიის პროდუქციიდან. საარქივო სისტემა დაინერგა კომანია AVID-ის Interplay Production-ის ბაზაზე, ხოლო საარქივო სისტემის ფიზიკური მწარმოებელი კი SGL აირჩა. კომპანია SGL-ის აპარატურა და მისი პროგრამული მხარე ადვილად ერწყმის AVID-ის სისტემის არქიტექტურას, რაც საშუალებას იძლევა მარტივად და სწრაფად მოვიპოვოთ სისტემაში არსებული ნებისმიერი დაარქივებული ფაილი.

სისტემის ტექნიკური მხარე მოიცავს ასევე ორ ერთმანეთისგან განუყოფელ საშუალებას რაც ე.წ ლენტური საარქივო სისტემაა და ფაილ სისტემაზე დაფუძნებული ონლაინ რეჟიმში მომუშავე სერვერი, რომლების პირდაპირი წყობით მუშაობს მაუწყებლის მთავარ სერვერთან ISIS-5000-თან, სადაც წვდომა გვაქვს ნებისმიერ ქსელში ჩართული კომპიუტერითა თუ პლანშეტით.

მაუწყებლის სარეჟისოროები და სტუდიები არაჭურვილი იყო ექვსი კომანია SONY-ის HXC-100 კამერებით, Ross Video-სა და Sony-ს ვიდეო სიგნალის მიქსერებით, Yamaha-ს თექვსმეტ არხიანი აუდიო მიქსერებით, კამერის მართვისა და ფერის

კორექციის ჯოესტიკებითა და ვიზუალური დამუშავების ორ არხიანი Workstation-ით რეალურ დროში რენდერის საშუალებით კომანია ავიდის პროდუქტით Avid Motrion Graphics-ით.

სტუდიების განათების პროექტი შეიმუშავა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კომანია Horst-მა. პირველი და მეორე არხის სტუდიები აღჭურვილი იყო LED ტიპის განათებებითა და განათების მართვის პულტებით.

საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის თანახმად შეიმუშავდა საკომიტეტო და სხდომათა დარბაზების სატელემაუწყებლო კამერებით აღჭურვის პროექტი, რაც მოიცავდა 36 მაღალი გარჩევადობის კომანია SONY-ს PH-400 კამერასა და ექვს კომანია Panasonic-ის P1 კამერებს.

პარლამენტის შენობაში მოეწყო ექვსი სარეჟისორო. აქედან ხუთი სარეჟისორო განკუთვნილია საკომიტეტო



სხდომების ტრანსლიაციისათვის და აღჭურვილია ხუთი SONY-ს ვიდეო მიქსერით, Panasonic-ის ხუთი კამერის მართვის პულტებითა და SONY-ს ათი კონტროლის მონიტორით. ერთი სარეჟისორო ემსახურება მთავარ სხდომათა დარბაზს და აღჭურვილია ორი Panasonic-ის ფირმის კამერის კონტროლის პულტებით SONY-ს ვიდეო მიქსერი და სამი კონტროლის მონიტორით.

ასევე საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის თანახმად დაინერგა საარქივო სისტემა, რომელიც კომანია AXON-ის პროდუქტია და უზრუნველყოფს ყველა საპარლამენტო სხდომის ჩანაწერის შენახვას ორი კვირის ხანგრძლივობით, რაც გამოიყენება პარლამენტის მედია სამსახურის მიერ, საპარლამენტო სხდომების სოციალურ მედიაში გასავრცელებლათ და მოთხოვნილი მასალის დასამუშავებლად.

საქართველოს პარლამენტში დამონტაჟდა სამი მობილური ჩართვის პუნქტი და მოწყობილია ორი მედია ცენტრი ქართული ტელემაუწყებლებისათვის. მედია ცენტრები აღიჭურვა ექვსი მონიტორით, ვიდეო კომუტატორებითა და პირდაპირ რეჟიმში ვიდეო-აუდიო სიგნალის ჩასაწერი პუნქტებით.

ასევე პარლამენტში გამოიყო ოთახი საზოგადოებრივი მაუწყებლის სასერვეროსთვის რომელიც აღიჭურვა უწყვეტი დენის წყაროთი და პრეციზიული გაგრილებით. სასერვერო აღიჭურვა უმეტეს წილად კომპანია Evertz-ის ტელე აპარატურით, რაც მოიცავს ვიდეო პასპორტებს, მატრიცას, ანალოგურ აუდიო გარდამქმნელებსა და გამაძლიერებლებს, კონტროლის მონიტორებს და ვიდეო სიგნალის გამაძლიერებელ აპარატურას.

2013 წლის მესამე კვარტალში გადაწყდა საზოგადოებრივი მაუწყებლის კუთვნილი, ქ. ქუთაისში არსებული კონტროლის პალატის შენობაში განთავსებული ტელევიზიის აპარატურის ქ. თბილისში გადმოტანა. შემუშავდა პროექტი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ბაზაზე ავტომატიზირებული სისტემის დანერგვისა.

პროექტის თანახმად გადაწყდა საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობაში გამოყოფილიყო ათი ოთახი სამონტაჟოებისათვის, ფაილ და ვიდეო ინჯესტიისათვის, ცენტრალური სააპარატოსთვის, პირველი და მეორე არხის საეთეროებისთვისა და ციფრული არქივისათვის.

საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე სართულზე კომპანია ავიდის ბაზაზე აწყობილი სამონტაჟოებისთვის გამოიყო და გარემონტდა ათი ოთახი და ერთი ხმის ჩამწერი სტუდია. პროექტის თანახმად გამოცხადდა ტენდერები ოთახების სარემონტო სამუშაოებისათვის. სისტემის შიდა საკაბელო სამუშაოებისათვის შეირჩა მაღალი გამტარობის და ჰალოგენური დაცვის ქსელის კაბელები.

კონტროლის პალატის მიერ იქნა გადმოცემული აუდიტორიული შეფასების თანახმად 110 000 აშშ დოლარის ღირებულების



პრეციზიული გაგრილების სისტემური ბლოკები, უწყვეტი დენის წყაროს ბლოკები და ანეული იატაკი. გარემონტდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე სართულზე არხის მთავარი სასერვეროსათვის ოთახი და აღიჭურვა კონტროლის პალატისაგან გადმოცემული პრეციზიული გაგრილებით, ანეული იატაკითა და უწყვეტი დენის წყაროს ბლოკებით.

სისტემის დანერგვა გადაწყდა ეტაობრივი განვითარებით, რათა სისტემის ათვისება და მისი ეფექტური გამოყენება გამხდარიყო ყველა თანამშრომლისთვის ადვილათ გასაგები და გამოსაყენებელი. პირველი ეტაპი მოიცავს :

- პირველი და მეორე არხის საეთეროების გადაადგილება და Avid-ის ავტომატიზირებულ სისტემაზე გადაყვანა. რომელიც მოიცავს სამ ძირითად პროგრამულ და ტექნიკურ საშუალებას : Avid Automation , Avid Media Preparation და Avid Air Playout.
- მთავარი სასერვეროს მონყობა კორპუსის პირველ სართულზე, ანეული იატაკით, რეციზიული გაგრილების, უწყვეტი დენის წყაროს ბლოკებით და თერთმეტი მაღალ ხარისხიანი სასერვერო რეკვინტ მონტაჟს.
- კომანია AVID-ის სისტემის ნაწილის Interplay Access-ის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა, რომელიც განკუთვნილია გადაცემაზე მომუშავე პროდუსერთა და ჟურნალისტთათვის.
- საარქივო სისტემის დანერგვა, რომელიც მოიცავს შუალედურ მასივს 16TB-ის ოდენობით და IBM-ის ტიპის ციფრულ 10 კასეტას, რომლის საშუალო მოცულობა თითო კასეტაზე 1.5 TB-ია.
- სისტემის მთავარ სერვერს Isis-5000, რომლის მოცულობაც 35TB-ია და მოიცავს ოთხ ძირითად საშუალებას, რომლებიცაა : Stream Server, Interplay Engine, Archive Provider და Archive Manager. პროექტის განვითარების მეორე ეტაპზე
კი Stream Server -ის პროგრამულად გადაკეთება ენკოდირების სერვერათ.
- მიღებული სიგნალებისა და ვიდეო Playout სერვერებისათვის სისტემა აღჭურვილია Avid Airspeed 5000: ორი Avid Airspeed 5000 გამოიყენება დაზღვეულ ვიდეოს გამშვებ სერვერად და სისტემურად მონყობილია ე.წ Mirrored ფუნქციით. პროექტის განვითარების მეორე ეტაპზე ერთი Airspeed 5000 სისტემურათ გადაეწეობა ე.წ Low Resolution Server Provider-ათ, ორი Airspeed 5000 კი ოთხი დამოუკიდებელი ვიდეო სიგნალის ჩასაწერათ.
- პროექტის პირველ ეტაპზე ვიდეო მასალის მთავარ სერვერზე შესაყვანად გამოიყოფა ორი სამონტაჟო მანქანა



რომლებიც შეასრულებენ როგორც სამონტაჟოს ფუნქციას ასევე შეითავსებენ ე.წ File Ingest-ის ფუნქციებსაც.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე დაინერგა გახმოვანების პროექტი, მომზადდა მისი განივთარების, აღჭურვის გეგმა და მისი უმეტესი ნაწილის ტექნიკური პროდუქტით აღიჭურვა უკვე საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე არსებული ტექნიკური პროდუქციით შეთანხმდა. გადაწყდა მისი სისტემური უზრუნველყოფისათვის გამოყენებულიყო ტელეკომანია პიკის ბაზაზე გამოყენებული სერვერის კომანია EDITSHARE-ის პროდუქტის გამოყენება, რომლის ტექნიკური მახასიათებლები მოიცავს : 45TB-ის მთავარ მასივს და შუალედურ მასივს 15TB-ის ოდენობით. პროექტის თანახმად გადაწყდა ოთხი სამონტაჟო სისტემის გამოყენება ასევე ტელეკომანია პიკის ბაზაზე არსებული iMAC Workstation-ის, ხმის ჩასაწერათ და ე.წ მასტერინგისათვის. აუდიო ტექნიკის ნაწილის გამოყენება კი, ე. ქუთაისში არსებული ტელევიზიიდან : ყურსასმენები, მიკროფონები, დინამიკები და ა.შ

2013 წელს დაიწყო შემუშავება პროექტის -ქ. თბილისში ყოფილი პარლამენტის შენობის გასამართად საპარლამენტო სესიების ტელემაუწყებლობისათვის. ქუთაისის პარლამენტის პროექტთან განსხვავებით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ პროექტს კურირებს.

საქართველოს პარლამენტის მიერ შეირჩა შემსრულებელი კომპანია SONY. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და კომანია SONY-იმ შეიმუშავა ტექნიკური უზრუნველყოფის პროექტი, რაც მოიცავს ათი საკომიტეტო დარბაზის, ილია ჭავჭავაძის და თამარ მეფის სახელობის დარბაზებს, შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზს პრეზენტაციებისათვის, კინო დარბაზს, ბიუროს დარბაზს და სხდომათა დარბაზს. რომლებიც აღჭურვილია მაღალი გარჩევადობის (HD) კომპანია SONY-ის პროდუქციის კამერებით.

საქართველოს პარლამენტთან შეთანხმებით გამოიყო ფლიგელი საზოგადოებრივი მაუწყებლისათვის, ტექნიკისა და სარეჟისორობისათვის. (ყოფილი მედია ცენტრის ტერიტორია) პროექტის თანახმად გადაწყდა ექვსი სარეჟისოროს მონყოლა. აქედან ოთხი სარეჟისორო ემსახურება საკომიტეტო სხდომებს, ერთი სარეჟისორო პლენალური დარბაზისთვის და ერთი ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, საქართველოს ტელემაუწყებლებისათვის, კანონით განკუთვნილი აუდიო-ვიდეო სივრცეების, სხდომების და ტელე ჩართვების მისაწოდებლათ.

კომპანია SONY-ის თან ერთად შეთანხმდა ტელე აპარატურის შერჩევა, საქართველოს პარლამენტის მოთხოვნის თანახმად, დაინერგა საარქივო სისტემა რომელიც კომანია AXON-ის პროდუქტია და უზრუნველყოფს ყველა საპარლამენტო სხდომის ჩანაწერის შენახვას ორი კვირის ხანგრძლივობით, რაც გამოიყენება პარლამენტის მედია სამსახურის მიერ, საპარლამენტო სხდომების სოციალურ მედიაში გასავრცელებლათ და მოთხოვნილი მასალის დასამუშავებლათ.



პროექტში ჩაიღო ხუთი მობილური ჩართვის პუნქტი საქართველოს ტელემაუწყებლებისათვის. ჩართვის ვიდეო-აუდიო კონტრლს, მის გადანაწილებას და დანიშნულების ადგილამდე უწყვეტ კავშირს კი მთლიანად საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს.

პროექტის ღირებულების შესამცირებლათ შემუშავდა გეგმა, საკომიტეტო დარბაზებში განლაგებული ტელეკამერების ჩანაცვლება მობილური ტელეკამერებით. მობილური ტელეკამერები ემსახურება მხოლოდ ათ პატარა საკომიტეტო დარბაზს და მისი მომსახურების გეგმა შეადგენს მოთხოვნის საფუძველზე ტელეკამერების წინასწარ მონტაჟს სხდომის დაწყებამდე, რასაც დაახლოებით ნახევარი საათის ოდენობით დრო სჭირდება.

2013 წლის შემუშავებული გეგმის მიხედვით 2014 წლის პირველ კვარტალში დაიწყო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ტექნიკური მოდერნიზაციის პროექტის გათვალისწინებით შემუშავებული გეგმის განხორციელება. მეორე არხისთვის გამოიყო საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობის პირველ სართულზე სამონტაჟო ოთახები და ნიუსრუმი. მეორე არხის სამონტაჟოების ნაწილი აღიჭურვება პირველი არხის ბაზაზე არსებული სამონტაჟო მანქანებით.

2014 წლისთვის ჩასატარებელი ცვლილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხისთვის განაწილებულია ასევე ეტაპობრივი განვითარებით, პარალელურად პირველი არხისა.

ამჟამად მეორე არხის სტუდიაში განახლდა აუდიო სისტემა, გადაეცა ტელეკომანია პიკის ბაზაზე არსებული ხმის ციფრული მიქშერი, დაემატა ვიდეო კონვერტორები HD/SDI-HDMI და პერსონალური კომპიუტერები, კერძოდ : Skype-ისა და Youtube-ის პირდაპირ ეთერში გამოსაყენებლად, გადაეცა ქუთაისის ბაზაზე არსებული რადიო და კაბელიანი კომპანია Shure-ის მიკროფონები და ტელენამყვანის ყურსასმენები. პროექტის მიხედვით დღევანდელ სიტუაციაში ინერგება კომანია Avid-ის ავტომატიზირებული საეთერო და სამაუწყებლო პროგრამები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის
სამონტაჟო ოთახი

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ.

გამომდინარე აქედან, “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ იურიდიული სამსახურის 2013 წლის ანგარიშს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შეიცავს მხოლოდ აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტის “ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ინფორმაცია სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ 2013 წლის განმავლობაში განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

1.

2013 წლის 10 აპრილს ორგანიზაცია “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელში“ წარმოადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რითაც საქართველოს კონსტიტუციის 24(1) და 41(1) მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2(მ), 10(1), 27(დ), 37(1), 42(6), 44(1), 177(1;3) და 178(1) მუხლების, ასევე, საჯარო სამსახურში ინტერესთა შეფუთავებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საჯარო ინფორმაციის

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი



აქტის

ბათილად ცნობა და აღნიშნული ორგანიზაციისთვის შესაბამისი საჯარო ინფორმაციის - საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობის და ხსენებული სარგოს განსაზღვრის (დამტკიცების) შესახებ შესაბამისი დოკუმენტაციის გადაცემა.

საჩივარში აღნიშნული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რადგან, 2013 წლის 10 მაისს ორგანიზაცია “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ გადაეცა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს 25.03.2013წ. #251 გადაწყვეტილების ასლი.

2.

2013 წლის 10 სექტემბერს, სსიპ “საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა მოქალაქემ, რითაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ბ“ პუნქტის და 601 მუხლების საფუძველზე, მოითხოვა 2013 წლის 31 ივლისსა და 5 აგვისტოს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით სატელევიზიო გადაცემების დამზადების სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო კომისიის დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა და ელექტრონული ტენდერის შედეგების ბათილად ცნობა.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2013 წლის 1 ნოემბერს და 2013 წლის 8 ნოემბერს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს და მისი თავმჯდომარის სახელზე წარმოდგენილი იქნა საჩივრები სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებაზე.

ამასთან დაკავშირებით, საჩივრის ავტორს რამოდენიმეჯერ ეცნობა წერილობით იმის შესახებ, რომ “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებების გამო, კანონის 28(1) მუხლის თანახმად, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭო არ იყო უფლებამოსილი ჩაეტარებინა სხდომა და მიეღო რაიმე სახის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, მოქალაქე ითხოვდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს გადაეღო

საჩივრის განხილვა ახალი სამეურვეო საბჭოს არჩევამდე. გამომდინარე აქედან, საჩივრის ავტორს არაერთხელ განემარტა, რომ ასეთ ვითარებაში, თუ ის აპირებდა დავის



გაგრძელებას, იმისათვის, რომ არ გაეშვა ხანდაზმულობის ვადები, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2013 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება შეეძლო გაესაჩივრებინა სასამართლოში კანონით დადგენილი წესით, რაც სავარაუდოდ მის მიერ არ განხორციელებულა, რადგან სასამართლოდან რაიმე სახის შეტყობინება ამ საკითხთან დაკავშირებით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელს“ წინამდებარე ანგარიშის მომზადების მომენტისთვის არ მიუღია.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ
“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ საფუძველზე, სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2013 წლის განმავლობაში სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში განხილული იქნა შემდეგი საჩივრები:

1. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს-კომისიას 2013 წლის 25 იანვარს საჩივრით მიმართა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ 2013 წლის 22 იანვრის 20:00 საათიან საინტორმაციო გამოშვებაში “შოამბე“ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლის საცხოვრებელი სახლის გაჩხრეკის ფაქტთან დაკავშირებით ინტორმაციის გავრცელებისას “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის დარღვევების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების კომისიისგან ითხოვდა ზემოთ ხსენებული ნორმების დარღვევის აღიარებას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რაც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში (თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში) არ გასაჩივრებულა.



2. GPB.GE


სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოში-კომისიაში 2013 წლის 11 მარტს საჩივარი წარმოადგინა ორგანიზაცია “ევრაზიის ინსტიტუტი“-ს ხელმძღვანელმა 2013 წლის 1 მარტს გადაცემა “აქცენტებში“ ჟურნალისტის მხრიდან “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ მე-12 მუხლის, მე-13 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-15 მუხლის, მე-17 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, მე-19 მუხლის და მე-20 მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნების დარღვევის შესახებ. შესაბამისად, საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების კომისიისგან ზემოთ ხსენებული ნორმების დარღვევის აღიარება, საჩივრის წაკითხვა სრულად საზოგადოებრივი მაუწყებლის იმავე გადაცემის ფარგლებში და მიღებული გადაწყვეტილების ვებ-გვერდზე გამოქვეყნება.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ საჩივარი არ დაკმაყოფილდა გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში (თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში) არ გასაჩივრებულა.

3.

2013 წლის 26 და 27 ივნისს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ არასამთავრობო ორგანიზაციის “კლუბი თავისუფალი ზონა“-ს და საზოგადოებრივი კავშირი “დროა“-ს სახელით შემოვიდა #01/01 საჩივარი და #0001 მიმართვა 2013 წლის 24 ივნისს საზოგადოებრივი მაუწყებლის არხზე 20:00 საათიან “მოამბე“-ში არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ გაშუქებული სიუჟეტის თაობაზე.

ზემოთ აღნიშნულ ორგანიზაციებს დაუდგინდათ ხარვეზი (ვინაიდან, არ დასტურდებოდა საჩივარზე ხელმომწერი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, გარდა ამისა, საჩივარში არ იყო მითითებული სამართლებრივი საფუძვლები, ანუ, “მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ან/და “მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ რომელი კონკრეტული ნორმის დარღვევას ჰქონდა ადგილი სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ. ამასთან, წარმოდგენილი მონაცემებით ვერ ხერხდებოდა ორგანიზაციის იდენტიფიცირება), რომლის გამოსწორების ვადად განისაზღვრა 7 დღე. ვინაიდან აღნიშნულ ვადაში ხარვეზი არ გამოსწორებულა და ხსენებული ორგანიზაციების მიერ ასევე არ წარმოდგენილა მოთხოვნა საპატიო მიზეზის გამო აღნიშნული ვადის გავრძელების თაობაზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებული საჩივრების განუხილველად დატოვების შესახებ.





4.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას 2012 წლის 28 ნოემბერს რეაგირებისთვის მიმართა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელმა, საიდანაც ირკვევა, რომ 2012 წლის 30 ოქტომბერს საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს განსახილველად გადაეცა მოქალაქეთა ჯგუფის განცხადება. აღნიშნული განცხადების საფუძველზე მოქალაქეები აცხადებდნენ, რომ 2012 წლის 20 ოქტომბერს შეწყდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მესამე რუსულენოვანი არხის შპს “ტელეკომპანია პიკ“-ის მიერ ახალი ამბების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მაუწყებლობა, არხზე გადის მხოლოდ რუსულ ენაზე დუბლირებული ფილმები და მუსიკალური გადაცემები, ანუ, არხმა გასართობი ფუნქცია შეითავსა და არ ასრულებს “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ასევე, მოქალაქეებს მიაჩნდათ, რომ საერთო საეთერო ბადის გაჩერებით, ირღვევა კანონით სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელზე“ დაკისრებული ვალდებულებები. რის გამოც, მოქალაქეები მოითხოვდნენ სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სანქცირებას მესამე არხზე “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის “გ“ და “დ“ პუნქტების დარღვევისათვის.

იმის გამო, რომ მოქალაქეთა განცხადება განსახილველი იყო “მაუწყებლობის შესახებ“ კანონით და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გადაწყვეტილებით დამტკიცებული “მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-თ გათვალისწინებული თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 07.12.2012წ. №776/23 გადაწყვეტილებით, უარი ეთქვა მოქალაქეთა ჯგუფს განცხადების განხილვის მიზნით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყებაზე.

შესაბამისად, განცხადება განხილული იქნა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თვითრეგულირების ორგანოს მიერ, რის შედეგად, 2013 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით, მოქალაქეთა განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოში (თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში) არ გასაჩივრებულა.

5.

2013 წლის 11 სექტემბერს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელში“ შემოვიდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საჩივარი, რომლითაც აღნიშნული პოლიტიკური პარტია ითხოვდა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს 2(ჯ) მუხლის და 51-ე მუხლის საფუძველზე, უფასო წინასაარჩევნო პოლიტიკური რეკლამის განთავსებას საზოგადოებრივი



მაუწყებლის ეთერში კანონით დადგენილ წესით გამოყოფილ დროებში.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საჩივრის წარმოდგენიდან უმოკლეს ვადაში სსიპ „სამოგალოებრივმა მაუწყებელმა“ უზრუნველყო სარეკლამო რგოლების გაშვება თავისი ეთერით, რითაც, ფაქტიურად დაკმაყოფილდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ზემოთ ხსენებული საჩივარი.

მომხადებელია სსიპ „სამოგალოებრივი მაუწყებლის“ მენეჯმენტის მიერ